

საქართველოში ინგლისი შენდება... A2



ძლიერი ქალების ბრძოლა პირველობისთვის A7



როგორ მივაწვეთ ნატო-ს კარს B1


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 12 იანვარი, 2006 წელი. №4 (1156)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### მთავრობა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ

ფრინველის გრიპის კიდევ ერთი ფაქტი თურქეთში, დაბა არდაჰანში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრინველის გრიპის ფაქტი ახალციხიდან 120 კილომეტრში დაფიქსირდა, ქართული მხარე საზღვრის ჩაკეტვას არ გეგმავს. ნოლაიდელი მიიჩნევს, რომ ვირუსის გავრცელების საშიშროება გადამფრენი ფრინველებისგან არსებობს, რადგან საზღვრები მკაცრად კონტროლდება.

A2

## ამბები

### თვითმფრინავით მგზავრობა, შესაძლოა, გაძვირდეს

ავიარეისებზე ბილეთის ფასი შესაძლოა 15-20 აშშ დოლარით გაძვირდეს. ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" გენერალური დირექტორის გიორგი კოდუას ინფორმაციით, ბილეთის გაძვირება საერთაშორისო ბაზარზე საავიაციო საწვავზე ფასის ზრდას უკავშირდება.

A2

## სამართალი

### ვაშინგტონის ყოფილ მერს ფინანსურ მაქინაციებსა და ნარკოტიკების მოხმარებას აბრალებენ

"ბარის ორგანიზმში კოკაინის შემცველობა სასამართლოს მიერ დანიშნული ტესტის ჩატარების შემდეგ დადგინდა. "

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 12/01 | 13 /01 |
|---|---|---|
| თბილისი | 3 | 7 |
| ტყიბული | 7 | 8 |
| სოხუმი | 7 | 8 |
| დმანისი | -3 | 0 |
| გორი | 2 | 5 |
| ონი | -2 | 3 |
| ზუგდიდი | 10 | 10 |
| ახმეტა | 3 | 7 |
| გაგრა | 6 | 7 |
| სამტრედია | 9 | 10 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8024 |
| ევრო | 2.1733 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1728 |
| რუბლი | 0.0633 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რეკლამა | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| თვალსაზრისი | A 8 |


# აშშ საქართველოს გაზსადენის გაყიდვას არ ურჩევს

*ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ინაუგურაციის პომპეზურ ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად ასტანაში ჩასულმა საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ რამდენიმე შეხვედრა გამართა.*

მიხეილ სააკაშვილმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეტიუ ბრაიზამ ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს.

მეტიუ ბრაიზას თქმით, განხილულ იქნა თანამშრომლობის პერსპექტივა, საქართველოს და აშშ-ს თანამშრომლობა სხვა პარტნიორებთან, მათ შორის - უკრაინასთან, ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის. ბრაიზას აზრით, მთავარია, საქართველომ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა გააძლიეროს. **"ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთ კავკასიის გაზსადენის ამოქმედებას, რომელიც აზერბაიჯანულ გაზს, საქართველოს ტერიტორიის გავლით, თურქეთს მიაწვდის,"** - აღნიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ. მეტიუ ბრაიზას აზრით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაცია და რუსეთისათვის მიყიდვა ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე უარყოფითად აისახება და კიდევ უფრო გაზრდის დამოკიდებულებას რუსულ გაზზე. საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ასევე ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" ხელმძღვანელებს შეხვდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რანი ვიყავით, რანი ვართ...

წერილი წარსულიდან

დავით უსუფაშვილი

*ეს წერილი 1997 წელს გამოიგზავნა შორეული ამერიკიდან. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაირა. წერილის ადრესატების უმრავლესობა დღეს ასოციაციას კი არა, ქვეყანას მართავს. იმედია, მათ შორის ასოციაციის ბედით ჭეშმარიტად დაინტერესებულნი რამდენიმე ძვირფას წუთს გამოძებნიან წერილის კიდევ ერთხელ წასაკითხად და მცირე ხნით ჩასაფიქრებლად. მინდა, სხვებმაც იცოდნენ, როგორ და რისთვის იქმნებოდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.*

**"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის და დირექტორატის წევრებს**

ამ ქვეყანაზე ყველაფერი პირობითი და ფარდობითია. მათ შორის თითოეული ჩვენგანის გაკეთებული ან არგაკეთებული "კარგი" და "ცუდი" საქმეც. დამეთანხმებით, უცხოეთში ყოფნისას უფრო ვრწმუნდებით ხოლმე ამაში.

გაგრძელება A8 გვერდზე



# ბიძინა ივანიშვილის საჩუქარი ბაკურიანს

ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა 18 მილიონ ევროდ ღირებული უნიკალური საბაგირო გზა დაბა ბაკურიანს საკუთრებაში გადასცა

თეა სხიერელი

*პარასკევს, 13 იანვარს ბაკურიანში უნიკალური ტურისტული და სამთო-სათხილამურო კომპლექსის "დიდველის" პრეზენტაცია შედგება. დიდველის და საყველიოს მთებს შორის არსებულ მასივზე სპორტულ-ტურისტული კომპლექსის აშენების იდეა ბიზნესმენსა და საქართველოს ზამთრის სპორტის სახეობათა პრეზიდენტს გოგი თოფაძეს ეკუთვნის. დღეს 1600 მეტრის სიგრძის საბაგირო გზის მშენებლობა უკვე დასრულებულია. კურორტ ბაკურიანის პერსპექტივებზე, "დიდველის" კომპლექსის ისტორიასა და საქართველოში სამთო ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე გვესაუბრება გოგი თოფაძე.*

გაგრძელება A8 გვერდზე



# დივიდენდების მოცულობა რეკორდულია, მაგრამ...

### რის ხარჯზე მოახერხა ფინანსთა სამინისტრომ საწარმოებიდან ორჯერ მეტი დივიდენდის ამოღება?

*ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ამასწინათ სიამაყით აღნიშნა, რომ შარშან სახელმწიფო საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობა, გასულ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად (100 პროცენტით) გაიზარდა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს შარშან ამ საწარმოების მოგება ან ეფექტურობა ასეთივე პროპორციით გაზრდილიყოს. 2005 წლის ბიუჯეტში გადახდილი დივიდენდების გაორმაგება სულ სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული.*

ეთერ მამულაშვილი

უკვე ორი წელზე მეტია, რაც ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფო ქონება სამართავად გადაიბარა, თუმცა ამ ორი წლის განმავლობაში ახალი ხელისუფლების მიერ მართული ქონება "ჩაბარებულზე" უკეთესად ვერ გამოიყურება - საბოლოო ჯამში, არც დავალიანებები შემცირებულა, არც შემოსავლები გაზრდილა მნიშვნელოვნად. სამაგიეროდ, დიდი ვნებათაღელვა ატყდა თავად ამ ქონების მართვის უფლებისთვის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ლუკმების "დათრევისთვის".

ყოველივე ამის შემდეგ, ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ გასულ წელს ცენტრალურ ბიუჯეტში დივიდენდის სახით 35 მილიონ ლარზე ოდნავ მეტი მობილიზდა, რაც 2004 წლის მონაცემებს თითქმის ორჯერ აღემატება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სამუდამო პატიმრობა - მარტოხელა ტერორისტის განაჩენი

*თბილისის საქალაქო სასამართლო გუშინ მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების ინტერესის მიზეზი, საქართველოსა და აშშ-ს პრეზიდენტებზე თავდასხმაში და სხვა მძიმე დანაშაულებში ბრალდებული ვლადიმერ არუთინიანის განაჩენის გამოცხადება გახლდათ. 11 საათზე დანიშნული სასამართლო პროცესი, გაურკვეველი მიზეზის გამო, საღამოს 5 საათზე დაიწყო. განსასჯელისთვის დაწერილი 400-გვერდიანი განაჩენის კითხვა მოსამართლე დავით ჯულელმა გვიან ღამით დაასრულა. სამუდამო პატიმრობა - ასეთია ვლადიმერ არუთინიანისთვის გამოტანილი ვერდიქტი. ათი ბრალდებიდან რვა მოსამართლემ დადასტურებულად და უტყუარად მიიჩნია.*

**"ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც პირს ბრალი ედება ერთდროულად ორი ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერაქტის განხორციელების მცდელობაში და განსაკუთრებით ისეთი პრეზიდენტის წინააღმდეგ, როგორიც არის აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში",** - ასეთ კომენტარებს იძლეოდნენ გუშინ უცხოელი ჟურნალისტები.

მარტოხელა ტერორისტის ვლადიმერ არუთინიანის სამთვიანი სასამართლო პროცესი ისე დასრულდა, ადამიანის უფლებათა დამცველ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც ბრალდებულმა სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე მიმართა, ნდობა გამოუცხადა და საკუთარ სასამართლოზე დასწრება და მონიტორინგის განხორციელება მოსთხოვა, განსასჯელის საქმით დაინტერესება არ გამოუხატავთ. გუშინ ვლადიმერ არუთინიანმა კიდევ ერთხელ მოითხოვა მისთვის სასურველ საერთაშორისო ორგანიზაციებთან - Human Rights Watch-თან და Amnesty International-თან შეხვედრა. არუთინიანი ირწმუნება, რომ მხოლოდ ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაარღვევს დუმილის უფლებას.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ხელშეკრულება უნდა შესრულდეს

*ვისთვის უფრო მომგებიანია 4 იანვარს უკრაინასა და რუსეთს შორის გაზის მიწოდების შესახებ მიღწეული შეთანხმება? ამ კითხვაზე პასუხი ჯერჯერობით კვლავაც სადავო რჩება. საინტერესოა, რომ, თუ რუსული პრესა "გაზის ომში" მოსკოვის წარმატებებზე საუბრობს, უკრაინის ხელისუფლება "კიევის დიპლომატიურ გამარჯვებაზე" ამახვილებს ყურადღებას. გუშინ ასტანაში ყაზახეთის პრეზიდენტის მეოთხე ინაუგურაციაზე ჩასული რუსეთისა და უკრაინის ლიდერები ერთმანეთს ასწრებდნენ მტკიცებას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიღწეული შეთანხმება აუცილებლად შესრულდება.*

ნიკა თარაშვილი

როგორც პუტინმა გუშინ ასტანაში, უკრაინის პრეზიდენტთან ვიქტორ იუშჩენკოსთან შეხვედრისას განაცხადა, მართალია, ორმა ქვეყანამ რთული გზა გაიარა, მაგრამ **"საბოლოო ჯამში, სპეციალისტები გაზის საკითხში სწორ, ურთიერთხელსაყრელ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ".**

რუსი კოლეგის განცხადებას იუშჩენკოც ეთანხმებოდა: **"ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსეთმა და უკრაინამ, რთული, მშფოთვარე პერიოდი გაიარეს, მაგრამ ის საკმაოდ ურთიერთსასარგებლო აღმოჩნდა."**

**"ჩვენ იმ პრინციპებზე გავედით, რომელიც გასაგებია და ნათელი. შესაძლოა, ჩვენს ურთიერთობებში ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი იყოს, მაგრამ მინდა მივულოცო ყველას, რომ ასეთი ძალისხმევით, ამ რთული ამოცანების გადაწყვეტა მოხერხდა,"** - აღნიშნა იუშჩენკომ.

საინტერესოა, რომ უკრაინის პრეზიდენტისთვის "გასაგები და ნათელი პრინციპები" არა მარტო მიმომხილველებისთვის არის გაუგებარი და ბუნდოვანი, არამედ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკოსთა უმეტესობისთვისაც. დასავლეთის დაბნეულობის მიზეზი ისაა, რომ, ერთი მხრივ ევროპაში გააცნობიერეს, თუ რამდენად საშიშია რუსულ გაზზე დამოკიდებულება, ხოლო მეორე მხრივ ის საფრთხე დაინახეს, რომ რუსეთ-უკრაინის შეთანხმებით ევროკავშირი, ფაქტობრივად, ალტერნატიული გაზის წყაროს - თურქმენეთსაც კარგავს (პერსპექტივაში თურქმენული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება რუსეთის გვერდის ავლით იქნე-

გაგრძელება A3 გვერდზე

## თვითმფრინავით მგზავრობა, შესაძლოა, გაძვირდეს

ავიარეისებზე ბილეთის ფასი შესაძლოა 15-20 აშშ დოლარით გაძვირდეს. ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" გენერალური დირექტორის გიორგი კოდუას ინფორმაციით, ბილეთის გაძვირება საერთაშორისო ბაზარზე საავიაციო საწვავზე ფასის ზრდას უკავშირდება. მისი განცხადებით, რამდენიმე თვის წინ თუ ერთ ტონა საავიაციო ნავთს კომპანია 350 აშშ დოლარად ყიდულობდა, მიმდინარე თვეში 750 აშშ დოლარად შეისყიდა. საწავავის გაძვირება მსხვილი ავიაკომპანიებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ისინი მოგების შემცირების ხარჯზე ბილეთის ფასის შენარჩუნებაზე იზრუნებენ. კოდუა აღნიშნავს, რომ "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები", საწვავის გაძვირების შესაბამისად, იძულებული გახდება, ბილეთის საფასური 15-20 დოლარით გაზარდოს. საწვავის გაძვირების მიუხედავად, "ჯორჯიან ეარვეისი" (აირზენა) ჯერჯერობით არსებული ტარიფების შენარჩუნებას აპირებს. ავიაკომპანიის კომერციული დირექტორის რობერტ ოგანესიანის განცხადებით, მიმდინარე თვეში კომპანიამ საწვავი 1 ტონა 615 დოლარად, ხოლო სამი თვის წინ - 645 აშშ დოლარად კომპანია "ბი პი"-სგან შეისყიდა, რომელიც ასევე უზრუნველყოფს საწვავით "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" თვითმფრინავებს. მისივე თქმით, "ბი პი"-ს მიერ "ჯორჯიან ეარვეისისთვის" საწვავის შეღავათიანი პირობებით მიწოდება განპირობებულია იმით, რომ ავიაკომპანია მისი მსხვილი კლიენტია და თვეში 800-900 ტონას მოიხმარს. ასე რომ, "ჯორჯიან ეარვეისის" მიერ შესრულებულ ავიარეისებზე ბილეთის ფასი 15-20 აშშ დოლარით მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ შესაბამისად, 1 ტონა საწვავის მიწოდების ფასი 750-800 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

"ჯორჯიან ეარვეისის" მიერ შესრულებული თბილისი-მოსკოვის რეისზე ბილეთი 170 აშშ დოლარი ღირს, ხოლო ამავე მიმართულებით "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" რეისზე - 150 აშშ დოლარია.

საერთაშორისო ბაზარზე საავიაციო ნავთის 500 აშშ დოლარამდე გაძვირება უკვე აისახა აზერბაიჯანის ავიაციაზე. აზერბაიჯანის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, სახელმწიფო ნავთობკომპანიის და მიმწოდებელი კომპანია "აზალ ოილის" ერთობლივი გადაწყვეტილებით, 2006 წლისთვის აზერბაიჯანის ბაზარზე საავიაციო საწვავის ფასი 215-დან 305 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

*პრაიმ-ნიუსი*

## შეკვეთილი თვითმმართველობა უნივერსიტეტში

ნინო ბერელიძე

უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც გასული წლის 20 მაისს უნდა გამართულიყო, სავარაუდოდ, მარტის თვეში გაიმართება. ბოლონიის დეკლარაციის თანახმად, უნივერსიტეტის ავტონომიურობისათვის აუცილებელი პირობაა, იქ არსებობდეს დამოუკიდებელი სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის მუშაობის პრიორიტეტი სტუდენტების უფლებების დაცვაა.

მოახლოებულ არჩევნებს აპროტესტებს უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტური ორგანიზაცია "ახალი სტუდენტური ალტერნატივა" და მას არალეგიტიმურს უწოდებს. მათი განცხადებით, რექტორატმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შანსი უკვე გაუშვა ხელიდან, რითაც ხელი შეუშალა ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტური ორგანიზაციების არჩევას თვითმმართველობაში. "ახალი სტუდენტური ალტერნატივა" ასევე უკანონოს უწოდებს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების წესის დებულებას ორი ფაკულტეტის დეკანი, დავით აფრასიძე და დავით კერესელიძე მოამზადებენ დაჩქარებული წესით.

"ახალი სტუდენტური ალტერნატივა" მოუწოდებს ლექტორებს, მეცნიერებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აქტიურად ჩაერთონ მიმდინარე პროცესებში, რათა უნივერსიტეტი ახალი თაობის "პარტმუშაკებისა" და "კომკავშირელებისაგან" გადარჩეს.

"ახალი სტუდენტური ალტერნატივა" 2004 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა და 400-მდე სტუდენტს აერთიანებს. ორგანიზაცია, ძირითადად, უცხოური ფონდებიდან ფინანსდება.

## "უცნობი თავისუფლება"

FM იმედი 92.0

**ალეკო ელისაშვილი:** დღეს ჩვენი გადაცემის სტუმარია "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. ბ-ნო დავით, თქვენი პარტიის მიმართ ხელისუფლების მიერ გამოთქმული საყვედურები უცხო არ არის, თუმცა ამჯერად სხვა კონტექსტში იქნა გაჟღერებული. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" "რესპუბლიკური პარტიის" დანამატად იქცა, თქვენ რას იტყოდით ამის შესახებ?

**დავით უსუფაშვილი:** ირაკლი ოქრუაშვილთან მედიის საშუალებებით ამ საკითხზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ამისთვის არსებობს ასოციაცია, სადაც შეიძლება საუბარი. ჩვენი აზრების გამოთქმა ასევე შეგვიძლია კრებებზეც, რომელიც ასოციაციაში ტარდება. ბატონ ირაკლის შეეძლო დასწრებოდა ჩვენს სხდომებს და ბევრ ინფორმაციას მიიღებდა. დისკუსიის ასეთი ფორმა მიუღებელია ჩემთვის. ამ ყველაფრის უკან პოლიტიკური ინტერესები უფრო მოჩანს, ვიდრე ასოციაციისადმი "პატრიოტული" დამოკიდებულება. შესაძლოა, ვიწრო პიროვნული ინტერესებიც იყოს. მე, როგორც "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარეს, ანუ ოპოზიციის წარმომადგენელს, ეს თემა სხვა კუთხითაც მეხება. როდესაც ხელისუფლება ისეთ ძლიერ ორგანიზაციას, როგორიცაა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "რესპუბლიკური პარტიის" დანამატად მოიხსენიებს, მე მხოლოდ უნდა მიხაროდეს. ისინი, ვინც პოლიტიკურ პიარში კარგად ერკვევიან, მილოცავდნენ კიდეც ამ ამბავს. ბევრს ეჭვიც კი გაუჩნდა, ხელისუფლება ჩვენს გაპიარებას ხომ არ ცდილობდა. იმ ადამიანებს, რომლებიც ამ მეთოდით პოლიტიკურ დარტყმას აპირებდნენ ჩვენზე, ძალიან უნიჭო სვლა გამოუვიდათ. ამ ყველაფერში შეინიშნება სხვა ასპექტი, ვიდრე ვიწრო პარტიულია. ეს არის მაგალითი, თუ რა ხდება ქვეყანაში და რა სიმპტომების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. ის სტრუქტურები თუ წარმონაქმნები, რომლებიც კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას ცდილობენ, მიუხედავად იმისა, სად არიან ისინი - ხელისუფლებაში თუ ოპოზიციაში, ხელისუფლებისგან შერისხვას იმსახურებენ. აღმოჩნდა, რომ თუ ვინმე პროფესიულ დონეზე აკრიტიკებს ხელისუფლებას, ეს უკვე პოლიტიკური საქმიანობაა და თუ ვინმე დროდადრო იტყვის რამეს, მაშინ ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია მისაღებია მათთვის. ხელისუფლება ცდილობს, საკუთარი რეგულირების ფარგლებში მოაქციოს ყველაფერი და ყველა დემოკრატიული ორგანო. პარლამენტი უკვე დიდი ხანია მოქცეულია ამ ფარგლებში; სასამართლოს რაც დამართეს 2005 წლის განმავლობაში, ყველამ იცის; მედიაში რა პროცესები ვითარდება, ესეც ცხადია. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" ერთად, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი ორგანიზაციები დარჩა, რომლებიც ხმამაღლა ლაპარაკობენ პრობლემებზე. ასე რომ, არის რაღაც ამოცანა, რომელიც სრულდება სხვისი ხელით. ამ ტიპის დაკვეთების და ამოცანების დასმა სხვა სახელისუფლებო წრეებიდან მოდის და მის შესასრულებლად სუსტ ადამიანებს არჩევენ. მე კიდევ ერთხელ ვურჩევდი ჩემს კოლეგებს: ისინი, ვინც იყვნენ ამ ასოციაციაში, დაფიქრებულიყვნენ, ვის თამაშს თამაშობენ და რაში ერთვებიან. "იურისტთა ასოციაცია" რომ კვლავ მყარად იდგება და თავის როლს შეასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**ა.ე:** ქათმის გრიპის ხომ არ გეშინიათ?

**დ.უ:** არანაირად. სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ არა ფრინველის ხორცის ხარჯზე. საკმაოდ კარგად გავერკვიე ამ საკითხში და ვიცი, რომ კარგად დამუშავებული ქათმის ხორცი საფრთხეს არ წარმოადგენს.

**ა.ე:** ჯანდაცვის მინისტრმა ცოტა პანიკური სიტუაცია შექმნა. ბედობა დღეს ძალიან დაგვძაბა...

**დ.უ:** ცხადია, იმ ადამიანებმა, ვინც ამ სფეროში მეტი იცის, უნდა მოგვაწოდონ ინფორმაცია, თუმცა არ უნდა ჩაგვინერგონ შიში. მე ვისურვებდი, რომ მინისტრები მოსახლეობას ასეთი ფორმით არ აშინებდნენ, თუმცა მათი მოვალეობაა, გააფრთხილონ და რჩევები მისცენ.

## საქართველოში ინგლისი შენდება...

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ ფრთხილად და, ამავე დროს, გარკვეული ინტერესით ხვდება უმრავლესობის წევრის ალეკო შალამბერიძის განცხადებას იმის შესახებ, რომ მზადდება საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც პრემიერ-მინისტრს პარლამენტარობის შეთავსების უფლება მიეცემა.



*შალამბერიძის განცხადებამ ოპოზიცია საფიქრებელში ჩააგდო.*

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივაში, თავისთავად, ცუდს ვერაფერს ხედავს, ოღონდ, ავტორებისგან მეტ კონკრეტიკას მოითხოვს. მანამდე კი საბოლოო შეფასებებისგან თავს იკავებს.

**"თუ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მთავრობის თავმჯდომარეს საკანონმდებლო ორგანოს წევრობის უფლება ჰქონდეს, და მეტი არაფერზე, ეს მეტისმეტად არარეალურია. "აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ"-ის პრინციპი სახელისუფლებო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილების პრინციპთან შეუთავსებელია. მაგრამ, თუ საქმე საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო მოდელზე გადასვლას ეხება, ეს უკვე ძალიან სერიოზული საკითხია და გულდასმით განსჯას საჭიროებს,"** - სიფრთხილეს იჩენს ოპოზიციური ფრაქციის ლიდერი.

კონსტიტუციის რევიზიის მიმართ საკმაოდ მოზომილი დამოკიდებულება აქვს ლევან ბერძენიშვილსაც: **"ეს პრინციპულად ცვლის ქვეყნის მოწყობას და საპარლამენტო მმართველობის ნიშნები შემოაქვს. თუ საქართველოში ინგლისის აშენება უნდათ, გვითხრან... წინადადება საინტერესოა, მაგრამ ამ მომენტისთვის - უსაფუძვლო."**

უმრავლესობის განზრახვა, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას სულაც არა ჰგავს - ორი წლის წინათ, როდესაც ქვეყნის ძირითად კანონში არსებითი ცვლილებები შეჰქონდათ, "ვარდების რევოლუციის" ლიდერები აცხადებდნენ, რომ ოთხიხუთი წლის შემდეგ კონსტიტუცია კიდევ ერთხელ გადაისინჯებოდა და ქვეყანა საპრეზიდენტოდან საპარლამენტო მმართველობისკენ დაიწყებდა "გადაადგილებას". ვარაუდს, რომ ხელისუფლება ამ "გეგმის" მიხედვით მოქმედებს, ისიც ამაგრებს, რომ ალეკო შალამბერიძის განცხადების თანახმად, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ის 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში.

თუმცა, მაინც დიდი კითხვის ნიშანი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება საკმაოდ ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის დემონტაჟს თავისი ხელით დაიწყებს. თუ რასთან გვაქვს საქმე, ამის გარკვევას არც ისე დიდი დრო სჭირდება - საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც პრემიერ-მინისტრისთვის პარლამენტარობის შეთავსების უფლების მინიჭებას გულისხმობს, დეპუტატებს საგაზაფხულო სესიაზე წარედგინებათ განსახილველად.

## მთავრობა ფრინველის გრიპის წინააღმდეგ

*ფრინველის გრიპის კიდევ ერთი ფაქტი თურქეთში, დაბა არდაჰანში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრინველის გრიპის ფაქტი ახალციხიდან 120 კილომეტრში დაფიქსირდა, ქართული მხარე საზღვრის ჩაკეტვას არ გეგმავს. ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ ვირუსის გავრცელების საშიშროება მხოლოდ გადამფრენი ფრინველებისგან არსებობს, რადგან საზღვრები მკაცრად კონტროლდება.*

ნათია მსხილაძე

პანიკაში მყოფმა სოფლის მოსახლეობამ ქათმების დაკვლა და მოხარშვა დაიწყო. მომხდართან დაკავშირებით, გაზეთი "24 საათი" სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორს გოგა ხაჩიძეს დაუკავშირდა. **"პირადად ვიყავი სოფელ ვალეში, სადაც სადეზინფექციო სამუშაოები მიმდინარეობს. საზღვარზე მოძრაობა დაბალია, აქედან გამომდინარე, ვირუსის გავრცელების საშიშროებაც ნაკლებია. შექმნილია სამუშაო შტაბები. ქათმის ვირუსის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა, თუმცა მოსახლეობამ, თავის დაზღვევის მიზნით, ქათმის დაკვლა დაიწყო. პირადად ვნახე ქალბატონი, რომელსაც 30 ქათამი ჰყავდა, ყველა დაკლა და მოხარშა,"** - აცხადებს ხაჩიძე.

ქათმის ვირუსის საკითხი მთავრობის სხდომაზეც აქტუალური იყო. მინისტრთა კაბინეტის მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოს მთავრობა "ფრინველის გრიპის" გავრცელების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად 2 700 000 ლარს გამოყოფს. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, თანხიდან 2,5 მილიონი ლარი ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცემა სასუნთქი საშუალებისა და პრეპარატების შესაძენად. ამ თანხითვე მოხდება ბუკლეტების გამოცემა. დარჩენილ 200 ათას ლარს კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს სადეზინფექციო ხსნარისა და დამატებითი ტექნიკის შესაძენად. **"ნაკლებად მოსალოდნელია სასაზღვრო-გამშვები პუნქტებით ვირუსის გავრცელება, მაგრამ არსებობს კონფლიქტური ზონებიდან ფრინველის ხორცის კონტრაბანდული გზით შემოტანის პრობლემა. ამიტომ, ფინანსურ პოლიციას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგანგებო დავალება მივეცი, რომ კონტროლი გამკაცრდეს და მსგავსი კონტრაბანდული საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში საგანგებო ღონისძიებები გატარდეს,"** - აცხადებს ნოღაიდელი.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშილი ირწმუნებოდა, რომ საზღვრებზე განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული, ხოლო იმ ქვეყნებიდან, სადაც დაფიქსირებულია ქათმის ვირუსი, აკრძალულია ხორცის პროდუქტების შემოტანა. **"საქართველოს სხვადასხვა რაიონებში შექმნილია შტაბები, რომლებიც აღჭურვილნი არიან შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით. შტაბი არსებულ ინფორმაციაზე რეაგირებას მოახდენს და თუ კერა დაფიქსირდება, მის აღმოსაფხვრელად ღონისძიებებს განახორციელებს,"** - აცხადებს სვიმონიშვილი. აღნიშნული შტაბები გახსნილია თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში და გურჯაანში.

მთავრობის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრისაგან მიღებული დავალების თანახმად, ჯანდაცვისა და განათლების მინისტრები სკოლის მოსწავლეებისთვის მარტივად, ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე დაწერილ ბუკლეტებს დაბეჭდავენ და სკოლებში დაარიგებენ. პროფილაქტიკისთვის ყველა კლასში ფრინველის გრიპის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებზე გაკვეთილები ჩატარდება.

დღის ბოლოს პრემიერ-მინისტრი კანცელარიაში, ფრინველის გრიპთან დაკავშირებით პრეზიდენტის რწმუნებულებს შეხვდა. შეხვედრისას გადაწყდა, რომ ქათმის გრიპის ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ პრეზიდენტის რწმუნებულები ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად იმოქმედებენ.

## მზად არიან ქართველი ექიმები "ფრინველის ვირუსის" დასახვედრად?

თამარ მაისურაძე

"ფრინველის გრიპის" გავრცელების საშიშროებაზე და ვირუსის სავალალო შედეგებზე საქართველოს მოსახლეობას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ნაახალწლევს, 2 იანვარს შეატყობინა. ამ განცხადებიდან ორი დღის შემდეგ, ჯანდაცვის მინისტრმა დამაიმედებელი განცხადებაც გააკეთა და აღნიშნა, რომ **"ყველაფერი რიგზეა."**

ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველაფერი კეთდება, რათა "ფრინველის გრიპმა" საქართველოში არ შემოაღწიოს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით, სამედიცინო დაწესებულებებში სრული მობილიზაცია და მზადყოფნაა გამოცხადებული. ვირუსოლოგი ზურაბ ფუტკარაძე კი აღნიშნავს, რომ ქათმის გრიპის პანდემიის საშიშროების მიუხედავად, ხელისუფლება პრევენციის საკმარის ზომებს არ იღებს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების "03"-ის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ვირუსთან დაკავშირებით მათ მითითება არ მიუღიათ. **"ბუკლეტებიც კი არ დაურიგებიათ,"** - გვითხრეს მათ, თუმცა საპირისპიროს ამბობს "03"-ის ხელმძღვანელი დავით გველესიანი: **"ექიმებს დავურიგეთ ბროშურები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით გამოიცა."**

ცნობისთვის: გამოყოფილია 24 ათასი ლარი, რომლითაც 800 ათასი სპეციალური ბუკლეტი დაიბეჭდა.

ვინაიდან "ფრინველის გრიპი" ინფექციური დაავადებაა, ამ ვირუსის დაფიქსირების შემთხვევაში პაციენტს ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსებენ. საავადმყოფოს მთავარი ექიმი შოთა გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ მათ სამედიცინო დაწესებულებაშია ბოქსირებული განყოფილება. "მერცერის ბოქსები" პაციენტის იზოლირებულად მოთავსების საშუალებას იძლევა. ასეთი "ბოქსი" ინფექციურ საავადმყოფოში ოცდარვაა. **"იმ შემთხვევაში, თუ ვირუსმა მუტაცია განიცადა, შესაძლებელია მეტი პაციენტის მოთავსებაც, რისთვისაც განყოფილებების პერეპროფილირება მოგვიწევს. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, უახლოეს დღეებში შემოიტანენ 120 სასუნთქ აპარატს, რადგან "ფრინველის ვირუსით" დაავადებულებს ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ესაჭიროებათ,"** - აღნიშნა მან.

ავადმყოფის იზოლაცია მის განკურნებას არ ნიშნავს. "ფრინველის გრიპის" პროფილაქტიკის უალტერნატივო საშუალებად დღემდე პრეპარატი "ტამი-ფლუ" რჩება. მართალია, არის სხვა პრეპარატიც - "რელინზა", თუმცა მისი საქართველოში შემოტანა, წამლის უკუჩვენებების გამო, არ იგეგმება.

**"არავის ჰქონდეს ილუზია იმისა, რომ "ტამი-ფლუ" ვინმეს დასნებოვნებისგან დაიცავს. იგი აღნიშნული დაავადების პრევენციისთვის არ გამოიყენება, უბრალოდ, წამალი გრიპის მიმდინარეობას ამარტივებს,"** - ამბობს ჯანდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით მესხიშვილი.

ინფექციური საავადმყოფოს მთავარი ექიმი კი იმედიანადაა, რადგან "ტამი-ფლუ" საქართველოში დღე-დღეზე შემოვა. **"საავადმყოფო ასევე უზრუნველყოფილი იქნება იმ სიმპტომური საშუალებებით, რაც ამ ვირუსით დაავადებისას გამოვლინდება,"** - დასძინა მან.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში ფუნქციონირებს ევროპული დონის ლაბორატორია, რომელიც მზადაა, 100 კაცს ჩაუტაროს გამოკვლევა "ფრინველის ვირუსზე".

"ინფექციურის" მთავარი ექიმიც მიიჩნევს, რომ სასურველია მედპერსონალის მომზადება-გადამზადება, რასაც, სავარაუდოდ, ექიმი ინფექციონისტები ჩაატარებენ.

შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ცერცვაძე, რომელიც, ამავდროულად, ფრინველის გრიპის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის ერთ-ერთი კოორდინატორია, ადასტურებს, რომ ექიმებს ჯერჯერობით სპეციალური მომზადება არ გაუვლიათ, მაგრამ ისინი ამ ვირუსით დაავადებული ადამიანის საშველად მზად უნდა იყვნენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე დამაიმედებელს უწოდებს გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თურქეთში გარდაცვლილი ბავშვების ძმას ვირუსის სიმპტომები არ აღმოაჩნდა. **"ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმას, რომ ვირუსი არც ისე მომაკვდინებელია, როგორც დღეს გვგონია."** მისივე თქმით, სახელმწიფოს მთავარი მიზანია, შეამციროს ვირუსის გავრცელების საფრთხე, მოახდინოს სიმპტომატური მკურნალობა, რათა პაციენტის ორგანიზმს ვირუსის დაძლევაში დაეხმაროს.

დაბოლოს, რუსეთის "დუმას" წარმომადგენელმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ თავისი ქვეყნის მთავრობას მოუწოდა, ვირუსის თავიდან აცილების მიზნით, ფრინველებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადაფრენა აუკრძალონ...

## მოკლედ

### ბუნებრივ აირზე გაზრდილი ფასი მოსახლეობას არ შეეხება

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ბუნებრივ აირზე გაზრდილი თანხა რამდენიმე თვის განმავლობაში მოსახლეობას არ შეეხება. **"ამ ზამთრის განმავლობაში გაზის ტარიფის ზრდა მოსახლეობას არ შეეხება. ბუნებრივ გაზზე გამოყოფილი ასიგნებები ქვეყნის რეგიონების მოსახლეობაზე იქნება გათვალისწინებული,"** - კიდევ ერთხელ განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა. როგორც ცნობილია, ამ მიზნით საქართველოს ბიუჯეტში გათვალისწინებულია 33,5 მლნ ლარი. კომპანია "ყაზტრანსგაზი" ბუნებრივ აირზე გაზრდილი თანხების დაფარვას თბილისის მასშტაბით აპირებს. აღსანიშნავია, რომ 2006 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 33,5 მლნ ლარით ქვეყნის მასშტაბით ტარიფის ზრდა უნდა დაფინანსებულიყო. თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა 15 თებერვლის შემდეგ, როცა "თბილგაზში" სალიკვიდაციო პროცედურა დასრულდება და იგი "ყაზტრანსგაზის" საკუთრებაში გადავა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ყაზახები აჭარაში რამდენიმე სასტუმროს რეკონსტრუქციას განახორციელებენ

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანიდან საქართველოში კიდევ ერთ ყაზახურ ინვესტიციას ჩამოიტანს. როგორც პრეზიდენტმა გუშინ, ასტანაში ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ყაზახეთსა და საქართველოს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ყაზახური კომპანია აჭარაში რამდენიმე სასტუმროს რეკონსტრუქციას განახორციელებს, ხოლო იქ მცხოვრებ დევნილებს კი ფულადი კომპენსაციები დაურიგდებათ. მიხეილ სააკაშვილი ყაზახური ბანკის "ტურან ალემის" ხელმძღვანელებს ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ინაუგურაციის შემდეგ შეხვდა. **"2008 წელს აჭარა იქნება ერთი დიდი საკურორტო კომპლექსი,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ სააკაშვილმა. დღესვე, პრეზიდენტი სააკაშვილი ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს, ხორვატიის პრეზიდენტსა და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელს შეხვდა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ოფიციალური ვიზიტით 10 იანვარს გაემგზავრა. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოში საფინანსო პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო კომისია შეიქმნა

საქართველოში საბანკო საქმიანობის გამარტივებისა და მდგრადობის გაზრდის მიზნით, საფინანსო პოლიტიკის განმსაზღვრელი სამთავრობო კომისია შეიქმნა. მას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი თავმჯდომარეობს. როგორც სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, კომისიაში გაერთიანებულნი არიან აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე. კომისია საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობას ორ კვირაში დაასრულებს, რის შემდეგ ცვლილებათა პაკეტი პარლამენტს თებერვალში დასამტკიცებლად გადაეცემა. **"საქმე ეხება ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში საბანკო საქმიანობის გამარტივებას ისახავს მიზნად. ამჟამად მოქმედი დრომოჭმული ინსტრუქციები და კანონები საბანკო საქმიანობაში უამრავ პრობლემას ქმნის, რაც ხელს უშლის თუნდაც უცხოელი მოქალაქეებისათვის საქართველოში საბანკო ანგარიშების გახსნას,"** - განაცხადა ბენდუქიძემ. "რა თქმა უნდა, საბანკო საქმიანობის გამარტივება ქვეყნის ეკონომიკის უპირველესი პროგრამა არ არის. უახლოეს მომავალში გადაწყდება საქართველოს **"ჰააგის კონვენციასთან" მიერთების საკითხებიც. ამ პროცედურას 9-თვიანი ვადა სჭირდება და, სავარაუდოდ, 2006 წლის დეკემბრისთვის პროცესი დასრულდება,"** - განმარტა ბენდუქიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი მარატ კულახმეტოვი საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელ როი რივს უპირისპირდება.

კულახმეტოვის განცხადებით, როი რივმა მონიტორინგის ჯგუფების მუშაობის პროცესის ჩაშლასთან დაკავშირებით განცხადება არასწორი ინფორმაციის საფუძველზე გააკეთა.

რუსი გენერალი აცხადებს, რომ ჯგუფებმა მუშაობა უკვე განაახლეს. ერთკვირიანი შესვენება კი სასდღესასწაულო დღეებს უკავშირდება.

გენერალი კულახმეტოვი დარწმუნებულია, რომ ვიღაცამ ეუთოს მისიის ხელმძღვანელს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა და როი რივმა მსგავსი განცხადება სწორედ აქედან გამომდინარე გააკეთა.

რამდენიმე დღის წინ საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა განაცხადა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მონიტორინგის ჯგუფების მუშაობის პროცესი ჩაიშალა. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# ხელშეკრულება უნდა შესრულდეს

პირველი გვერდიდან

ბოდა შესაძლებელი).

ასე რომ, მართალია, "გაზის ომით" პუტინმა სანდო პარტნიორის რეპუტაცია საბოლოოდ შეილახა, მაგრამ, სიტუაციის მართვის ბერკეტები სრულად შეინარჩუნა.

ფრიად საგულისხმო იყო დიდი ბრიტანეთის ენერგეტიკის მინისტრის მალკოლმ უიკსის კომენტარი ამ თემაზე. **"რუსეთის რეპუტაცია მჭიდროდ უკავშირდება ენერგორესურსების მიწოდების სტაბილურობას და, ბუნებრივია, იგი დაზარალდება, თუ ეს მიწოდება შეფერხდება,** - ამბობს ბრიტანელი მინისტრი და იქვე დასძენს, - **კონფლიქტის მოგვარებისას რუსეთი და უკრაინა ზრდასრული ადამიანებივით უნდა იქცეოდნენ."** აშკარაა, ევროპაში არავის სურს, უკრაინის "ჭირვეულობის" გამო საფრთხე შეექმნას.

იუშჩენკო კი კვალვაც ცდილობს, გაფანტოს ეჭვები 4 იანვრის შეთანხმების გარშემო. **"უკრაინა არ გადაუხვევს არც ერთ ასოს, როგორც რუსეთთან, ასევე ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან მიღწეული შეთანხმებიდან,"** - ხმამაღლა აცხადებს ასტანაში მყოფი უკრიანის პრეზიდენტი.

მოკლედ, ხელშეკრულება არსებობს და მისი შესრულება აუცილებელი, თანაც მხარეების განცხადებით, მომგებიანია როგორც რუსეთისთვის, ასევე უკრაინისა და ევროპისთვის.

საგულისხმოა, ერთადერთი, ვინც ღიად დაუჭირა მხარი უკრაინის პოზიციას რუსეთთან დავაში, აშშ იყო, თუმცა, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, ყველაზე მეტად ის "დაზარალდეს". სხვათა შორის, კონდოლიზა რაისის მიერ მკვეთრად შეფასებულ "გაზის ომს" რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ გუშინწინ გამოეხმაურა. როგორც რუსეთის საგარეო უწყების ინტერნეტ-გვერდზეა ნათქვამი, ლავროვმა ამერიკელ კოლეგას სატელეფონო საუბარში არცთუ დელიკატურად შეახსენა, რომ მისი გამონათქვამები უკრაინაში რუსეთის გაზის მიწოდების საკითხებზე სრულიად უადგილო იყო.



*პუტინი და იუშჩენკო ერთმხად ირწმუნებიან, რომ მიღწეული შეთანხმებით ყველა კმაყოფილი იქნება.*

# აშშ საქართველოს გაზსადენის გაყიდვას არ ურჩევს

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტებთან საუბრისას მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ყაზახური კომპანია აჭარაში რამდენიმე სასტუმროს შეისყიდის და მათ რეკონსტრუქციას განახორციელებს, ხოლო იქ მცხოვრებ დევნილებს კი ფულადი კომპენსაციები დაურიგდებათ. **"2008 წელს აჭარა ერთი დიდი საკურორტო კომპლექსი იქნება,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ სააკაშვილმა. პრეზიდენტი სააკაშვილი, გუშინვე, ბულგარეთის პრემიერ-მინისტრს და ხორვატიის პრეზიდენტს შეხვდა.

ყაზახეთის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალი გუშინ ასტანაში, აკორდას სასახლეში გაიმართა და 40 წუთს გაგრძელდა. ნაზარბაევმა, რომელმაც 4 დეკემბრის არჩევნებში 70 პროცენტზე მეტი ხმა მიიღო, საკუთარ ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა და ნდობის გამართლებას დაჰპირდა.

ინაუგურაციის ცერემონიალს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, საქართველოს, რუსეთის, უკრაინის და სხვა ქვეყნების პრეზიდენტები დაესწრნენ.

*24 საათი*

# არიელ შარონმა კიდურები აამოძრავა

## ისრაელის პრემიერ-მინისტრის ინსულტმა "კადიმა"-ს რეიტინგზე დადებითად იმოქმედა

ნანა ნასყიდაშვილი

ისრაელის ლიდერის არიელ შარონის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, გაზეთ "გლოუბს"-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა ცხადყოფს, რომ შარონის ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიის "კადიმა"-ს რეიტინგი დღითიდღე იზრდება. მზარდ რეიტინგს "კადიმა"-სთვის ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ისრაელში მარტში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი.

აღნიშნული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, შარონის პარტიას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ორმოცდაერთი მანდატის მოპოვების შესაძლებლობა ექნება. გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ პარტია "ავოდა"-ს ისრაელის პარლამენტში 16-17 მანდატის, ხოლო პარტია "ლიკუდ"-ს 15 მანდატის მოპოვება ძალუძს. თუმცა, საგულისხმოა, რომ შარონის მიერ მიტოვებული პარტიის მდგომარეობა, რეიტინგის თვალსაზრისით, სახარბიელო არ არის, რადგანაც მისი ძველი ამომრჩევლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამად უპირატესობას "კადიმა"-ს ანიჭებს.

საგულისხმოა, რომ ექიმთა თქმით, არიელ შარონის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ აღარ არის და დროთა განმავლობაში ის გამოკეთდება. **"ისრაელის პრემიერ-მინისტრის ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, თუმცა, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება,"** - აღნიშნა იერუსალიმის საავადმყოფოს "ჰადასა ეინ-ქერემ"-ის მთავარმა ანესთეზიოლოგმა იორამ ვეისმა. გუშინ აღნიშნული სავაადმყოფოს მთავარმა ექიმმა შლომო მორ იოსეფმა არიელ შარონის ტვინის ფუნქციური მუშაობის გარკვეულ გაუმჯობესებაზე ისაუბრა. **"ისრაელის პრემიერ-მინისტრის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება. დღეს მან მარცხენა ხელი და ფეხი აამოძრავა,"** - აღნიშნა გუშინ პროფესორმა შლომო მორ იოსეფმა. დამაიმედებელია ექიმთა განმარტება, შარონის მიერ კიდურების ამოძრავების თაობაზე, რომელიც, სპეციალისტთა თქმით, ტკივილის ნიადაგზე რეფლექსით არ იყო გამოწვეული, არამედ ის პრემიერის დამოუკიდებელ მოძრაობას წარმოადგენდა.

მრავალდღიანი ნარკოზის შემდეგ, არიელ შარონის ხელოვნური კომიდან გამოყვანის პროცესი დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მედპერსონალი შიშობდა, რომ პრემიერ-მინისტრის ნარკოზიდან გამოყვანა ტრაგიკულად დასრულდებოდა, თუმცა დღეისთვის არიელ შარონის დაღუპვის საშიშროება აღარ არსებობს. ექიმთა თქმით, ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად დაზიანდა შარონის ტვინი გადატანილი ინსულტის შედეგად და დიდია იმის შესაძლებლობა, რომ არიელ შარონი პოლიტიკაში დაბრუნებას ვეღარ შეძლებს.

მძიმე ვითარებაში მყოფი პრემიერ-მინისტრის გვერდით მუდმივად იმყოფებიან მისი შვილები - გილადი და ომრი. შარონის პალატაში ჩართულია მისი საყვარელი კომპოზიტორის, მოცარტის მუსიკა. ხოლო პრემიერ-მინისტრის სასთუმალთან, ექიმთა ინიციატივით, არომატული კერძი, შაურმაა მოთავსებული, რომლის სურნელიც ნარკოზის ქვეშ მყოფი პაციენტისთვის, მედპერსონალის აზრით, სასიამოვნო უნდა იყოს.

# "ფრინველის გრიპის" ვირუსის მორიგი მსხვერპლი ჩინეთში

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ფრინველის გრიპის" ვირუსს ჩინეთში გუშინ ორი ადამიანი ემსხვერპლა. ჩინეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მხოლოდ ერთ პატარა პროვინციაში - გუიჩჟოუში 16 000 ქათამი, სწორედ, ამ ვირუსით დაიხოცა. გარდა ამისა, განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას საშიში ვირუსის პრევენციის მიზნით, დამატებით 42 000 ქათმის განადგურებაც მოუხდა.

ორშაბათს ჩინურმა სააგენტოებმა გაავრცელეს დაავადების კიდევ ერთი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია. ჰუინანის პროვინციაში "ფრინველის გრიპის" ვირუსით ბავშვი დაავადდა, რომლის მდგომარეობაც კრიტიკულია. სააგენტო "სინჰუა"-ს ინფრომაციით, ბავშვის დაავადებამდე "ფრინველის გრიპის" ვირუსი აღენიშნებოდა ოჯახის შინაურ ფრინველს.

სტატისტიკური მონაცემებით კი, 2003 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამ ახალი სახეობის ვირუსის აფეთქება მოხდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უკვე 70-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. ლეთალური შემთხვევები უკანასკნელ ხანს აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალს გასცდა და თურქეთში უკვე 2 ადამიანი იმსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის შემთხვევაში "ფრინველის გრიპის" ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გავრცელების შემთხვევა ჯერ არ გამოვლენილა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ვირუსის მუტაციას კვლავინდებურად არ გამორიცხავს და პანდემიის საფრთხეს რეალურად აღიქვამს. თუმცა, ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ პანდემიის საფრთხის წინაშე ჩინეთიც დგას, რომელიც მოსახლეობის ყველაზე მასშტაბური რაოდენობით გამოირჩევა მსოფლიოში. საფრთხეს არც ის გარემოება ამსუბუქებს, რომ დიაგნოზის დასმის შემთხვევაში ხშირია შეცდომები და "ფრინველის გრიპის" ვირუსი ექიმებს ხშირად ფილტვების ანთებაში ერევათ.

ორგანიზაციის ერთ-ერთი თანამშრომლის, დოქტორ მაიკ რაიანის თქმით, თურქეთში ვირუსის გავრცელება გაცილებით სწრაფად ხდება, ვიდრე ეს აქამდე სხვა ქვეყნებში იყო. დღესდღეობით თურქეთში "ფრინველის გრიპის" ვირუსით დაავადებული ადამიანების რიცხვი 15-ს შეადგენს, რომელთაგან უმრავლესობა ბავშვია.

*ბი-ბი-სი*

# დივიდენდების მოცულობა რეკორდულია, მაგრამ...

პირველი გვერდიდან

მეტიც, 2000 წლიდან მოყოლებული, ანუ იმ დროიდან, რაც კანონით სახელმწიფო საწარმოებს ბიუჯეტში დივიდენდების გადახდა დაევალათ, არც ერთ წელს 18 მილიონ ლარზე მეტი არასდროს მობილიზებულა. ბოლო ხუთი წლის სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2000 წელი - გეგმა 20 მილიონი ლარი, ფაქტი 10 მილიონ 800 ათასი; 2001 წელი - გეგმა და ფაქტი 10 მილიონი; 2002 წელი - გეგმა 11 მილიონი, ფაქტი 8 მილიონ 800 ათასი; 2003 წელი - გეგმა 16 მილიონი, ფაქტი 12 მილიონ 650 ათასი და 2004 წელი - გეგმა 13 მილიონი, ფაქტი 18 მილიონი.

ასე რომ, 2005 წელს ბიუჯეტში გადარიცხული დივიდენდების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია, და ეს მაშინ, როცა დივიდენდის ყველაზე მსხვილი გადამხდელი რამდენიმე საწარმო უკვე გაყიდულია.

სხვათა შორის, გასული წლის დასაწყისში სახელმწიფო საწარმოებიდან მისაღები დივიდენდების მოცულობა 18 მილიონი ლარით განისაზღვრა, თუმცა მოგვიანებით ეს ციფრი ჯერ 21 მილიონით, შემდეგ კი 33 მილიონი ლარით შეიცვალა. ამ ნაწილში შარშან საბიუჯეტო პარამეტრების შეცვლა და, შესაბამისად, გადახდილი დივიდენდების ასეთი მკვეთრი ზრდა, როგორც "24 საათმა" გაარკვია, ძირითადად, ორი მიზეზით იყო გამოწვეული; წლის მეორე ნახევარში აუდიტორმა კომპანიებმა მთელი რიგი საწარმოების სამეურნეო-ფინანსური ანგარიშების შემოწმება დაასრულეს, რის შედეგადაც ამა თუ იმ საწარმოს რეალური მოგების მოცულობა დადგინდა. **"ამან კი, თავის მხრივ, გაზარდა ბიუჯეტში ჩასარიცხი დივიდენდის ოდენობა. მაგალითად, ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას თავიდან 4 მილიონ 500 ათასი ლარი ჰქონდა განსაზღვრული, თუმცა საბოლოოდ კორპორაციამ 7 მილიონ 500 ათასი გადმორიცხა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა ელგუჯა ექსეულიძემ.

იგივე განმეორდა "საქნავთობის" შემთხვევაში. წლების განმავლობაში ის ბიუჯეტში 100-150 ათას ლარს რიცხავდა. შარშანაც წლის დასაწყისში 300 ათასი ლარის გადახდა დაევალა ბიუჯეტში, თუმცა წლის ბოლოს მან ბევრად მეტი, 2 მილიონ 700 ათასი ლარი ჩარიცხა.

წლის დასაწყისში სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიას", იგივე "ელექტროკავშირს" ბიუჯეტში დივიდენდის სახით 500 ათასი ლარის გადახდა დაევალა, თუმცა წლის მიწურულს მან ოთხჯერ მეტი, 2 მილიონი ლარი გადაიხადა. ამ შემთხვევაში, აუდიტორების გარდა, გადამწყვეტი როლი ამ საწარმოს საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანამ შეასრულა. წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ამ ობიექტს გასაყიდად ამზადებს. **"თუკი ესა თუ ის ობიექტი იყიდება, მისი მოგება მთლიანად ბიუჯეტში მოგვაქვს. საწარმოში ახალ ინვესტიციებზე თავად ინვესტორმა უნდა იზრუნოს. ასე უდგება სახელმწიფო (ანუ ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრო) ამ საკითხს,"** - განმარტავს ელგუჯა ექსეულიძე.

ასე მოიქცა ხელისუფლება სს "მადნეულის" შემთხვევაში. ამ საწარმოს გაყიდვის შემდეგ, შარშან მისი მთლიანი მოგება, 8 მილიონი ლარი, დივიდენის სახით, ბოლო თეთრამდე ბიუჯეტში ჩაირიცხა. კულუარული ინფორმაციით, Stanton Equities Corporation-ი - კომპანია, რომელმაც "მადნეული" იყიდა, თავის დროზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან ამ საწარმოს მოგების მისთვის დათმობას ითხოვდა.

იგივე განმეორდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემთხვევაში. რაკილა ის უახლოესი 15 წლის განმავლობაში სამართავად თურქულ კონსორციუმს გადაეცა, აეროპორტის მოგება, 2 მილიონი ლარი შარშან მთლიანად ბიუჯეტში ჩაირიცხა.

რაც შეეხება 2006 წლის ბოლოს მისაღები დივიდენდების მოცულობას, მიმდინარე წლის ბიუჯეტში ის 18 მილიონ 900 ათასი ლარით განისაზღვრა, თუმცა კონკრეტულად თუ რომელი საწარმო რამდენს გადაიხდის, ეს წლის მეორე ნახევარში გახდება ცნობილი.

ერთი საინტერესო დეტალი: ჯერ კიდევ არ არსებობს შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებას ან ბიუჯეტში ჩასარიცხი დივიდენდების მოცულობას განსაზღვრავს. ამას ინდივიდუალურად ის კომისია ადგენს, რომელიც ყოველწლიურად საწარმოს ხელმძღვანელობასთან ინტენსიურ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს აწარმოებს. ეს პროცესი, როგორც წესი, მარტის ბოლოს იწყება და აპრილის ბოლომდე გრძელდება. კომისია დაკომპლექტებულია საწარმოთა მართვის სააგენტოს, ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებით და კონკრეტული საწარმოს მიერ ბიუჯეტში ჩასარიცხი დივიდენდების რაოდენობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

ასე იყო წლების წინ და ასე გრძელდება დღესაც. გასული წლების გამოცდილებამ და პრაქტიკამ აჩვენა, რომ საწარმოთა მოგების წილის განაწილების მექანიზმი სუბიექტურია და უწყებებს შორის გარიგების საგანი ხდება.

სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების სახით 2005 წელს მიღებული შემოსავლები

| № | საწარმოს დასახელება | ბიუჯეტში ჩარიცხული დივიდენდი (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ს/ს ,,საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია" | 7,500.0 |
| 2 | შ.პ.ს. ,,საქაერონავიგაცია" | 2,683.3 |
| 3 | ს/ს ,,თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" | 1,985.0 |
| 4 | შ.პ.ს. ,,საქართველოს რკინიგზა" | 6,500.0 |
| 5 | ს/ს ,,საქნავთობი" | 1,800.0 |
| 6 | შ.პ.ს. ,,ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური" | 1,489.0 |
| 7 | შ.პ.ს. ,,ფოთის ნავსადგური" | 2,300.0 |
| 8 | ს/ს ,,მადნეული" | 8,000.0 |
| 9 | ს/ს ,,საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" | 2,000.0 |
| 10 | სხვა დანარჩენი | 770.1 |
|  | სულ | 35,027.4 |

# აშშ და სამხრეთი კორეა "სტრატეგიული კონსულტაციების" მოლოდინში

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალური ვაშინგტონი და სეული მომავალ კვირას ისტორიის მანძილზე პირველად "სტრატეგიული კონსულტაციების" დაწყებას გეგმავენ.

**"კონსულტაციების თემები გლობალური, რეგიონული და ორმხრივი ურთიერთობების საკითხები იქნება. ეს ის თემებია, რომლებიც ჩვენს საერთო შეშფოთებას იწვევს,"** - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

"პარტნიორობის შესახებ სტრატეგიული კონსულტაციები" 19 იანვარს ვაშინგტონში დაიწყება. შეხვედრას აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი უხელმძღვანელებს, სამხრეთ კორეის მხრიდან კი ოფიციალური წარმომადგენელი საგარეო საქმეთა მინისტრი, პან კი-მუნა იქნება.

ზემოაღნიშნული შეხვედრის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში აშშ-სა და სამხრეთ კორეის ლიდერების სამიტზე მოხდა. კონსულტაციების შესახებ პუნქტი მათ ერთობლივ დეკლარაციაშიც იყო შეტანილი.

*რიანოვოსტი*




მოკლედ

## ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დღეს მოსამართლე ნუგზარ სარია მძევლად აიყვანეს

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე მძევლად აიყვანეს. სასამართლო დარბაზში არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მოსამართლე ნუგზარ სარიამ ზუგდიდის N4 საპყრობილის თანამშრომლის ვალტერ ფიფიას მკვლელობასთან დაკავშირებული პროცესის გადადების გადაწყვეტილება მიიღო. პროცესი გუშინ უნდა გამართულიყო. მისი გადადების მიზეზი პროცესზე ეჭვმიტანილის გამოუცხადებლობა გახდა, რადგან მან პირი და თვალები ამოიკერა. ეჭვმიტანილი ამ დროისთვის ზუგდიდის N4 საპყრობილეში იმყოფება.

მოსამართლის გადაწყვეტილებამ ვალტერ ფიფიას ოჯახის წევრების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი შეიჭრნენ ნუგზარ სარიას კაბინეტში, მძევლად აიყვანეს მოსამართლე და უარს აცხადებდნენ მის გათავისუფლებაზე, სანამ არ მოხდებოდა ეჭვმიტანილის ბადრაგირება ზუგდიდის N4 საპყრობილედან. ნუგზარ სარიას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მანამდე ჰყავდათ დატყვევებული, ვიდრე სასამართლო შენობასთან არ მივიდა პოლიციის დამატებითი ძალები. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მობილიზებულია პოლიციის დამატებითი ძალები. ისინი იცავენ მოსამართლეს და სასამართლოს შენობას ვალტერ ფიფიას ახლობლების შესაძლო აგრესიისგან. რაც შეეხება სასამართლო პროცესს, ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის გაიმართება იგი.

2005 წლის 7 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში ზუგდიდის N4 საპყრობილეს თანამშრომელი ვალტერ ფიფია საკუთარ საცხოვრებელ სახლში ყაჩაღური თავდასხმის დროს მოკლეს. **ინტერპრესნიუსი**

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დნმ-ის ლაბორატორიას შეიძენს

იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ლაბორატორიული ხელსაწყოების მიმწოდებელ კომპანიებს და მათ წარმომადგენლობებს კრიმინალისტიკური დნმ-ის ლაბორატორიის შესაძენად გამოსაცხადებელი ტენდერის მოსამზადებელ სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად იწვევს.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, ტენდერი გამოცხადდება დნმ-ის ლაბორატორიისათვის ძირითადი ლაბორატორიული აღჭურვილობისა და დნმ-ის ექსტრაქციისა და იდენტიფიკაციისათვის საჭირო სპეციალური ხელსაწყოების შესაძენად. ლაბორატორიის მიმწოდებელმა ხელსაწყოებთან ერთად უნდა იზრუნოს შესაბამისი მეთოდოლოგიების მიწოდებაზე, ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო გაეცნობა კომპანიების მიერ წარდგენილ კრიმინალისტიკური დნმ-ის ლაბორატორიული მოწყობილობების ჩამონათვალს, მათ სპეციფიკაციას, ტექნიკურ აღწერილობასა და ღირებულებას. ეს ეტაპი ბიუროს ხელს შეუწყობს, ტენდერის გამოცხადების დროისათვის ჰქონდეს მასში პოტენციურ მონაწილეთა სია.

2006 წლის 30 იანვარს დასრულდება ტენდერის მოსამზადებელი პროცედურა, რომლის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება. **24 საათი**

## აზერბაიჯანელი ჟურნალისტები საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეხვედრას ითხოვენ

აზერბაიჯანის წამყვანი ჟურნალ-გაზეთებისა და სააგენტოების მთავარი რედაქტორები საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეხვედრას ითხოვენ, რათა მიიღონ დეტალური ინფორმაცია ოპოზიციონერი ჟურნალისტის ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის საქმის გამოძიების შესახებ. როგორც პრაიმ-ნიუსს ელმარ ჰუსეინოვის ფონდის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჟურნალ "განუნის" მთავარმა რედაქტორმა, შაჰბაზ ჰუდუოღლუმ განუცხადა, აზერბაიჯანის მთავრობა არ იძლევა ინფორმაციას გამოძიების მსვლელობასთან დაკავშირებით. "2 მარტს ერთი წელი სრულდება ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობიდან. თუმცა, მკვლელების დაკავება დღემდე არ მომხდარა. გამოძიება ან ჩიხში შევიდა ან ჩვენს ხელისუფლებას არ სურს, იგი ბოლომდე მიიყვანოს", - თქვა ჰუდუოღლუმ.

"ნებისმიერ შემთხვევაში, გვსურს შევხვდეთ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი უარს არ იტყვის ჩვენთან შეხვედრაზე და მისგან მივიღებთ ინფორმაციას გამოძიების მსვლელობის შესახებ. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ დროს ჩამოვიდეთ თბილისში, როგორც კი შეხვედრა შესაძლებელი იქნება", - განაცხადა შაჰბაზ ჰუდუოღლუმ. ჟურნალისტის თქმით, საქართველოს გენერალურ პროკურორთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს პოპულარული გამოცემების მთავარმა რედაქტორებმა. "აზადლიგი", "ენი მუსავატი", "გუნ-აჰარი", "ბაკინსკიე ვედომოსტი", "ბიზინ იოლი", "ბაკი-ჰაბარი", საინფორმაციო სააგენტო "ტურანი", ჟურნალი "განუნი" - ეს ის უწყებებია, რომელთა რედაქტორებიც ადეიშვილთან შეხვედრას ითხოვენ. აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს იმის იმედიც აქვთ, რომ მათ ქართველი კოლეგებიც დაეხმარებიან ელმარ ჰუსეინოვის მკვლელობის გამოძიებაში. შეგახსენებთ, რომ ჟურნალ "მონიტორის" მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი 2005 წლის 2 მარტს საკუთარი სახლის სადარბაზოში მოკლეს. აზერბაიჯანის ძალოვანმა სტრუქტურებმა განაცხადეს, რომ მკვლელები თეიმურაზ ალიევი და ტაჰირ ხუბანოვი საქართველოს მოქალაქეები არიან და საქართველოს სთხოვეს დახმარება მათი დაკავების საქმეში. **პრაიმ-ნიუსი**

## გალში ადამიანთა გატაცებებს სეპარატისტები ქართულ მხარეს აბრალებენ

სეპარატისტული სოხუმის შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ხელია 6 და 9 იანვარს გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში ადამიანთა გატაცების ფაქტებს ქართული სპეცსამსახურების ხელწერად მიიჩნევს. 6 იანვარს ორმა შეიარაღებულმა ნიღბიანმა პირმა გალი-თაგილონის მარშრუტის ავტობუსის მძღოლი, 41 წლის მამუკა ოკუჯავა გაიტაცა. ქართული მხარის ცნობით, გამტაცებლებმა ოკუჯავების ოჯახს შვილის წამების ამსახველი ვიდეოფირი გამოუგზავნეს და 50 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვეს. თუმცა, ოთარ ხელია აცხადებს, რომ გამტაცებლები, მძევლის სანაცვლოდ, 25 ათას დოლარს ითხოვენ. 9 იანვარს კი სოფელ ნაბაკევში სამმა შეიარაღებულმა პირმა საკუთარი სახლიდან სოფლის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი 66 წლის ზაირა ეხვაია გაიტაცა. მისი გამოსასყიდი თანხის შესახებ ქართული და აფხაზური მხარეები განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებენ - კერძოდ, ქართული მხარის ინფორმაციით, ეხვაიას ოჯახისგან გამტაცებლები 50 ათას დოლარს ითხოვენ, აფხაზთა მონაცემებით კი - 25 ათას დოლარს. "ეს გატაცებები ქართული სპეცსამსახურების მიერაა ორგანიზებული, რათა გალის რაიონში ვითარება დაიძაბოს. ამ საქმესთან დაკავშირებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს ვაწარმოებთ", - აცხადებს ოთარ ხელია. აფხაზური მხარის არგუმენტი ის არის, რომ გალში ვითარების ხელოვნურად დაძაბვით ქართული მხარე ცდილობს, რაიონში გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის გახსნას და გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის კონტინგენტის განთავსებას მიაღწიოს. თავის მხრივ, ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ სეპარატისტული ხელისუფლება გალის რაიონში ვითარებას ვერ აკონტროლებს. **მედიანიუსი**

## შალვა რამიშვილის სასამართლო პროცესი 13 იანვარს დაიწყება

თბილისის საქალაქო სასამართლოში ტელეკომპანია "202"-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილისა და ამავე ტელეკომპანიის დირექტორისა და, ასევე, დამფუძნებლის დავით კოხრეიძის საქმესთან დაკავშირებით პირველი სხდომა დაინიშნა. დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატის გოჩა სვანიძის განცხადებით, გამწესრიგებელი სხდომა 13 იანვარს გაიმართება და მას განსასჯელებიც დაესწრებიან. საქმეს მოსამართლე ნინო სანდოძე განიხილავს. ადვოკატები პირველ სხდომაზე რამიშვილისა და კოხრეიძის მიმართ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებისა და მტკიცებულებების გამოთხოვის შუამდგომლობებს დააყენებენ. როგორც სვანიძემ განაცხადა, ვინაიდან რამიშვილსა და კოხრეიძეს წინასწარი პატიმრობის სამთვიანი ვადა 27 სექტემბერს ამოეწურა და სასამართლოს მათთვის ვადის გაგრძელების საკითხზე არ უმსჯელია, ისინი უკანონო პატიმრებად ითვლებიან. ადვოკატთა ბრალდებებს უარყოფენ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები. სასამართლოს ინფორმაციით, პროკურატურამ მათ საქმე საპროცესო ვადების დაცვით გადასცა, მოსამართლეს კი საქმის განხილვისთვის ერთწლიანი ვადა აქვს.

ტელეკომპანია "202"-ის ერთ-ერთი დამფუძნებლი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის დირექტორი დავით კოხრეიძე მიმდინარე წლის 27 აგვისტოს დააკავეს. მათ პარლამენტარ კობა ბექაურისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედავებიან. **ინტერპრესნიუსი**

ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
PSP პსპ
იწყებს განაცხადის მიღებას ქსელში ფარმაცევტის ვაკანსიაზე

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:
- უმაღლესი ფარმაცევტული განათლება;

გამოცდილება:
- ფარმაცევტულ სფეროში (აფთიაქში) მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (აუცილებელია).

უპირატესობა:
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შემოიტანოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III
(თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები)
ან გამოაგზავნოთ თქვენი მონაცემები ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: vacancy@psp.ge

# სამუდამო პატიმრობა - მარტოხელა ტერორისტის განაჩენი

პირველი გვერდიდან

ვლადიმერ არუთინიანმა სასამართლო პროცესზე თავი დამნაშავედ მხოლოდ ერთ ბრალდებაში ცნო. ბოლო სასამართლო პროცესზე, საბოლოო სიტყვით, მან მოქალაქე ნანა გაგუას კუთვნილი პირადობის მოწმობის გამოყენება აღიარა. როგორც მისი ინეტერსების დამცველი განმარტავს, ამ მოწმობით მან "მაგთის" ოფისში ბარათი შეიძინა. არუთინიანმა უარყო პოლიციელის მკვლელობა, ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-გამოყენება, სამალავების გამოყენება, მომწამლავი ნივთიერებების შენახვა და სხვა კატეგორიის დანაშაულები. რაც შეეხება 2005 წლის 10 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე ტერაქტის მცდელობის ფაქტს, ეს დანაშაული არუთინიანმა დაკავების პირველივე დღეებში აღიარა, თუმცა სასამართლო პროცესზე აღიარება გადათქვა.

სახელმწიფო ბრალდების მიერ არუთინიანისთვის სასჯელის ზომად სამუდამო პატიმრობის მოთხოვნას ადვოკატი ლიზი ჯაფარიძე უსაფუძვლოს უწოდებს და მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სასამართლოს მიერ მხოლოდ ჯარიმის დაკისრება მიაჩნია გამართლებულად. ადვოკატი დაცვით სიტყვაში ირწმუნებოდა, რომ განსასჯელისთვის წარდგენილი ბრალდებები საფუძვლიანად არ არის დასაბუთებული და საქმეში ბევრი საეჭვო და გაურკვეველი გარემოებაა. არუთინიანის ინტერესების დამცველი იმასაც აცხადებდა, რომ ავტომატზე, რომელიც დაკავებისას მისი დაცვის ქვეშ მყოფს აღმოუჩინეს, არუთინიანის თითის ანაბეჭდები არ არის.

შეგახსენებთ, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიების მიმდინარეობის მანძილზე ვლადიმერ არუთინიანმა ხუთი ადვოკატი გამოიცვალა. ბოლოს მან კატეგორიული უარი განაცხადა ადვოკატზე. **"ჩემი განაჩენი უკვე დაწერილია, ამდენად, ადვოკატის ყოლას აზრი არ აქვს,"** - ასეთი იყო განსასჯელის არგუმენტი. თუმცა, რადგან მისთვის წაყენებული 10 ბრალდებიდან სამი უვადო პატიმრობას ითვალისწინებს და მძიმე კატეგორიის დანაშაულს ეკუთვნის, სახელმწიფო ბრალდებამ მისთვის სახაზინო ადვოკატის დანიშვნა იძულების წესით მოითხოვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. დაახლოებით ერთი თვის წინ, განსასჯელს სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. **"პაციენტი ფსიქიკურად ჯანმრთელია,"** - ასეთია ფსიქიატრ-ექსპერტების დასკვნა.



საქალაქო სასამართლოს გუშინდელი განჩენი საბოლოო არ არის - ის გასაჩივრებას ექვემდებარებვა. მსჯავრდებულის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას და განაჩენის გაუქმებას კანონით გათვალისწინებულ ვადებში ზემდგომ ინსტანციაში მოითხოვს.

*24 საათი*

# ვაშინგტონის ყოფილ მერს ფინანსურ მაქინაციებსა და ნარკოტიკების მოხმარებას აბრალებენ

ვაშინგტონის ყოფილი მერი, ამჟამად კოლუმბიის ოლქის საბჭოს წევრი, მარიონ ბარი კოკაინის მოხმარებაში გამოიჭირეს. ამის თაობაზე გუშინ ერთ-ერთი გაზეთი ორ სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყებოდა. რაც მთავარია, ეს ბარის მთავარი პრობლემა არ არის.

"ბარის ორგანიზმში კოკაინის შემცველობა სასამართლოს მიერ დანიშნული ტესტის ჩატარების შემდეგ დადგინდა. სასამართლომ კი ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ყოფილ მერს საგადასახადო მაქინაციების წარმოებაში წარუდგინეს ბრალი", - წერს გაზეთი.

იმის გამო, რომ ნარკოტიკების შემცველობაზე ჩატარებულმა ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, 69 წლის ბარის ახლა პატიმრობა ელის. არადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მას საგადასახადო მაქინაციებისთვის მხოლოდ პირობით სასჯელს აკმარებდა; ახლა კი, მას გისოსებს მიღმა, სავარაუდოდ, 18 თვის გატარება მოუწევს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის მოხდის დაწყების თარიღად 8 თებერვალია დანიშნული, სასამართლოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია ყოფილი მერის ციხეში გაგზავნა.

თავად ბარიმ, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში, ერთ-ერთ საავადმყოფოში იმყოფება, გაზეთის ჟურნალისტებს ყოველგვარი კომენტარის მიცემაზე უარი განუცხადა და უთხრა, - რაც გინდათ, ის წერეთო.

როგორც გაზეთი იუწყება, ვაშინგტონის მერის პოსტზე ბარი ოთხჯერ აირჩიეს. 2004 წელს კი იგი უკვე საბჭოს წევრი გახდა. საგადასახადო მაქინაციებში კი ყოფილი მერი შარშან ოქტომბერში დაადანაშაულეს. მართლმსაჯულება მას იმ 530 ათას დოლარს ედავება, რომელიც მან მერის პოსტის დატოვების შემდეგ შემოსავლის სახით მიიღო და ამ თანხის ძირითადი ნაწილი დეკლარაციაში არ შეუტანია. მარიონ ბარის სასამართლო ამ ბრალდებისთვის პირობით სასჯელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმარებდა, თუ იგი წარმატებით გაივლიდა ტესტს ნარკოტიკებზე. ბარიმ კი ეს ტესტი ნოემბერში ჩააგდო.



*მარიონ ბარი კოკაინის მოხმარებაში გამოიჭირეს.*

სხვათა შორის, 1990 წელს, როცა ბარი ამერიკის დედაქალაქის მერად უკვე მესამე ვადით იყო არჩეული, ვაშინგტონის ერთ-ერთ სასტუმროში ის მაშინ დააპატიმრეს, როცა ვიდეოჩანაწერმა დააფიქსირა, როგორ ეწეოდა კრეკს. ამის შემდეგ მან ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან გასათავისუფლებლად მკურნალობის კურსიც კი ჩაიტარა. თუმცა, ამას მისთვის ხელი არ შეუშლია ორ წელიწადში პოლიტიკას დაბრუნებოდა და მერის პოსტზე მეოთხეჯერაც აერჩიათ.

უკვე 2002 წელს პოლიციამ ბარის კუთვნილ ავტომანქანაში მარიხუანასა და კოკაინის კვალს მიაგნო. ამას ოფიციალური ბრალდებების წაყენება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, ბარი მალე ცოლმა მიატოვა. თავად მარიონ ბარი კი კვლავ პოლიტიკაში დარჩა და საქალაქო საბჭოშიც კი აირჩიეს. როგორ განვითარდება ამჯერად მოვლენები, სულ მალე გაირკვევა.

*24 საათი*

# ფინანსური პოლიცია გურჯაანის ჯანდაცვაში შევიდა

*გურჯაანის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი სიხარულიძე რაიონის ჯანდაცვის განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელს ფინანსურ დარღვევებში და სახელმწიფო ქონების მითვისებაში ადანაშაულებს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ფინანსურმა პოლიციამ ძიება დაიწყო და საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით აღძრა.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

რეგიონის საოლქო პროკურატურამ გასული წლის განმავლობაში უკვე ათობით ჩინოვნიკი დააკავა თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. იგივე ბრალდება, შესაძლოა, სულ მალე ჯანდაცვის დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილების თანამშრომლებსა და ხელმძღვანელსაც წაუყენონ. რამდენიმე დღის წინ დაწესებულებაში ფინანსური პოლიცია შევიდა, რომელმაც მთელი რიგი დარღვევები გამოავლინა.

**"გურჯაანის ჯანდაცვაში რომ დარღვევებს ჰქონდა ადგილი, ამის შესახებ ინფორმაცია გურჯაანის რაიონულმა პროკურატურამ მოგვაწოდა, რადგან ობიექტის შემოწმება ჩვენს კომპეტენციაში შედიოდა. აღნიშნულის შესახებ ცნობა ჯანდაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა მანანა გოგაშვილმა ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე მიაწოდა რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს. ამ უკანასკნელის განკარგულებით კი, საინვენტარიზაციო კომისია და აქტი შედგა",** - აცხადებს ფინანსური პოლიციის გამომძიებელი დავით აბრამიშვილი.

შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 1995 წლიდან 2005 წლის მარტის თვის ჩათვლით ორგანიზაციის სახელზე ირიცხებოდა "ფიატის" მარკის ექვსი მანქანა, ოთხი მობილური და ერთი მაცივარი, რომელიც ამ დროისთვის ჯანდაცვის სამსახურის ბალანსზე აღარ ირიცხება.

რიონული ჯანდაცვის ახალი ხელმძღვანელი მანანა გოგაშვილი ამბობს, რომ მის უწყებაში გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია აკაკი სიხარულიძემ მოიპოვა, რასაც აკაკი სხარულიძეც არ უარყოფს და ასეთი გადაწყვეტილების მიღებას შემდეგნაირად ხსნის: **"როცა ახალი ხელმძღვანელი ინიშნება, გარკვეული პერიოდის მანძლზე იქ ტარდება ინვენტარიზაცია. ჩემთვის ეს მონცემები ცნობილი გახდა და პროკურატურას გადავეცი".**

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამსახურის ყოფილ უფროსთან რევაზ აბელაშვილთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. თუმცა, როგორც გურჯაანის გამგეობაში ამბობენ, აკაკი სიხარულიძემ იმ მოტივით გადაწყვიტა რეზო აბელაშვილისთვის "სადამსჯელო ღონისძიების" ჩატარება, რომ იგი აღნიშნულ თანამდებობაზე აღდგენას სასამართლო ძალით ცდილობდა. ამ ფაქტს სიხარულიძე კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მან კანონის ფარგლებში იმოქმედა.

ამ დროისთვის ფინანსურმა პოლიციამ ჯანდაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი და ბუღალტერი უკვე დაკითხა. საქმის გამომძიებელი დავით აბრამიშვილი არ გამორიცხავს, რომ ძიების პროცესში აღნიშნულ უწყებაში სხვა დარღვევებიც გამოვლინდეს.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "ნაძალადევი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" შენობის ხელი [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: [illegible] თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# საახალწლო ანაბარი

წლიური

**11,75%**

დოლარი / ევრო




+ საჩუქრად




- საპროცენტო სარგებლის წინასწარი, ყოველთვიური ან ვადის ბოლოს გატანის შესაძლებლობა;
- საპროცენტო სარგებლის მიღება მიმდინარე ანგარიშიდან ან პლასტიკური ბარათის მეშვეობით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია სესხის აღება ანაბარზე დასარიცხ პროცენტს + 4% წლიური განაკვეთით;
- მოთხოვნისთანავე შესაძლებელია ოვერდრაფტის დაშვება კლიენტის მიმდინარე ან საბარათო ანგარიშზე.

**BR ბანკი რესპუბლიკა** 29 45 99


ცენტრალური ფილიალი
თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2
ტელ: (995 32) 294598, 294599; ფაქსი: (995 32) 227566

დელისის ფილიალი
თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47ა
ტელ: (995 32) 312161, 312181; ფაქსი: (995 32) 312161

სამტრედიის ფილიალი
სამტრედია, რაზმაძის ქ. 2
ტელ: (8 211) 21353, 21157, 21938, 569855, 560740
ფაქსი: (8 211) 560740

სადგურის ფილიალი
თბილისი, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია
ტელ: (995 32) 911117, 911118, 237043; ფაქსი: (995 32) 911117, 911118

გლდანის ფილიალი
თბილისი, ხიზანიშვილის ქ.20
ტელ: (995 32) 590770, 590880; ფაქსი:(995 32) 590660

ზუგდიდის ფილიალი
ზუგდიდი, ზვ.გამსახურდიას გამზ. 34
ტელ: (8 215) 5 00 08, 5 08 08

ბათუმის ფილიალი
ბათუმი, ქუთაისის ქ. 6
ტელ: (8 222) 32810, 32811; ფაქსი: (8 222) 32812

სათხილამურო სპორტი

# კოსტნერის მომავალი გამოწვევა დედობაა



იზოლდასთვის მორიგი ჯილდო დედობა იქნება.

ცნობილი იტალიელი სამთო მოთხილამურე იზოლდა კოსტნერი, რომელმაც საკუთარი კარიერის განმავლობაში სამი ოლიმპიური მედალი - ორი "ბრინჯაო" ლილეჰამერში და "ვერცხლი" სოლტ ლეიკ სიტიში მოიგო, ტორინოს ოლიმპიურ თამაშებზე საპატიო მიზეზის გამო არ იასპარეზებს - 30 წლის მოთხილამურე ორსულადაა.

"სამწუხაროა, რომ იტალიის ერთ-ერთი სახელოვანი მოთხილამურე დიდი სპორტიდან მიდის, - აცხადებს იტალიის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი გაეტანო კოპი, - ახალმა წელმა კოსტნერს უდავოდ კარგი ჯილდო მოუტანა, ალბათ, უმთავრესიც".

თუმცა, გაეტანო კოპი აღიარებს, უმჯობესი იქნებოდა კოსტნერს ასეთი ჯილდო ცოტა მოგვიანებით მიეღო. მიუხედავად ამისა, მომავალ დედას გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და მშობლის რანგში წარმატებები უსურვა.

იტალიელმა მოთხილამურემაც დაადასტურა, რომ სპორტულ კარიერას წერტილს უსვამს.

"რადგან ბავშვს ველოდები, ტორინოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას არ მივიღებ. ამიტომ ჩემი შემდგომი გამოწვევა იქნება არა ოქროს მედლისთვის ბრძოლა, არამედ დედობა. ღვთის მადლიერი ვარ, რომ ასეთი საჩუქარი მიძღვნა".

კოსტნერს მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატებიც: სუპერგიგანტში 1996 და 1997 წლებში და მსოფლიო თასები დაშვებაში 2001 და 2002 წლებში.

მოკლედ

### ვუდგეიტი ისევ დაშავდა

მადრიდის "რეალის" ინგლისელმა მცველმა ჯონათან ვუდგეიტმა მორიგი ტრავმა მიიღო. ფეხბურთელმა მარცხენა ფეხი დაიზიანა. ინგლისელი "ივლიარელთან" მატჩში დაშავდა. ვუდგეიტმა მხოლოდ ორი მატჩის გამართვა მოასწრო მას შემდეგ, რაც წინა, ხანგრძლივი ტრავმა მოირჩინა.

### მპენზა ყატარში გადაბარგდება

ბელგიელი ფორვარდი ემილ მპენზა სეზონის ბოლოს "ჰამბურგს" დატოვებს. შავკანიანმა ფორვარდმა ყატარის კლუბ "ალ-რაიანთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. "ჰამბურგში" მპენზა წელიწადნახევრის წინათ გადავიდა და 36 მატჩში 5 გოლი გაიტანა. "ალ-რაიანმა" ფეხბურთელის სანაცვლოდ 1,2 მილიონი ევრო გადაიხადა.

### "ალავესმა" ბულგარეთის ნაკრების ფეხბურთელი გადაიბირა

ესპანეთის პრიმერადივიზიონის აუტსაიდერმა ბასკურმა "ალავესმა" იჯარის წესით სოფიის "სლავიას" ნახევარმცველი ბლაგოა გეორგიევი წაიყვანა. ბულგარელი ესპანურ კლუბში სეზონის ბოლომდე დარჩება. სეზონის ბოლოს მას უფლება აქვს კლუბში დარჩეს, თუ, რა თქმა უნდა, "ალავესი" პრიმერაში ადგილს შეინარჩუნებს. გეორგიევმა ბულგარეთის ნაკრებში 21 მატჩი გამართა. ცოტა ხნით ადრე ესპანელებმა ბრაზილიის "სანტოსის" ნახევარმცველი ენტონი ჯოვანი შეიძინა.

### დელ პიერომ რეკორდი დაამყარა

ალესანდრო დელ პიერომ "ფიორენტინას" კარში გატანილი სამი გოლის შემდეგ კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. ამჟამად დელ პიეროს ანგარიშზე 182 გოლია. ამ მაჩვენებლით მან გადაასწრო ჯამპიერო ბონიპერტის, რომელიც 1946-დან 1961 წლამდე იცავდა "იუვენტუსის" ღირსებას. დელ პიეროსთვის რეკორდული გახდა "ფიორეს" კარში გატანილი პირველი გოლი.

### "ბენფიკა" და "სპორტინგი" კავენაგით დაინტერესდნენ

ლისაბონის "ბენფიკამ", რომელიც ფორვარდის ძებნაშია, თვალი დაადგა მოსკოვის "სპარტაკის" არგენტინელ ფორვარდს ფერნანდო კავენაგის. პორტუგალიური პრესის ცნობით, არგენტინელისადმი ინტერესი "ბენფიკამ" ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს გამოამჟღავნა, როცა კლუბს ჰოლანდიელი რონალდ კუმანი ჩაუდგა სათავეში. ახლა პორტუგალიელთა მზერა ინგლისური "ბოლტონისა" და მექსიკის ნაკრების ფორვარდის ჰარედ ბორხეტისკენაც არის მიმართული. თუმცა, არგენტინელთან შედარებით მექსიკელს ერთი ნაკლი აქვს - ის კავენაგიზე 10 წლით უფროსია. ტრანსფერის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს კავენაგის ფასი. სატრანსფერო ბაზარზე მას ძვირად აფასებენ. ამიტომ არ არის გამორიცხული პორტუგალიელებმა ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე იჯარის წესით ინათხოვრონ. ამასთან, პორტუგალიური პრესა იუწყება, რომ მოსკოველებს კავენაგის თაობაზე შეიძლება წინადადებით მიმართოს ლისაბონის მეორე კლუბმა "სპორტინგმაც", რომელიც ასევე საჭიროებს კვალიფიციურ ფორვარდს.

### გასული წლის საფეხბურთო სტატისტიკა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ ინგლისის "ლივერპული" გასული წლის მსოფლიოს საუკეთესო კლუბად აღიარა. სამშაბათს გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იყო 2005 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე კლუბების მიერ მიღწეული შედეგები, "ლივერპულმა" 317 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი იტალიის "ინტერს" ხვდა წილად - 307, ხოლო მესამე ადგილზე 281 ქულით მიუნხენის "ბაიერნი" გავიდა. კახა კალაძის "მილანი" მეოთხე ადგილზეა - 263 ქულა.

### ბრაზილიამ საკუთარი რეკორდი დაამხო

ბრაზილიამ ფეხბურთელთა ექსპორტის მიხედვით მორიგი რეკორდი დაამხო. ლათინოამერიკული პრესის ინფორმაციით, 2005 წელს ქვეყანა 878-მა ფეხბურთელმა დატოვა. აქამდე სარეკორდო მაჩვენებელი 2004 წელს დაფიქსირდა. მაშინ ქვეყნიდან 857 ფეხბურთელი წავიდა.

ბრაზილიელთა უმრავლესობა არჩევანს აჩერებს პორტუგალიაზე, სადაც თარჯიმნის გარეშე შეიძლება ცხოვრება. 2004 წელს 150 ბრაზილიელი ფეხბურთელი სწორედ პორტუგალიაში გადაბარგდა.

თუმცა, კარგი გასამრჯელოს ძიებაში ბევრი ფეხბურთელი საფეხბურთო თვალსაზრისით ეგზოტიკურ ქვეყნებში მიემგზავრება. მაგალითად, 2005 წელს ბრაზილიელი ფეხბურთელები სათამაშოდ წავიდნენ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჰაიტი, ყაზახეთი, კვიპროსი, მალტა, მოლდოვა, ომანი და სხვა.

ფეხბურთი

# "დინამო" ცსკა-სთან მატჩის წინ

## 14 იანვარს თანამეგობრობის თასი იწყება

მიხეილ აბაიშვილი

ხვალ, გამთენიისას, თბილისის "დინამო" მოსკოვში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ ტურნირში - თანამეგობრობის თასის გათამაშებაში. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში საქართველოს ჩემპიონის გარდა პოსტსაბჭოური სივრცის ყველა - 14 ჩემპიონი ითამაშებს. თბილისის "დინამო" საკმაოდ ძლიერ ქვეჯგუფში მოხვდა - რუსეთის ცსკა-სთან, ესტონეთის ტვმკ-სთან და უზბეკეთის "ფახთაქორთან". "დინამო", ტურნირში მონაწილე დანარჩენი გუნდების მსგავსად, სასტუმრო "იზმაილოვოში" განთავსდება. შეიძლება ითქვას, რომ პირველივე მატჩი, რომელიც 14 იანვარს გაიმართება, ჩვენი გუნდისთვის გადამწყვეტი იქნება. "დინამოს" მეტოქე იქნება ტურნირის უდავო ფავორიტი, უეფას თასის მფლობელი ცსკა. 15 იანვარს საქართველოს ჩემპიონი "ფახთაქორს" შეხვდება, ხოლო 17-ში ქვეჯგუფის დასკვნით შეხვედრას ტალინის ტვმკ-სთან გამართავს.

კახა ცხადაძე მოსკოვში 19 ფეხბურთელს წაიყვანს. იგი შემადგენლობას დღეს დაასახელებს.

გუშინ "დინამომ" გამგზავრებისწინა ბოლო საკონტროლო თამაში გამართა ჯიქიას ქუჩაზე მდებარე სპორტსკოლა "დერბის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე. ცხადაძის შეგირდების მეტოქე იყო სოხუმის "დინამო". უნდა ითქვას, რომ მატჩი თბილისელთა სოლიდური უპირატესობით წარიმართა. თბილისელებმა ზღვისპირელებს 5 უპასუხო გოლი გაუტანეს. ორჯერ თავი გამოიჩინა მეგრელაძემ. ასევე "დუბლით" გამოირჩა სამი თვით ბოლნისის "სიონში" განათხოვრებული და უკვე მშობლიურ კლუბს დაბრუნებული ჯაბა დვალი, მეხუთე გოლი კი კვიტაიშვილის ანგარიშზეა. კვიტაიშვილის გვარი ფეხბურთის ქართველი ქომაგებისთვის ნაკლებადაა ცნობილი. იგი "დინამო 2"-ის აღსაზრდელია, თუმცა, ადვილი შესაძლებელია, ძირითად გუნდში მალე დაიმკვიდროს ადგილი. სოხუმის "დინამოს" წინააღმდეგ ცხადაძემ ნორჩ ფეხბურთელთა მთელი ჯგუფი გამოსცადა, რაშიც დარწმუნდებით, როცა თბილისელთა შემადგენლობას გაეცნობით.

პირველი ტაიმი: სტურუა, თომაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, ნოზაძე, მერებაშვილი, ჩირიკაშვილი, ნავალოვსკი, ბობოხიძე, მელქაძე, მეგრელაძე.

მეორე ტაიმი: გრიშიკაშვილი, ლობჟანიძე, თომაშვილი, გიგაური, აკობია, მერებაშვილი, ფირცხალავა, ქუცურუა, კვიტაიშვილი, მეგრელაძე, დვალი.

ცხადაძე სპარინგ-მატჩით და თავისი ფეხბურთელების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მოქმედებით კმაყოფილი დარჩა.



კახა ცხადაძე: "ამ ეტაპზე ჩემი გუნდი ნამდვილად არ არის იდეალურ ფორმაში."

"ამ შეხვედრაში ის ფეხბურთელები გამოვცადეთ, რომლებსაც ახალგაზრდასაც ვერ უწოდებ - 17-18 წლის, ანუ იუნიორული ასაკის არიან. საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. საქმისადმი მათი დამოკიდებულებით ვარჯიშებზეც კმაყოფილი ვარ. თუ ასე გააგრძელეს, დიდი შანსია, რომ მაღალ დონეზე ითამაშონ", - აღნიშნა ცხადაძემ.

რაც შეეხება თანამეგობრობის თასს, "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ამ ტურნირს მოსამზადებელ ეტაპად განიხილავს, თუმცა, აქცენტი შედეგიან გამოსვლაზეც გაკეთდება.

"ამ ეტაპზე ჩემი გუნდი ნამდვილად არ არის იდეალურ ფორმაში. საქართველოს ჩემპიონატში არდადეგებია. ჩვენ რამდენიმე დღის წინ განვაახლეთ ვარჯიში. ასე რომ, თანამეგობრობის თასის ტურნირს განვიხილავ, როგორც მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელ ერთ-ერთ ეტაპს. მოსკოვში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიგვყავს, რომლებსაც ნაკლებად აქვთ საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება. ამ ტურნირზე კი თამაშები თავისი ხასიათით ნახევრად ოფიციალურ ხასიათს ატარებს. ჩვენი ნორჩი მოთამაშეებისთვის მოსკოვში თამაში კარგი სკოლა იქნება. თუმცა, რაღა თქმა უნდა, შედეგზეც ვფიქრობთ. ჩვენ თბილისის "დინამო" ვართ და რუსეთის დედაქალაქში ისეთ ფეხბურთს ვითამაშებთ, როგორიც ამ სახელს ეკადრება", - განაცხადა კახა ცხადაძემ.

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ "დინამომ" ეს ტურნირი მოიგო - ფინალში რიგის "სკონტო" დაამარცხა. იმ შემადგენლობიდან "დინამოს" ორი ფეხბურთელი ჰყავს დარჩენილი - ლადო ახალაია, რომელიც "ციურიხში" განათხოვრების ვადის ამოწურვის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა და ლევან მელქაძე. მაღალი სიცხის გამო ახალაიას გუშინდელ საკონტროლო მატჩში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, იგი მოსკოვში გაემგზავრება და შეეცდება, თავის გუნდს ორი წლის წინანდელი წარმატების გამეორებაში დაეხმაროს.

# ჰოლანდიელთა ნაცისტური გამოხდომა მსოფლიოს წინ

საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატამდე, რომელსაც ივნის-ივლისში გერმანიის სტადიონები უმასპინძლებს, არც ისე დიდი დროა დარჩენილი. თუ ეროვნული ნაკრებები ჩემპიონატისთვის საგანგებო ტაქტიკას ამუშავებენ, მათი გულშემატკივრები საყვარელი გუნდის საქომაგოდ ნაირგვარ მეთოდებს მიმართავენ, რაშიც რიგი ფირმები ხელსაც უწყობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰოლანდიელთა იდეა, თუმცა, ვისთვის გამოხდომა, რომლის მიხედვითაც ნარინჯისფერთა საქომაგოდ ჰოლანდიური ფირმა ფეხბურთის ფანობას მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ნაცისტური არმიის ჯარისკაცთა სტილიზებული ჩაფხუტებით მოამარაგებს. დიზაინი ნაცისტთა ჩაფხუტების ალი-კვალია, სხვაობა მხოლოდ ფერშია - ახალი მუზარადები ნარინჯისფერია.

კომპანია Free Time Products, რომელის დამსახურებაცაა ასეთი ჩაფხუტების დამზადება, საკუთარ პროდუქციას უწყინარ ხუმრობას უწოდებს. თუმცა, ვისთვის როგორ.

კომპანიის წამოწყებას უკვე არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათ შორის მოწინავეთა რიგებში დგანან ჰოლანდიის ფეხბურთის მამები.

ნიდერლანდების ფეხბურთის ფედერაცია (KNVB) კომპანიის ნაწარმს უგემოვნებობის გამოხატულებას უწოდებს.

"ისინი ამბობენ, რომ სულაც არ უნდოდათ საკუთარი ჩაფხუტებით მეორე მსოფლიო ომზე მიეთითებინათ, პირიქით კი გამოუვიდათ. ის, რაც მათ გააკეთეს, სულაც არ შეესაბამება ფეხბურთის სულს", - აცხადებს ნიდერლანდების ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ფრანკ ხუიზინგა.




ჰოლანდიელები გერმანიის სტადიონებზე ასეთი ქუდებით ისხდებიან.

ამასობაში Free Time Products-ის წარმომადგენელი ვინო გირტსი თავს იმართლებს: "მსოფლიო ჩემპიონატისას ბრძოლის ველი სრულიად განსხვავდება ჩვეულებრივისგან. არ შეგვეძლო არ გვეხუმრა ჩვენს მუდმივ მეტოქე გერმანელებზეო".

ორიოდე სიტყვა კომპანიის ვებ-გვერდზე (www.helmpje.nl) განთავსებულ ინფორმაციაზე, უფრო სწორად, ერთგვარ ინსტრუქციაზე, რომლის მიხედვით ჰოლანდიელმა გულშემატკივრებმა მათთვის განკუთვნილი მუზარადები სტადიონზე წასვლის წინ უნდა მოირგონ.

და კიდევ, ჰოლანდიის ნაკრების ქართველ გულშემატკივართა საყურადღებოდ: თუ ჩაფხუტის შეძენას მოისურვებთ, გაითვალისწინეთ, რომ კომპანიას, სულ ცოტა, ხუთი ცალი უნდა დაუკვეთოთ. ერთი მუზარადი 4,95 ევროდ ფასობს. ამას დაემატება გამოგზავნის ხარჯები.

ფორმულა 1

# ალონსოს ჭკვიანურ ნაბიჯებს უთვლიან

გიგა გურასაშვილი

*შარშან, როდესაც საკუთარი გუნდი "მინარდი" "რედ ბულს" მიჰყიდა, მოუსვენრობა დაეტყო. აღიარებს კიდეც, საფორმულე ფუსფუსი მომენატრაო. ერთი სიტყვით, ბი-ბი-სის რადიოხუთთან ინტერვიუში "მინარდის" აწ უკვე ყოფილი მეპატრონე, ავსტრალიელი პოლ სტოდარტი მისთვის ყველაზე ნაცნობ და ახლობელ სფეროზე საუბრობს და ამბობს, რომ "რენოს" ესპანელი მრბოლის ფერნანდო ალონსოს გაისად "მაკლარენ-მერსედესში" გადაბარგება მისი მხრიდან ჭკვიანური ნაბიჯია. ფორმულა 1-ის ისტორიის ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონს აქვს იმის პოტენციალი, რომ რამდენიმე ჩემპიონატი მოიგოსო.*




ბრიატორე გაისად ალონსოს შეელევა, სტოდერტი კი შარშან მინარდის გამოეთხოვა.

"რონ დენისს ("მაკლარენის" ბოსი) და მის ამალას არ სძინავს. ფერნანდო ალონსოსთან, კომპანია "ვოდაფონთან" გაფორმებული ხელშეკრულებები და რიგი სხვა საკითხების მოგვარება, გვარწმუნებს, რომ "მაკლარენის" გუნდი გამარჯვებისთვის სერიოზულად ემზადება, - ინგლისურ საჯინიბოს მომავალს უსახავს პოლ სტოდარტი, - ყველაფერი იმისკენაა მიმართული, რომ "ვერცხლისფერ ისრებს" ვერავინ აჯობებს. ისინი 2007 წელს აღმოჩნდებიან წარმატების მწვერვალზე ან მის სიახლოვეს".

"ფერარის", რომელიც ახალი ათასწლეულის დადგომიდან განაგებდა "დიდ პრიზებს", შარშან აშკარა ჩავარდნა ჰქონდა. უფრო სწორად, მეტოქე საჯინიბოები "რენო" და "მაკლარენ-მერსედესი" მეტად მომძლავრდნენ. იმავე სტოდარტის აზრით, მეტოქე გუნდების გაძლიერებამ ფორმულა 1-ს ხიბლი და, რაც მთავარია, ინტრიგა შესძინა.

"ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ისინი პირველობას არავის უთმობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ 2005 წელს ტიტული დაკარგეს. არ ვეთანხმები მათ, ვისაც ჰგონია, რომ მიხაელ შუმახერმა ოსტატობა დაკარგა. ოღონდ ასაკი ემატება. ფერნანდო ალონსომ კი დაგვანახა, რომ ამომავალი ვარსკვლავია".

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს 2006 წლის სეზონის დასრულების შემდეგ საკუთარი მომავლის გადახედვა განუზრახავს.

"იმ შემთხვევაში, თუ რბოლების მოგების და, შესაბამისად, ტიტულისთვის ბრძოლის შანსი არ მომეცა, არა მგონია, კარიერის გაგრძელებაზე ვიფიქრო, - გერმანულ ჟურნალ "Der Spiegel"-თან ინტერვიუში განაცხადა 37 წლის მიხაელმა, რომელსაც სკუდერიელებთან ხელშეკრულება გაისად ეწურება, - თუ გვინდა, რომ პროგრესს მივაღწიოთ, მეტი პერსონალი გვჭირდება. ფორმულა 1-ში მოდუნება არ შეიძლება. მინდა ვიცოდე, საით მივდივართ".

"რენოს" ესპანელი მრბოლის ინგლისურ გუნდში გადასვლის ცნობამ სამეფო რბოლათა გულშემატკივრებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

"რა ელის 2007 წელს "რენოს" და რას მოიმოქმედებენ ფრანგები? ხალხი იმაზეც საუბრობს, რომ მათ 2006 წლის ბოლოს ან 2007 წელს შეუძლიათ სპორტიდან წასვლა. მნიშვნელობა არა აქვს იმას, შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს, - ხალხის აზრს გვამცნობს სტოდარტი, - ყოველივე ეს იმაზე მიმანიშნებს, რომ "რენოში" მზად იყვნენ შელეოდნენ ალონსოს. წარმოუდგენელია, ასეთი რამ საფუძვლიანი გააზრების გარეშე მომხდარიყო".

ალონსოს "მაკლარენ-მერსედესში" გადასვლამ, შესაძლოა, მისი ახლანდელი თანაგუნდელის, იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას წისქვილზე დაასხას წყალი. "რენოს" იტალიელი მრბოლი, რომელსაც შაბათს 33 წელი უსრულდება, ჟურნალ "Autosport"-თან ინტერვიუში აღიარებს, რომ ფერნანდოს გადასვლამ, შესაძლოა, ესპანელის მიმართ "რენოს" დამოკიდებულება შეცვალოს.

ამასობაში ფრანგული საჯინიბოს შეფი ფლავიო ბრიატორე ალონსოსგან 2006 წელსაც პროფესიონალიზმს ითხოვს და იქვე შეახსენებს, თუ რა ვალდებულებები აკავშირებს მრბოლს "რენოსთან".

ანალოგიურ ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს მაკლარენელი ხუან პაბლო მონტოიაც. მისი ფინელი თანაგუნდელი კიმი რაიკონენიც სხვა საჯინიბოსკენ იყურება.

ესეც დასტური, რომელსაც რონ დენისისგან ვიტყობთ: "მე, ისევე როგორც მთელი გუნდი, მზად ვართ მაქსიმალური ყურადღება დავუთმოთ ხუან პაბლოს".

**P.S.** თუ გერმანულ Bild-ში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ვენდობით, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, შესაძლოა, "ფერარიდან" "ტოიოტაში" გადავიდეს. ყოველ შემთხვევაში, გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში შუმის მენეჯერი ული უებერი ამაზე მიუთითებს.

Bild-ის ინფორმაციით, იაპონური სუპერკონცერნის წლიური ბიუჯეტი 400 მილიონი ევროა!

საგულისხმოა, რომ ტოიოტელია მიხაელის ძმა რალფი, რომელიც იმავე უებერის წყალობით "უილიამსიდან" სამი წლით გადავიდა იაპონელებთან - წლიური გასამრჯელოთი 15 მილიონი ევრო.

ადრე უებერი ამბობდა: სანამ შუმახერების მენეჯერი ვარ, არ მინდა ძმები ერთ გუნდში ვიხილო, რადგან ეს ერთ-ერთი მათგანისთვის წამგებიანი იქნებაო. ახლა კი ამბობს, "ეს აღარ მაღელვებსო".

აქცენტი

# ძლიერი ძალების ბრძოლა პირველობისთვის

## უნივერსალური აკადემიის ინტერიერში

სოფო კილასონია

ამ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს ვსაუბრობთ პროცესებზე, რომელთა სათავეშიც ხელოვანები უნდა იდგნენ, ანდა დგანან. ნებისმიერ თემაზე წამოჭრილი დავა-კამათი ძირითადად ერთ წერტილთან მიდის, გარკვეული სისტემების უვარგისობასთან, სახელოვნებო განათლების მოშლილობასთან, ახალი თაობის ხელოვანთა ჩამოუყალიბელ ინტერესებთან, ინდიფერენტულობასთან, საქმისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებასთან, მოკლედ ყველაფერთან, რაც ზოგადად პროფესიონალიზმის უქონლობაში ერთიანდება. ნებისმიერ არტისტულ გამოვლინებაში, ხშირ შემთხვევაში მაინც, რაც არ უნდა ნიჭი და გარკვეული ქარიზმა ვლინდებოდეს, მაინც ვერ ვხედავთ იმას, რასაც ჩვენზე უფროსი თაობა "სკოლას" ეძახდა. "სკოლა" ჩვენთვის რაღაც მომენტებში მარწუხებად იქცა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალმა თაობამ, ახალი ინტერესებით მასთან იდენტიფიკაცია ვერ მოახერხა.

მაშინ, როცა არ მოგვწონს სპექტაკლი, მაშინ, როცა ვერ ვხვდებით, სად არიან ახალგაზრდა ქართველი მხატვრები, კრიტიკოსები, რატომ ვერ მეტყველებენ მსახიობები და რატომ არავინ უსმენს სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, ჩვენ პასუხს "ეტროებს" და "მონაწილეებს" ვთხოვთ, მაგრამ არ გვებადება კითხვა, სად და როგორ გარემოში უნდა შეიქმნას ხელოვანი, რომელიც საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება? ანდა თავად შექმნის საზოგადოებას, სისტემას, თავის კულტურას, მაგრამ ასეთი ფუფუნება საერთოდ ძალიან იშვიათია, მიუხედავად ამისა, მცდელობა მაინც უნდა ჩანდეს. არაპროფესიონალიზმს კი იმ უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში ღებულობდნენ ახალგაზრდები, სადაც მართალია დიპლომირებული, მაგრამ მაინც ჩამოუყალიბებელი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, ისტორიკოსები, კურატორები გამოდიოდნენ.

სამხატვრო აკადემიის გაყინული ოთახების შესახებ მითები, წლების მანძილზე გვესმოდა, ისიც გვახსოვს, არც ისე შორეულ, მაგრამ მაინც წარსულში, ერთიმეორეს როგორ უქმნიდნენ სადიპლომო ნამუშევრებს, როგორი მდგომარეობა და სწავლის პროცესი მიმდინარეობდა მის კედლებში, მაგრამ პრინციპულად ზუსტად იგივე ხდებოდა ყველა უნივერსიტეტში და განსაკუთრებით სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში. აკადემია, ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არ ყოფილა. მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო გარემო, სადაც არა თუ ხელოვანი დაიბადებოდა, არამედ უკვე ახალი დროის მთელი მხატვრული პროცესები უნდა დაწყებულიყო. თავი რომ დავანებოთ ამ პათეტიკას, მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ეს უკანასკნელი ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ლიდერი გახდა. ამაში კი ნებისმიერი დამეთანხმება, ვინც ოდნავ მაინც ჩაიხედა განათლების რეფორმაში და ზოგადად უმაღლესი სასწავლებლების პრობლემებს და გარდაქმნის შენელებულ ტემპებს თვალი შეავლო.

გარემოზე ვსაუბრობდით და შეუძლებელია, აქ სულ პატარა ისტორიას არ ჩავუღრმავდეთ, სწორედ იმას, რაც დღემდე ქმნის იმ გარემოს, რომელიც სამხატვრო აკადემიამ ძნელბედობის ჟამსაც არ დაკარგა და დღემდე ინარჩუნებს. ისტორიული შენობა, რომელიც დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია, XIX საუკუნის 50-იან წლებში აიგო და იმ დროს პირველი გილდიის ვაჭარს არშაკუნს ეკუთვნოდა. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მიუხედავად ამისა, მისი უნიკალური დარბაზები მაინც მოიწონებდა თავს, რომ არა ავარიული მდგომარეობა. დღეს მის კედლებში მეტად საინტერესო ფონდი ინახება.

რა აღარ ვიხილე საცავებში, ყველაზე ცნობილი, თუ ნაკლებად ცნობილი მხატვრების, მაგრამ მაინც საინტერესო სადიპლომო ნამუშევრები. ერთგვარად საეტაპო ტილოები, რომლისაც ნებისმიერ მუზეუმს შეშურდებოდა, მაგრამ აკადემიას, როგორც ჩანს, ჯანსაღი გარემო არ აქვს, რათა მათი გამოფენა მოახერხოს, ეს ისე უბრალოდ, ცნობისთვის... და თემას დავუბრუნდეთ.

ახალი საგანმანათლებლო რეფორმა სამხატვრო აკადემიაში - ეს საკმაოდ ფართო მოვლენაა და არც თუ ისე მარტივი. საერთოდ სახელოვნებო განათლების მრავალგვარი საერთაშორისო მოდელებიდან თითქმის ყველა და ყოველთვის დავას იწვევდა. ამ ტიპის უცხოური დაწესებულებები სისტემათა მრავალფეროვნებით ნამდვილად გამოირჩევიან, თუმცა მათი დიფერენცირება მეტ-ნაკლებ ლიბერალიზმსა და კონსერვატულობაში ვლინდება. თბილისის სამხატვრო აკადემიამ, რომელიც თითქმის მთლიანად კულტურის სამინისტროს ექვემდებარებოდა, განათლების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განათლების სისტემის რეფორმა მთლიანად მიიღო, მაგრამ მაინც თავისებურად მოირგო. ამ თვალსაზრისით გახდა მისი დღევანდელობა საინტერესო, ანუ, მაინც როგორ ვითარდება იგი საკმაოდ ამბიციური და მასშტაბური გეგმების ფონზე.

"დღეს მთავარი აკადემიისთვის სტუდენტი ანუ მომავალი ხელოვანი და მკვლევარია. მომავალი ხელოვანისთვის მთავარი ადგილის მინიჭებით მსოფლმხედველობის გაფართოებას და ინდივიდუალურ კვლევას შევუწყობთ ხელს. დღეს აკადემია ბევრ საშაულებას აძლევს სტუდენტს, სადაც სტუდენტის მობილურობა ხელოვანის, როგორც მოაზროვნის და მკვლევარის ჩამოყალიბების გარანტიაა." ამას ვკითხულობთ აკადემიის მიზნობრივ დებულებაში, რომელსაც ყველაფერში ვეთანხმებით. განსაკუთრებით კი იმაში, რომ აზროვნება და ინტელექტის მაღალი დონე არა მხოლოდ თეორეტიკოსს, არამედ ხელოვანს ჩვენს ეპოქაში ძალიან სჭირდება, რადგანაც ცარიელი ნიჭისა და ხელობის ამარა მხატვრობამ დიდი ხანია გვერდით ჩაგვიარა... მაგრამ ერთია დებულება, მეორე კი საქმე. მოვიარეთ რა აკადემიის კედლები და შევუარეთ რა ფაკულტეტებს, მართალი ვთქვათ, სადავო ვერაფერი მოვძებნეთ. ამიტომაც აქცენტებს მიმდინარე პროცესებსა და კონკრეტულ შედეგებზე ვაკეთებთ. ეს კონკრეტული ნაბიჯები კი მრავალია, მათი წარმატებულობა და პერსპექტიულობა კი პირველ რიგში ფაკულტეტური სისტემის გამრავალფეროვნებასა და სტუდენტთა თავისუფალ არჩევანზეა დამყარებული. ამას გარდა, სამხატვრო აკადემიაში, რომელიც მთელი თავისი არსით, ფორმითა და სტრუქტურით, უკვე მასშტაბური მიმართულებების მქონე უნივერსიტეტია, ორი მთავარი აქცენტი კეთდება. თეორიული ნაწილის გაძლიერება, რაც ჰაერივით ესაჭიროებოდა, რადგანაც, ზოგადად რომ ვთქვათ, ეს მიმართულება ამ სასწავლებლის ყველაზე მწვავე და სუსტი წერტილი გახლდათ, და მეორე, შემოქმედებითი ნაწილის ლიბერალიზმი და ახალი მედიებით გამდიდრება. მაგრამ რეზიუმემდე ჯერ კიდევ ბევრია სათქმელი...

**გია ბუღაძე**: მოგეხსენებათ, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი ფაკულტეტების გამსხვილების გზით წავიდა, ჩვენ სპეციალობების გაზრდით ფაკულტეტების გამრავალფეროვნება მოვახდინეთ. ჩვენ მათ ვაძლევთ მეტი თავისუფალი მოქმედების საშუალებას. დღეს ფაკულტეტს განსაკუთრებული დამოუკიდებლობა გააჩნია. საბოლოოდ მივიღეთ ხუთი ფაკულტეტი, ტრადიციულ სამს: სახვითს, არქიტექტურასა და დიზაინის ფაკულტეტს, დაემატა კომპიუტერული მულტიმედიისა და გეომეტრიული მოდელირების და რესტავრაციის, ხელოვნებათმცოდნეობისა და თეორიის ფაკულტეტები. რეალურად ჩვენ საინტერესო ორგანიზმი მივიღეთ. გვაქვს შემოქმედებითი მხარე, აბსოლუტურად სამეცნიერო მხარე - ხელოვნებათმცოდნეობა, რესტავრაცია და თეორია, სამეცნიერო-კრეატიული - არქიტექტურა და კრეატიულ-კომერციული - დიზაინი. მოგეხსენებათ, რომ დიზაინი თავის თავში მოიცავს ბიზნესს და ბიზნესი ამ შემთხვევაში კომერციაა, კომერცია და ბიზნესი მეცნიერებაა და ამით იგი უკავშირდება თეორიის ფაკულტეტს. რეალურად ჩვენ მივიღეთ განსაკუთრებული ფორმის უმაღლესი სასწავლებელი, რომლის ანალოგიც მე აღმოსავლეთ ევროპაში არ ვიცი, დასავლეთში რომ არ არის, ნამდვილად ვიცი. მსგავსია ვილნიუსის არტ-ინსტიტუტი, მაგრამ ჩვენი აკადემია მისგან ბევრით გამოირჩევა.

1998 წლიდან გვაქვს უნივერსიტეტის სტატუსი მიღებული. ჩვენ ვაძლიერებთ ამ სტატუსს, ამიტომ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამეცნიერო დარგების განვითარებას, ოღონდაც სამეცნიერო ფაკულტეტებზე და არავითარ შემთხვევაში შემოქმედებით ფაკულტეტებზე. პირიქით, შემოქმედებით ფაკულტეტებზე ჩვენ მეტ თავვისუფლებას ვანიჭებთ სტუდენტებს, რაც გამოიხატება არჩევანის თავისუფლებაში. აკადემიის სახით ჩვენ მივიღეთ სამეცნიერო-კრეატიული ორგანიზმი, სინთეზური დარგებით... ბუნებრივია, რომ მან სახე იცვალა. ძალიან ბევრი დარგი იყო ჩავარდნილი. რესტავრაციის მაგალითად, აღარ გვყავდა ქვის, მეტალის, ქაღალდის, ტექსტილის სპეციალისტები. ამ მიმართულებით ვდგამთ ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს. კულტურის სამინისტროსთან და რა თქმა უნდა, უცხოელ პარტნიორებთან ერთად. ამავე დროს უნდა გითხრათ, რომ სერიოზული ძვრები გვაქვს შემოქმედებითი მიმართულებით, ამ შემთხვევაში მთლიან პასუხისმგებლობაზე გადადის სახელოსნოების პრინციპი, ეს სახვითი ხელოვნების ფაკულტეტს ეხება. პროფესორისა და სტუდენტის გადასაწყვეტი უნდა იყოს, თუ რა ტიპის პრინციპით წაიყვანს იგი პედაგოგიურ საქმიანობას. აქ აღარ არის თავსმოხვეული პროგრამები და დოგმები, აქ რეალურად აქცენტი კეთდება პროფესორთა არჩევანზე და სტუდენტთა თავისუფლებაზე. ამავე დროს, შევიმუშავეთ ძალიან საინტერესო "მენიუ". პრინციპი ასეთია, ბავშვი მიდის და იღებს რამდენიმე ტიპის შემოთავაზებას, თუ რა მიმართულებით განავითაროს საკუთარი თავი... არჩევანის საშუალება ბევრად დიდია. საერთოდ განათლების ამ ახალმა სისტემამ მოგვცა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის, მეთოდის შემუშავების საშუალება და ეს ძალიან კარგია. სულ ახლახანს ჩვენ ორ ახალ ფაკულტეტზე ჩავატარეთ პროგრამული აკრედიტაციები, ე.წ. კონკურსები, საკმაოდ წარმატებულად. არანაირი რევოლუციური რყევები არ ყოფილა. ეხლა ვემზადებით მთალიანდ აკადემიაში ჩატარდეს კონკურსი, ეს ალბათ ბევრად რთული იქნება..."

მაგრამ სანამ ეს კონკურსი შედგება, კიდევ ერთი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდება. სულ მალე თანხები განკარგვისთვის ფაკულტეტებს გადაეცემა. მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება, თუ რა თანხებს ფლობენ ეს ორგანიზმები და როგორი ანაზღაურებისთვის ეპატიჟებიან პროფესორ-მასწავლებლებს. მაგრამ აქ დგება კითხვა, არის თუ არა საკმარისი და სათანადოდ მომზადებული კადრები, რომლებიც ახალ მეთოდს მიიღებენ და თან ახალ მედიებში გაარკვევენ ახალგაზრდებს?

"არის, ბუნებრივია კადრები უნდა აღიზარდოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ საკმაოდ სერიოზული ურთიერთობა გვაქვს ჩვენს უცხოელ კოლეგებთან და ჩვენს თანამემამულეებთან, რომლებიც დასავლეთში მოღვაწეობენ ამ თვალსაზრისით დეფიციტი არ გვექნება. ისე ჩვენთანაც არიან ისეთი ხელოვანები, რომლებთანაც ბავშვებს ურთიერთობა აინტერესებთ. ჩვენ დიდი ყურადღებით ვაკვირდებით მათ სურვილებს, მათ მიერ შერჩეულ პრიორიტეტებს, განსაკუთრებით ეს ეხება სახვით მიმართულებას."

აკადემიამ შარშან გაიარა აკრედიტაცია. მას უფლება მისცეს, რომ 270 ბავშვი მიეღო. აქედან 128 სტუდენტს კულტურის სამინისტრო აფინანსებდა. მაგრამ რექტორი სულ სხვაზე იქცევს ჩემს ყურადღებას. არაფერი არ იქნებოდა, რომ არა "ქართუ", რომელმაც აკადემიის მაღლივი კორპუსი მაღალ დონეზე გაარემონტა. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, აკადემიაში ახალი ხელმძღვანელობის, მმართველი გუნდის ყოველგვარი თამამი ნოვაცია, მხოლოდ იდეად დარჩებოდა. "იმედი მაქვს, რომ "ქართუ" არ მიგვატოვებს და რამენაირად ისტორიულ შენობასაც მივხედავთ და მას, ქართული კულტურის ერთ-ერთ სიამაყედ ვაქცევთ."

სამხატვრო აკადემია ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში დღითი დღე ფართოვდება და საკუთარ სეგმენტებს სხვადასხვა მიმართულებით შლის და გარკვეულ ინსტიტუტებს კიდეც იერთიანებს. კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი და აკადემია ერთიან პროგრამებს ახორციელებენ რესტავრაციის სპეციალობის აღორძინებისთვის. ამას გარდა, აკადემიას დაუკავშირდა უკვე ყველასთვის ცნობილი და პოპულარული ინსტიტუტი "მაფი", რომელიც კომპიუტერული ხელოვნების ფაკულტეტის, ფოტო და ვიზუალური გამოსახულების ინსიტუტად იქცა. აქ ფაკულტეტების ბაზაზე კვლევითი და შემოქმედებითი ცენტრების შექმნა დაიწყო.

ინსტიტუტები, კვლევითი და შემოქმედებითი ცენტრები კი სულ სხვა ისტორიაა ამ სასწავლებლის ცხოვრებაში. ჩამოყალიბების პროცესშია არქიტექტურის კვლევითი ინსტიტუტი, უკვე ფუნქციონირებს ხელოვნების ისტორიის კვლევის ინსტიტუტი, ამავე დროს, ფიქრობენ დიზაინის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზეც. ეს პატარა და დიდი ორგანიზმები აკადემიის კედლებში მისული ხელოვანებისა თუ მომავალი მეცნიერების წახალისებისა და პროფესიონალიზმის გაზრდის კიდევ ერთი დამატებითი შანსია. ამას გარდა აქტიურად მუშაობენ აჭარასთან, სადაც კულტურის მინისტრის ხელშეწყობით სავარაუდოდ შავი ზღვის კულტურათა კვლევის ცენტრი და ინსიტუტი დაარსდება. ეს იქნება საზაფხულო აკადემია, სადაც ლექციებს ჩაატარებენ, ხელს შეუწყობენ შემოქმედებითი და კვლევითი პროცესების გააქტიურებას. ამას გარდა ერთიც უნდა ითქვას: თუ დასახული გეგმები რეალურად ბოლომდე განხორციელდება, სამხატვრო აკადემიის თეორიული სპეციალობები მეტად მაღალი დონის კონკურენციას გაუწევს და შესაძლოა, აჯობოს კიდეც თუნდაც სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებს, მონათესავე სპეციალობებთან მიმართებაში.

როგორც დიზაინისა და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ბატონი გია იაშვილი აღნიშნავს, ადმინისტრაციული და სტრუქტურული რეფორმა, რომელიც საკმაოდ რთულ პროცესებთან იყო და არის დაკავშირებული და რუტინულ მუშაობას მოითხოვს, მალე შემოქმედებით პროცესებზე იქონიებს დიდ გავლენას და მისი აზრით, მათ ყველაფერი გაითვალისწინეს, რაც ახალმა დრომ მოიტანა და ახალი სისტემები მოითხოვენ: "ჩვენ აბსოლუტურად სხვა სისტემაში შევცურდით, იყო სულ სხვაგვარი ლოგიკა, სულ სხვაგვარი პრინციპები და სხვაგვარი ეკონომიკური ურთიერთობები. ამის ადაპტაციის მოხდენა გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვასთანაც იყო დაკავშირებული. ამავე დროს არის სუფთა სტრუქტურული ამოცანების გადალახვა საჭირო. მაგრამ ეს ყველაფერი შედეგიანი იქნება, რადგანაც ახალ სისტემას ხვდება ტრადიციების მქონე სკოლა და ძალიან ძლიერი სპეციალისტები, როგორც ჩემს ფაკულტეტზე, ისე ზოგადად."

უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ გარკვეულ შეუსაბამობას ბადებს ამ სასწავლებლის ფართო შინაარსობრივი სურათი, მრავალმხრივი საგანმანათლებლო სისტემა და მისი სახელწოდება "სამხატვრო აკადემია". მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ მინიჭებულ საუნივერსიტეტო წოდებას ეს სასწავლებელი დღეს და სამომავლოდ უფრო გაამართლებს, ბატონი გია ბუღაძე აღნიშნავს, რომ იგი "სამხატვრო აკადემიად" დარჩება. როგორც ვხვდებით ტრადიციასთან წყვეტას ერიდებიან და თან ამით ხაზს უსვამენ იმას, რომ სახვითი ხელოვნებაა წამყვანი. მიუხედავად ამისა, თეორიულ სპეციალობებს იმ დონეზე აძლიერებენ, რამდენადაც, ძლიერი და ერთგვარად უნიკალური სახელოვნებო უნივერსიტეტის სტატუსს ესაჭიროება და რადაც სამხატვრო აკადემია მისი რექტორის ვარაუდით, სულ მალე წარმოჩინდება.

სამხატვრო აკადემია თებერვალში კიდევ გაივლის შემოწმებას და სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მიიღებს აკრედიტაციას. რექტორატი ფიქრობს, რომ კონკურენცია სერიოზულია, ამიტომაც მათი მუშაობის ტემპებს საგანგებოც შეიძლება ვუწოდოთ. მიუხედავად ამისა, რექტორის კაბინეტში, სადაც სასწავლებლის ლამის ყველა დეპარტამენტია განთავსებული, მხოლოდ აკადემიის მომავალზე არ საუბრობენ. გააუქმეს რა ნებისმიერი მოსამზადებელი კურსები, პროფესურა მთელ იმედებს საშუალო სკოლაში შესულ სამხატვრო განათლებაზე ამყარებს. ამას გარდა, არსებობს ბევრად დროში გაწელილი გეგმებიც, რომელსაც ძირითადად საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ახორციელებს. იქნება ეს გაცვლითი პროგრამები, თუ თბილისში დაგეგმილი და უკვე დაწყებული გამოფენა-აქციები. მაგრამ მათ შესახებ მაშინ ვისაუბროთ, როცა მოვლენები სახეზე იქნება. დღეს კი ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია დიდი გამოცდისთვის ემზადება. ამ გამოცდას კი პირობითად "ნომერ პირველი სახელოვნებო უნივერსიტეტის" ტიტულის მოპოვებას დავარქმევდი. უნივერსიტეტისა, რომელიც თეორიულ სპეციალობებშიც კი ძლიერ კონკურენციას გაუწევს კოლეგებს... ესმით, რომ ამას შედეგიანი რეფორმებით და ახლებური მენეჯმენტით მიაღწევენ. მთავარი მაინც ხარისხი იქნება, ხარისხისთვის კი აკადემიაში თავმოყრილი ძლიერი ძალები, ფაქტია, რომ იბრძვიან.











# სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს საახალწლო მილოცვა

საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრი ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები მოხარულნი ვართ, რომ გვეძლევა შესაძლებლობა ერთობლივად მივულოცოთ საქართველოს მთელ მოსახლეობას ახალ, 2006 წელში მშვიდობიანი შებიჯება.

საახალწლო დღეები, დროის ეს უმშვენიერესი მონაკვეთი, ყველაზე უხვია... რელიგიური დღესასწაულებით, ყველაზე მეტადაა გამსჭვალული სიხარულითა და ყოფიერების განსაკუთრებული შეგრძნებით.

საბჭოს წევრებს ქვეყნის მნიშვნელოვან წინსვლად მიგვაჩნია, რომ სხვადასხვა რელიგიებს შეუძლიათ ღიად და თავისუფლად იზეიმონ საკუთარი რელიგიური დღესასწაულები. ჩვენ მადლობას ვუცხადებთ საქართველოს პრეზიდენტსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთი რელიგიური დღესასწაულების მხარდაჭერის გამო, რაც მათ გულწრფელ მილოცვებში გამოიხატებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, ვიმედოვნებთ, რომ სამომავლოდ ხელისუფლების კეთილი ნება სხვა რელიგიური მიმდინარეობების დღესასწაულთა მიმართაც იქნება გამოვლენილი.

რელიგიური დღესასწაულები ბოროტებაზე გამარჯვებისა და განახლების, სითბოსა და მზუნველობის, სიყვარულისა და ერთგულების, თავისუფლებისა და შეუვალი რწმენის, სულიერი შეუპოვრობისა და თავდადების, სიცოცხლისა და ჰუმანურობის მნიშვნელობას გვახსენებენ. სწორედ ეს ამაღლებული გრძნობები და მარადიული ღირებულებები განაპირობებს კაცობრიობის არსებობას და მიმართავს მას უკეთესი მომავლისკენ. ისინი განსაზღვრავს ჩვენი ურთიერთთანადგომის სურვილსაც. ამასთანავე, სწორედ ამ ფასეულობათა ერთგულების მეშვეობით არის შესაძლებელი, გადაიჭრას ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანები: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სიღარიბის დაძლევა, კორუფციისა და კრიმინალური ცნობიერების აღმოფხვრა, სამოქალაქო და სამართლებრივი თვითშეგნების დამკვიდრება.

მიმდინარე ეპოქალური სოციალურ-კულტურული ცვლილებები, სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესი, ხელისუფლების მიერ წამოწყებული უმნიშვნელოვანესი რეფორმები, გასულ წელს მიღწეული არაერთი წარმატება გვინერგავს იმედს, რომ ჩვენი ქვეყანა თავს გაართმევს მის წინაშე არსებულ სირთულეებს. მაგრამ, საბოლოო გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მოპოვებული, თუკი ყველაფერს ვიღონებთ საიმისოდ, რომ საზოგადოებაში ნდობის, ურთიერთგაგების, პატივისცემის, თანამშრომლობისა და თანასწორუფლებიანობის ატმოსფერომ დაისადგუროს.

ჩვენ, სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრები, კიდევ ერთხელ ვულოცავთ მთელ საქართველოს 2006 წელს, ვუსურვებთ მას მშვიდობას, სიმტკიცეს, ეკონომიკურ წინსვლას და სოციალური პრობლემების მოგვარების გზაზე მნიშვნელოვან წარმატებას.

დაე, 2006 წელი ყოფილიყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ტოლერანტული გარემოს მშენებლობის წელიწადი!

1. ბაჰაის საზოგადოება საქართველოში, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ეიმან როჰანი;
2. ებრაული თემი, საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელი რაბი ავიმელეხ როზენბლატი;
3. ებრაელთა საზოგადოება, საქართველოს მთავარი რაბინი რაბი აბრამ მიხელაშვილი.
4. ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესია, მთავარ-ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი;
5. ევანგელურ-ლუთერული ეკლესია, ეპისკოპოსი ანდრეას შტოეკლი;
6. ევანგელისტური ეკლესია, პასტორი ზაალ ტყეშელაშვილი;
7. ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა", პასტორი მამუკა ჯებისაშვილი;
8. ევანგელური ეკლესია "სიცოცხლის სიტყვა" (გორი), პასტორი შმაგი ჭანკვეტაძე;
9. ევანგელური ეკლესია "ღმერთის საელჩო", პასტორი მერაბ ბარბაქაძე;
10. თბილისის ჯუმა მეჩეთთან არსებული მუსლიმანთა სასულიერო კავშირი;
11. კათოლიკე ეკლესია, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო;
12. კრიშნას ცნობიერების ტაძარი, ტაძრის პრეზიდენტი ანთიმოზ ნაცვილიშვილი;
13. მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესია, ხუცესი გრიგოლ წამალაშვილი;
14. რეფორმისტული ეკლესია "ურყევი საფუძველი", პასტორი ვარლამ რამიშვილი;
15. სახარების რწმენის ეკლესიათა კავშირი, ეპისკოპოსი ოლეგ ხუბაშვილი;
16. სომეხთა სამოციქულო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია, ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი;
17. საქართველოს იეზიდთა კავშირი, იეზიდთა უხუცესების საბჭოს თავჯდომარე შეიხ ბავკი თენგიზ ბაკოიანი;
18. უკანასკნელი დღეების წმინდანთა ეკლესია, წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჯო რობერი;
19. ხსნის არმია, კაპიტანი, რეგიონალური ოფიცერი გიორგი სალარიშვილი;

# რანი ვიყავით, რანი ვართ...

პირველი გვერდიდან

მანდ ყოველდღიურ საქმეებში გაბმული ხშირად გავყოლილვარ რომელიღაც აზრის, საქმის თუ პრობლემის დინებას და მგონებია, რომ სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე სასარგებლო, ყველაზე სწორი, ყველაზე სასიკეთო გზა. მაგრამ მალე დავრწმუნებულვარ, რომ თურმე შეუმჩნევლად მხარი შემცვლია, მეასეხარისხოვანი პრობლემის, აზრის, თუ ემოციის გავლენის ქვეშ მოვქცეულვარ და მართლა მნიშვნელოვანი საქმე, აზრი თუ პრობლემა შორს დამრჩენია.

ეს ძირითადად მაშინ ხდება, როცა სხვადასხვა მიზეზების გამო საკუთარ თავს აღვიქვამ ხოლმე სამყაროს ცენტრად, ყველაფერს საკუთარი გადასახედიდან ვუყურებ. ამ დროს საკუთარი თავის ტყვეობაში ვექცევი, ფასეულობათა სისტემა იცვლება და აზროვნების მასშტაბები ვიწროვდება. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვა, ვხდები ჩვეულებრივი, პატარა, "ერთუჯრედიანი ადამიანი", თავისი უბადრუკი ცხოვრებისეული მისწრაფებებით და ვნებებით.

მე მგონი, ჩვენ ყველა, ყველა ადამიანი, სინამდვილეში სწორად ასეთებად დავიბადეთ. მაგრამ ცხოვრების არსი იმაშია, რომ ვცდილობთ გავექცეთ ამგვარ მდგომარეობას, ავმაღლდეთ, გავნათლდეთ და განვთავისუფლდეთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის ტყვეობისაგან. მაგრამ ამას დიდი ძალა და ნებისყოფა სჭირდება და ამიტომ ბევრი შუა გზაზე წყვეტს ბრძოლას, იკეტება საკუთარ ნაჭუჭში და ვიწრო ხვრელიდან აღქმული სამყაროთი კმაყოფილდება. ასეთ დროს ყველაფერი გაცილებით მარტივია, ხარ შენთვის და არავისზე და არაფერზე არ აგებ პასუხს, საკუთარ თავზეც კი. რაც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის შეიძლება მიზეზი სხვაში იპოვო და არა საკუთარ თავში. საქმეში წარუმატებლობაზე აღარაფერს ვამბობ, ცუდ ხასიათზე ყოფნასაც კი სხვას აბრალებ. ამ მდგომარეობაში შეიძლება სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო ამოყო ხოლმე კაცმა თავი. ინტიმური პრობლემებით დაწყებული და სამშობლოს ერთი მესამედის დაკარგვით დამთავრებული.

"კარგია" ეს თუ "ცუდია"? ნამდვილად არ ვიცი... ხანდახან ძალიან სასიამოვნოა ხოლმე ასეთ უზრუნველ მდგომარეობაში ყოფნა. გარდა ყველაფრისა, ამ დროს ხომ კაცს თავი მართალი კაცი გგონია და ეს პატივმოყვარეობას უსაზღვროდ გიკმაყოფილებს. აღარც პასუხისმგებლობის ტვირთი გაწუხებს და არც ტვინს იჭყლეტ იმაზე ფიქრით, რა არის სწორი და რა არა.

მაგრამ არის ერთი "მაგრამ". და მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა ეს "მაგრამ", რომელიც მაიძულებს ხოლმე ისევ ავმაღლდე, ზემოდან დავხედო ყველას და ყველაფერს (პირველ რიგში, საკუთარ თავს და ქცევებს), განვთავისუფლდე წუთიერი განცდებისა და ემოციებისაგან, შევძლო უფრო მნიშვნელოვანის და ნაკლებ მნიშვნელოვანის გარჩევა, სწორად განვსაზღვრო, რა არის მიზეზი და რა არის მისი შედეგი (ხშირად ეს ერთი შეხედვით პირიქით ჩანს ხოლმე), და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვალი გავუსწორო საკუთარ შეცდომებს, მუდმივად კრიტიკის თვალით ვუყურო საკუთარ თავს, მუდმივად ვსწავლობდე და ვიზრდებოდე და გუშინდელი გამოცდილება ხვალინდელი წარმატების საწინდრად ვაქციო.

ეს "მაგრამ" ხართ თქვენ და კიდევ ის ხალხი, ვისთვისაც მე ოდესმე თვალი გამისწორებია და რაღაცის იმედი მომიცია. უბრალოდ იმედი იმისა, რომ მე ვარსებობ და შეგიძლიათ დამეყრდნოთ, თუ კი ეს საჭირო გახდა, რომ მე თქვენთვის ყოველთვის მხარში დამდგომი ვარ და არა ახალი პრობლემის დამმატებელი. ქვეყანაზე ყველა კანონზე და ყველა რელიგიურ დოგმაზე უფრო ძლიერი ადამიანური ნდობა ყოფილა. როგორ შეიძლება დიდხანს დავრჩე საკუთარ ნაჭუჭში, საკუთარი ემოციების ტყვეობაში ჩაკეტილი, როცა თუნდაც ერთ ადამიანს ჩემი იმედი აქვს? ყველაზე ძნელია ხოლმე იმ დროს "ამაღლება", როცა ვიღაცა აშკარად ცდება, აშკარად დაუმსახურებლად გიწყრება, სიკეთეზე უმადურობით გპასუხობს. "მაგრამ" როდის უნდა დაუდგე გვერდში ადამიანს, რომელსაც იმედი მიეცი? მე მგონი, როცა ცდება. აქ საზღვარი არ არსებობს. ანუ თავის გამართლება იმით, რომ ყველაფერი სცადე, მაგრამ დარწმუნდი უშედეგობაში და ამიტომ ვიღაცას ზურგი აქციე, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სისუსტის და მარცხის აღიარებაა და მეტი არაფერი.

მე მგონი საკმაოდ მიცნობთ. არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ მარტო ურთიერთსიყვარულის ქადაგებით აშენებული ქალაქის მჯეროდეს. ისიც მშვენივრად მესმის, რომ ადამიანური ურთიერთობების აწყობა ასეთი ადვილი რომ იყოს, აქამდე დიდი ხანია სამოთხეში ვიცხოვრებდით. მაგრამ ჩვენ შემთხვევით შეკრებილი ხალხი ხომ არ ვართ? ვინ იქნებოდა ჩვენი თანაკლასელი, თანაკურსელი, ძმაც კი, ჩვენთვის არავის უკითხავს. მაგრამ ჩვენ, ვინც ასოციაციაში გავერთიანდით, ყველას რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი გვამოძრავებდა და სწორედ ის დაედო საფუძვლად ამ "მაგრამს".

ამიტომ მე ჩემი თავი მარტო მე აღარ მეკუთვნის და ჩემი ყოველი სიტყვით და ქცევით თქვენს წინაშეც ვარ პასუხისმგებელი. ეს ხანდახან დამღლელია, მაგრამ სამაგიეროდ უდიდესი ძალაა უიმედობის და "ერთუჯრედიანობის" ჭაობიდან საკუთარი თავის ამოსათრევად და საკუთარი სისუსტეებისგან თავის დასაღწევად. ეს ერთჯერადი პროცესი არ არის და ამიტომ მე თქვენი არსებობა მთელი ცხოვრება მჭირდება, ყოველი "ჩაძირვისას" ქეჩოში ხელი რომ მტაცოთ და ზევით ამომათრიოთ.

ახლა წარმოიდგინეთ ათობით და ათასობით ადამიანი ამგვარი ჯაჭვებით ერთმანეთთან დაკავშირებული! ეს მართლა ძალაა, რომელსაც მართლა შეუძლია იმის გაკეთება საქართველოში, რომლის შანსიც ერთია 100-დან. ეს ერთადერთი ძალაა, რომელსაც ეს შეუძლია და მისი კომპენსირება არ შეიძლება არანაირი ფულით, თანამდებობით, კომპიუტერებით და ოფისებით.

უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანებთან ურთიერთობას. თითოეული ჩვენი წევრი ნებისმიერ ჩვენს პროექტზე მეტად მნიშვნელოვანია. 300 კაცი 3 კომპიუტერითაც შეძლებს უზარმაზარი საქმეების კეთებას, მაგრამ 3 კაცი 300 კომპიუტერითაც აბსოლუტურად ვერაფერს გააკეთებს სასიკეთოს. ადამიანის პოვნას წლები სჭირდება, დაკარგვა კი ერთ წუთში შეიძლება ერთი სიტყვით, ან ერთი მიმიკით. საქართველოში ყოველთვის ყველა კარგი საქმე სწორედ ამიტომ ილუპება ხოლმე. შეიძლება ვინმე X წევრი თავის ყოფნით არაფერს მატებს საქმეს, პირიქით, ცოტას ვნებს კიდეც, მაგრამ ყველაზე დიდი ვნება მისი წასვლა იქნება. და აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს საბოლოო საქმისათვის, თუ ვისი მიზეზით მოხდება ეს. თქვენზე ყველაზე მეტია დამოკიდებული იმიტომ, რომ თქვენ უნდა შექმნათ და შეინარჩუნოთ ასეთი ატმოსფერო.

კარგად გიცნობთ ყველას და მშვენივრად ვიცი, რაოდენ განსხვავებული ადამიანები ხართ ინტერესებით, შესაძლებლობებით, პრობლემებით, ხასიათებით. ზოგ თქვენგანთან მე ყოველთვის უფრო მობილიზებული მიხდებოდა ყოფნა, რომ თქვენში უეცარი უარყოფითი რეაქცია არაფერს გამოეწვია, ზოგთან პირიქით, ძალით თუ არ შეუჩიჩხინებდი, საერთოდ ურეაქციოდ იქნებოდა მთელი საათი. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ვინმე ვინმეზე უკეთესია. ადამიანების თანასწორობა, პირველ რიგში, ნიშნავს მათ თანასწორ უფლებას, იყვნენ განსხვავებულები (ჩემი მოგონილი არ არის ეს ფრაზა).

სამწუხაროდ, ყველას სადარდებელი გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე სასიხარულო. მაგრამ, მე მგონი, ჩვენ ჩვენი პრობლემებით საქმეს არ უნდა ვავნოთ. და პირიქით, არც ქაღალდებში და პროექტებში ჩაძირვამ უნდა დაგვავიწყოს ადამიანები, ყველა თავთავისი პატარა სიხარულებით, დარდებით, მიზნებით, ტრაგედიებით. ჩვენ ხომ ბოლომდე ვერასოდეს ჩავწვდებით ერთმანეთის საფიქრალს და განცდებს. ამიტომ, მე მგონი, მეტი სიფრთხილეა საჭირო. აქ უამრავი ეპიზოდი მახსენდება, როცა მე ბევრ თქვენგანს, ალბათ, გული გატკინეთ. არც მომავალში ვარ დაზღვეული ამისგან იმიტომ, რომ ყველა ადამიანები ვართ, მაგრამ მთავარია ეს უყურადღებოდ არ დატოვო კაცმა და ხვალ და ზეგ სანაცვლოდ პატარა სიხარულები აჩუქო შენი გაცხარების თუ უყურადღებობის მსხვერპლებს.

ამ ყველაფერზე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ მნიშვნელოვანი კორექტივები უნდა შევიტანოთ ჩვენს მიზნებში, ასოციაციურშიც და კერძოშიც. მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ვინც აქ ვერ გაუძლებს გამოცდას, იმას არც სხვაგან ელის წარმატება. იმიტომ, რომ ასოციაცია დიდი ცხოვრების პატარა მოდელია ყველაფერში.

ასოციაცია ალბათ თანდათან გაიზრდება და სახეს იცვლის. ზოგმა შეიძლება ახალი საქმეები წამოიწყოს. წარმოიდგინეთ, რა დიდებული რამე იქნება, ვთქვათ ათმა ჩვენგანმა 10 ახალი და კარგი საქმე რომ წამოიწყოს! მთავარია, ორიენტირები და ფასეულობები დარჩეს საერთო, თორემ შესაბამისი ფორმის გამოძებნა ყოველთვის შეიძლება. ასოციაციის გარეთ არსებული მოკავშირე ხშირად ფასდაუდებელი რამეა.

ახალ საქმეებს და ახალ პრობლემებს ახალი იდეები და ძალები სჭირდება. კიდევ ახლებური და შორსგამიზნული ხედვა. არ უნდა ჩავთვალოთ, რომ რაღაცა გაკეთდა და მორჩა.

ახლა მანდ საინტერესო პროცესებია. სანამ ფონი საშინელი იყო, ჩვენი სულ უმნიშვნელო საქმეც კი გრანდიოზულად გვეჩვენებოდა ჩვენც და სხვებსაც. ახლა ჩვენს სფეროში ბევრი გააქტიურდა, აქა-იქ მართლა კარგი და მნიშვნელოვანი საქმეებიც კეთდება. ამიტომ შეიძლება ჩვენშიც და გარეთაც ბევრს მოეჩვენოს, რომ ბევრს აღარაფერს ვაკეთებთ. მოჩვენებებს ნუ ავყვებით. ჯერ ერთი, ჩვენ კარგი საქმეები ქვეყნის და იმ ფონის შესაცვლელად გვინდოდა და ნეტავ იმ დღეს მოგვასწრო, როცა ასოციაცია ყველაზე უსაქმური და უმნიშვნელო ორგანიზმი იქნება აყვავებულ სახელმწიფოში. გარდა ამისა, მე მგონი, ჯერ რეალური საქმეები არც დაწყებულა არსად და რაც დაიწყო, მალე ისიც შესაცვლელი გახდება თავის კანონ-ორგანო-მუშაკებიანად. ასე რომ, დროებითი წარმატება-წარუმეტებლობის ილუზიები, რომლებიც ძირითადად ფონის ცვლილებების შედეგია, ნუ შეგვაშინებს.

გინდათ, გულახდილად გითხრათ, რას ველი და თან რა არ მინდა ყველაზე მეტად?

თითოეულმა თქვენგანმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს ყველაფერი ყველაზე ნაკლებად მას ეხება და კარგი იქნებოდა, სხვებს ეფიქრათ მეტი. ეს გასაგებია იმიტომ, რომ ყველას ძალიან გვიყვარს საკუთარი თავები და ამანაც განაპირობა ჩვენი ერთად ყოფნა.

მაგრამ მოდით, ახლა პატარა ტესტები ჩავუტაროთ საკუთარ თავებს. ვნახოთ, რამდენად ძლიერია ჩვენში ჩვენ-ჩვენი "მაგრამები" და რამდენად მაღლიდან შეგვაძლებინებენ საკუთარი თავების დანახვას. იმედია, ტესტის შედეგებს საკუთარ თავებს მაინც გავუმხელთ...

***დათო***

*10 ნოემბერი, 1997 წ.*

*დიუკის უნივერსიტეტი, აშშ"*

# ბიძინა ივანიშვილის საჩუქარი ბაკურიანს

პირველი გვერდიდან

**- როგორ დაიწყო "დიდველის" პროექტი?**

- ბოლო 30 წლის განმავლობაში უამრავი უცხოელი პოტენციური ინვესტორი -ფრანგი, შვეიცარიელი, იტალიელი, ავსტრიელი და მრავალი სხვა ჩამიყვანია ბაკურიანში, მიჩვენებია უნიკალური კურორტი, ამიხსნია, როგორი პოტენციალი აქვს, როგორც სამთო სათხილამურო სპორტის, ისე ტურისტული ბიზნესის თვალსაზრისით. ყველა მეთანხმებოდა, მაგრამ დიდი რისკის გამო ამ პროექტის დაფინანსება ვერავინ გაბედა.

1999-2001 წლებში სამჯერ მოვიწვიე სამთო-სათხილამურო დარგის ყველაზე ცნობილი ექსპერტი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი შვეიცარიელი ბერნარ რუსი. მან გულდასმით შეისწავლა დიდველისა და საყველიოს მთების ყველა მონაკვეთი და პერსპექტიული სათხილამურო ტრასები შეარჩია. თავის საბოლოო დასკვნაში რუსი წერს, რომ ბაკურიანი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული კურორტია და ურჩევს ევროპელ ბიზნესმენებს, დაიწყონ ინვესტირება მის განვითარებაში.

2002 წელს ბაკურიანის პროექტის შესახებ რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენს ბიძინა ივანიშვილს ვესაუბრე, შემდეგ ერთად წავედით ბაკურიანში, მთელი დღე ვათვალიერებდით ამ ადგილებს, ბაკურიანის მთებიდან კავკასიონი სულ სხვაგვარად ჩანს, აქ უნიკალური ბუნება და ჰაერია, არასოდეს დამავიწყდება ბიძინას აღფრთოვანება, მისი ანთებული თვალები, როცა დიდველის მთაზე ავედით. ბაკურიანმა და მისი განვითარების პერსპექტივამ ბატონ ბიძინაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის ძალიან ნიჭიერი და ალღოიანი ბიზნესმენია, ამიტომაც კარგად მიხვდა, რა პერსპექტივა ექნებოდა ბაკურიანში საერთაშორისო სტანდარტის სამთო სათხილამურო და ტურისტულ-სპორტული კომპლექსის მშენებლობას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მისი გადაწყვეტილება პირველ რიგში პატრიოტი კაცის არჩევანია, ეს არაერთხელ დაამტკიცა და ამ საკმაოდ ძვირადღირებული პროექტის დაფინანსებასაც იმიტომ დათანხმდა, კარგად იცის საქართველოსთვის რამხელა შემოსავლის მომტანი იქნება მომავალში სამთო ტურიზმის განვითარება.

**- რას ითვალისწინებს ეს პროექტი, რა ტიპის სასტუმროებს და სამთო სათხილამურო ტრასებს, როგორ განვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა?**

- ბაკურიანის უნიკალურობა განპირობებულია ბუნებრივი პირობებით: მთის პროფილი, რბილი კლიმატი, უხვთოვლიანობა, ახლოს არის ევროპასთან. ევროპის მთის მასივები მთლიანად აქვთ ათვისებული სამთო ტურიზმის მოყვარულებს. ევროპელები თხილამურებზე სასრიალოდ ძალიან შორს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაში დადიან. ამიტომაც, სამთო ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის აღორძინების სერიოზული ბერკეტია. ბაკურიანი პირველი მერცხალი უნდა გახდეს. დარწმუნებული ვარ, ბევრისთვის მაგალითი გახდება ბიძინა ივანიშვილის ინიციატივა, იმოქმედო არა მხოლოდ ბიზნეს-ინტერესებით, არამედ, გააკეთო ისეთი რამ, რაც ბიძგს მისცემს შენი ქვეყნის განვითარებას.

დიდველზე აშენდება მაღალი კლასის სასტუმროების და საბაგირო გზების ქსელი, სპორტული და გასართობი ცენტრები და 3000 ტურისტზე გათვლილი დასვენებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

"დიდველის" პროექტი თავიდანვე დაყოფილი იყო ორ ეტაპად. პირველი ეტაპი წარმოადგენდა საბაგირო გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავდა სასტუმროების ქსელის განვითარებას. დღეს უკვე ამოქმედდა ულტრათანამედროვე საბაგირო გზის პირველი 1600 მეტრიანი მონაკვეთი. 13 იანვარს პრეზენტაცია იგეგმება, რომელზე დასწრებას, როგორც ვიცი, საქართველოს პრეზიდენტიც აპირებს.

**- რით არის უნიკალური საბაგირო, რომელიც დიდველის მთაზე აშენდა?**

- ეს არის 1600 მეტრიანი ჰონდოლური ტიპის საბაგირო გზა დიდველის პლატომდე. საბაგირო გზაზე 35 დახურული ჰონდოლა მოძრაობს, მათი სიჩქარე წამში 6 მეტრია. დიდველის საბაგიროს საათში 3-4 ათასი მოთხილამურის გადაყვანა შეუძლია.

**- ვინ არის პროექტის ავტორი და ვინ განახორციელა მშენებლობის პირველი ეტაპი?**

- საძირკვლები, სათაო და ბოლო სადგურის სამშენებლო ნაწილი მთლიანად ქართველმა მშენებლებმა მოამზადეს, დანარჩენი სამუშაო-მონტაჟი, გაშვება, კონტროლი კი იტალიურმა კომპანიამ "ლაიტნერმა" განახორციელა (მსოფლიოში საბაგირო გზების მშენებლობაში 3 წამყვანი კომპანიაა - ავსტრიული "დოპელმაიერი", ფრანგული "პომა" და იტალიური "ლაიტნერი", იტალიელების წინადადება და პირობები ყველაზე მისაღები აღმოჩნდა).



ტრასები კანადურმა კომპანიამ "ეკოზაინმა" დააპროექტა, ტრასების მოწყობაზე, აშენებაზე, მოვლასა და უსაფრთხოებაზე კი ქართველი მშენებლები ზრუნავენ. ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც შევძელით ევროპელი ინჟინრების დატოვება საშობაო არდადეგებზე, გვინდოდა ამ სეზონზე ქართველ დამსვენებლებს უკვე ესარგებლათ ამ საბაგიროთი. ერთადერთი, რაც თხილამურების მოყვარულებს აქამდე აკლდათ, კარგი თოვლი იყო და ორი დღეა, თოვლიც მოვიდა.

ტრასის მეორე მონაკვეთის დასრულება გაისად არის ნავარაუდევი, საბაგირო გზების მშენებლობა 18 მილიონი ევრო დაჯდება, ამ თანხას მთლიანად ბიძინა ივანიშვილი გაიღებს. გაისად, როცა დიდველის საბაგირო გზები მთლიანი მოცულობით ამოქმედდება, ყველა დონის სპორტსმენს და მოყვარულს შეეძლება მისთვის სასურველი ტრასის არჩევა.

ტრასის მთლიანი სიგრძე 3400 მეტრია, ფრონტი, ანუ ტრასის სიგანე კი ზოგ ადგილას ნახევარ კილომეტრსაც კი აღწევს. აქ დიდი არჩევანია - არის ურთულესი მონაკვეთებიც, სადაც ნებისმიერი დონის საერთაშორისო ტურნირის ჩატარება შეიძლება და სხვადასხვა სირთულის მრავალი ტრასაც. მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა "ქართუ ჯგუფის" ყოფილ პრეზიდენტს გია ლომაიას, მშენებლებს შალვა ქვარცხავას, ავთო ტოგონიძეს და ვეფხია სორდიას. მათი დამსახურებაა, რომ მრავალწლიანი ოცნება უმოკლეს დროში რეალობად იქცა. ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო კორექტივები შეიტანა უცხოელების მომზადებულ პროექტში არქიტექტორმა ლევან ლორთქიფანიძემ. ცალკე მინდა გამოვყო მშენებლის და წარსულში ცნობილი სპორტსმენის ოთარ გოცირიძის წვლილი, ის ისეთი თავდადებით ჩაერთო ამ პროექტის რეალიზებაში, ძნელი წარმოსადგენია, მის გარეშე ყველაფერი ასეთ მოკლე ვადაში წარმატებით დასრულებულიყო.

სათხილამურო ტრასების დასამუშავებლად უკვე შეძენილია უახლესი მოდელის თოვლის სატკეპნი მანქანები და სისტემატურად ხდება ტრასის მომზადება. სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია ამ ტრასებზე უახლოეს მომავალში საერთაშორისო კლასის რამდენიმე შეჯიბრების გამართვას გეგმავს.

**- ბატონო გოგი, როგორ განვითარდება პროექტი, რა ვადებში დაიწყება სასტუმროების მშენებლობა, არის თუ არა გათვალისწინებული უცხოელი ინვესტორების მონაწილეობა?**

- თავიდან ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა გარკვეული მოლაპარაკებები რუსეთში მოღვაწე მსხვილ ტურისტულ კომპანიებთან, განზრახული იყო, რომ სასტუმროების მშენებლობისათვის საჭირო თანხის 25 პროცენტი მათ უნდა დაეფინანსებინათ საკუთარი სახსრებით, ხოლო 75 პროცენტის დაფინანსებას უზრუნველყოფდა ბატონი ბიძინა შეღავათიანი კრედიტის ფორმით, რის შედეგადაც ეს კომპანიები ხდებოდნენ სასტუმროების მესაკუთრეები და თვითონ უჩნდებოდათ ინტერესი, მოეზიდათ ტურისტები. წინასწარი შეთანხმებით, შარშან შემოდგომაზე უნდა შემდგარიყო საბოლოო მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხზე. ოქტომბერში "ქართუ ჯგუფის" მაშინდელი პრეზიდენტი გია ლომაია იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც მან რუსული კომპანიებიდან უარი მიიღო ამ პროექტში მონაწილეობაზე, მიზეზად დასახელდა საქართველო-რუსეთს შორის გართულებული პოლიტიკური ურთიერთობები.

**ამის შემდეგ ბატონმა ბიძინამ უარი განაცხადა პროექტის მეორე ეტაპის (სასტუმროების მშენებლობა) დაფინანსებაზე და მიიღო გადაწყვეტილება, აქციების მთელი პაკეტი საჩუქრად გადასცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს იმ პირობით, რომ საბაგირო გზების შემოსავალი მთლიანად მოხმარდეს ბაკურიანის განაშენიანებას, რათა ბაკურიანი გახდეს დასავლური სტანდარტის დონის სპორტულ-ტურისტული ცენტრი.**

სამწუხაროდ, როგორც ჩემთან საუბარში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ეს იყო ბოლო პროექტი, რომელსაც ის საქართველოში განახორციელებს.

**- როგორ გაგრძელდება "დიდველის" პროექტი - საბაგირო გზის დარჩენილი ნაწილის მშენებლობა და სასტუმროების ქსელის შექმნა, ვინ გაუწევს "დიდველის" კომპლექსს ოპერირებას?**

- უმთავრესი იყო, ბაკურიანის აღორძინების საკითხი დაძრულიყო, ეს ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით დღეს უკვე რეალობაა, ბაკურიანში ინვესტირების მსურველი არაერთი ქართული და უცხოური კომპანია გამოჩნდა. საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია, თიბისი ჯგუფი, სახალხო ბანკი, კომპანია "ყაზბეგი", ფრანგი, ავსტრიელი, რუსი ბიზნესმენებიც კი. ბაკურიანი ბიზნესის თვალსაზრისით მომხიბვლელი და საინტერესო გახდა. არის კონკრეტული შემოთავაზებები 2000 კაცზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტის კოტეჯური ტიპის კომპლექსის მშენებლობაზე მთელი სავაჭრო, გასართობი და სპორტულ გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურით.

ამ პროექტებიდან საუკეთესოს შერჩევა უკვე იმ საკონსულტაციო საბჭოს კომპეტენცია იქნება, რომელიც ადგილობრივი მმართველობისა და "ქართუ ჯგუფის" წარმომადგენლებისაგან შეიქმნება. ცხადია, საბჭოს წევრი მეც ვიქნები. საბჭო გააკონტროლებს საბაგირო გზის ექსპლუატაციიდან მიღებული თანხების მიზნობრივად ხარჯვას ბაკურიანის განვითარებისათვის.

**- რა ფორმით მოხდება ქონების გაჩუქება?**

- აქციების მთელი პაკეტი გადაეცემა ადგილობრივ მმართველობას, იმ პირობით, რომ მას არ ექნება ამ ქონების გაყიდვის და გასხვისების უფლება. ჩუქების ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ მთელი შემოსავლები მოხმარდეს ბაკურიანის თანამედროვე სპორტულ-ტურისტულ კურორტად გარდაქმნას.

ასევე, უმთავრესი პრიორიტეტი იქნება დიდველის მთების მასივის გამოყენება სპორტული ტრასებისათვის, ყველა იქ განსახორციელებელი პროექტი შეთანხმდება საკონსულტაციო საბჭოსთან. გამორიცხულია დაუგეგმავი, ქაოტური მშენებლობები.

**- ბატონო გოგი, როგორი იქნება ბაკურიანი პროექტის დასრულების შემდეგ და რამდენად ემსგავსება ის თქვენს ოცნებას, რომელიც, როგორც ბრძანებთ, 40 წელზე მეტია, რაც გაქვთ?**

- ეს არა მარტო ჩემი, სამთოსათხილამურო სპორტის ყველა მოყვარულის და, ვფიქრობ, ყველა ქართველის ოცნების ასრულება იქნება, საქართველოში აშენდება მსოფლიო სტანდარტის უნიკალური ბუნებრივი პირობების სამთო კურორტი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სულ მალე მსოფლიოს ცნობილ კურორტებს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს.



სტუმრად მაია ჭალაგანიძესთან

# როგორ მივაწვეთ ნატო-ს კარს



*არც ისე დიდი ხნის წინ, საბჭოთა ეპოქის გარიჟრაჟზე, ცნობილი ესპანელი ავტორი კამბო თანამედროვე ევროპულ დიქტატურებს იკვლევდა და დაასკვნა, რომ მმართველობის ეს ავადმყოფური ფორმა მხოლოდ ჩამორჩენილი, განუვითარებელი ხალხის ხვედრია. თუ ამას დავეთანხმებით, საქართველო აქამდე არც ერთი ხელისუფლების ხელში არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო ჩამორჩენილ ხალხად და მათ შორის, არც საბჭოთა დიქტატურის დროს. ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენში ყოველთვის არსებული მეტ-ნაკლებად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ბრალი იყო. დღეს ხელისუფლებაც აცხადებს და არც ოპოზიცია მალავს, რომ ძალაუფლების მაკონტროლებელი ყველა ფხიზელი თვალი შესუსტებულია - არასამთავრობო, ოპოზიციური და მედიასექტორი. ეს, რა თქმა უნდა, ყველასთვის ცუდია, მაგრამ მეორე მხრივ, ახალი ტალღის წარმოშობის წინაპირობაც შეიძლება იყოს მიუხედავად იმისა, რომ არც ახალ ხელისუფლებაში სჭარბობენ ახალი ადამიანები და ახალი ოპოზიციაც, სინამდვილეში, ძველია. "რესპუბლიკური პარტია" არსებობის 27 წლის მანძილზე არაერთ ტალღას აჰყვა და ზოგჯერ ჩაჰყვა კიდეც, მაგრამ არც დალხენილ და არც რთულ პერიოდებში არ წყვეტდა ძალების დაბანდებას არასამთავრობო სექტორში. დღეს ეს ხელისუფლების მიერ მათდამი წაყენებული ერთ-ერთი "მომაკვდინებელი" ბრალდებაა. რა ახალ გამოწვევებს და ოპონირების ახალ მეთოდებს ელის ოპოზიცია ამ წელს? რას ვიხილავთ მორჩილ პარლამენტში საინტერესოს - არა მხოლოდ შინაურ საკითხებზე გვესაუბრება "რესპუბლიკელი" ლევან ბერძენიშვილი, მედიის პოპულარული სტუმარი და ზოგჯერ, მძევალიც.*

**- მოდით, დღეისთვის ყველაზე დიდი საშიშროებით - ფრინველის ვირუსით დავიწყოთ. როგორ გაუმკლავდება ამ გამოწვევას ჩვენი ხელისუფლება?**

- ისეთ რთულ შემთხვევასთან საბრძოლველად, როგორიც არის მსოფლიო მნიშვნელობის პანდემია, საქართველოს ხელისულება, რა თქმა უნდა, მზად არ არის და საერთოდ მეეჭვება, რომელიმე ხელისუფლება იყოს ამისთვის მზად. მაგრამ, ჩვენი ხელისუფლება, რომელსაც არ უყვარს კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა და უყვარს მასკარადი და ზარ-ზეიმი, რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებულს მოიფიქრებს. დანარჩენი მსოფლიოს იმედი უფრო უნდა გვქონდეს, ვიდრე საკუთარი ხელისუფლებისა, რადგან რაც მათ შეძლეს, ეს 2 იანვარს ხალხის დაზაფვრა იყო. ჯანდაცვის მინისტრმა მსოფლიოში ჯერჯერობით აბსოლუტურად დაუდასტურებელი ვარაუდები გამოთქვა და იმ მომენტში, ალბათ, როგორმე სკამის შენარჩუნებაზე ფიქრობდა. სინამდვილეში კი ჯერჯერობით ამ ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის შემთხვევა არ ყოფილა და ვარუდობენ, რომ არც დადასტურდება.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა უკვე მოჰყვა რისკის ზონაში. განადგურდება მთელი ფრინველი და წინასწარ მინდა გითხრათ, რომ მოსახლეობა იმაზე მეტად დაზარალდება, ვიდრე ეს ნორმალური ხელისუფლების შემთხვევაში მოხდებოდა.

**- ასტანაში, პრეზიდენტების შეკრებაზე ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე მეთიუ ბრაიზა გამოჩნდა. რა როლს შეასრულებს ის ბოლო ხანს რეგიონში მიმდინარე პროცესებში, რომელშიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წყალობით კვლავ ჩათრეულები ვართ?**

- სწორედ ენერგეტიკულ საკითხებთან დაკავშირებით მეთიუ ბრაიზას ჩვენც შევხვედრივართ. თავის დროზე მან გვითხრა, რომ თუკი საქართველოს ხელისუფლება ოდესმე იტყვის, რომ აშშ მაგისტრალური მილსადენების რაიმე ნაწილის რუსეთისთვის მიყიდვას დათანხმდა, ეს არის ტყუილი და აშშ-სთვის აბსოლუტურად მიუღებელი.

მაშინ ბრაიზამ თქვა, რომ ამერიკა ორ რამეს არ დაუშვებს - ამბოხებულ რეგიონებთან ურთიერთობის სამხედრო გადაწყვეტას და გაზსადენის გაყიდვას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მუდმივად უბრუნდება გაფუჭებული ფირფიტასავით და ძალიან უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს ამ თემაზე.

**- უკანასკნელად ასეთი განცხადება როდის მოისმინეთ?**

- საკმაოდ უზრდელური და არადიპლომატიური განცხადება გააკეთა საქართველოს ეგრეთწოდებულმა სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ საქმეებში და როგორც ჩანს, ეს ამოცანა რუსეთიდან აქვს დაკისრებული. ნათელია, რომ ეს კაცი მტერია, რუსეთის აგენტი, რომელსაც საქართველოსთვის მტრული საქმის გაკეთება სურს. რაც მან აშშ-ზე, გერმანიაზე თქვა, ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის, საერთოდ არ შეიძლება. საქართველო მსოფლიოში უმნიშვნელო ქვეყანაა და ასეთი თავხედური გამონათქვამები შეიძლება, ძალიან ცუდად მოგვიბრუნდეს. კაცი თავის აგენტურულ დავალებებს ასრულებს და გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება უძლურია, აღკვეთოს რუსეთის აგენტურული მუშაობა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის?! უკვე ითქვა, რომ მილსადენი არ არის სვეტიცხოველი და სხვა. ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიას ჰქონდა ეს იდეა და როგორც ჩანს, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე აკვიატებული იდეა ხელისუფლებაში. ნამდვილად ვიცი, რომ ეს კარგს არაფერს მოიტანს.

**- პრეზიდენტი საერთაშორისო ასპარეზზე აცხადებს, რომ რუსეთის ხელში ენერგომატარებლები პოლიტიკური ზეწოლის იარაღია. მისი მინისტრი კი ამბობს, რომ ეს ასე არ არის...**

- აშშ-სგან მყარად ვიცით, რომ ასეთი რამ არ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და მის ხელისუფლებას შეუძლია, ეს გააკეთოს. საქართველოს ხელისუფლებამ, როცა მოინდომა, მუზეუმი გაყიდა და მისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს იმის "ახსნა", რომ მილსადენი არ არის სულიერი ღირებულება. არსებობს ორი გაფრთხილება - მეთიუ ბრაიზას, კონდოლიზა რაისის და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის და მეორე მხრივ არსებობს ეკონომიკის საკითხებში პასუხისმგებელი სახელმწიფო მინისტრის განცხადებები. ან ჯორჯ ბუში ცრუობს, ან ცრუობს ბენდუქიძე. როგორ გგონიათ, ბენდუქიძე მართალიც რომ იყოს, მსოფლიოში ბუშზე სერიოზული ფიგურაა? ბატონი ბედნუქიძე ამ საქმეს რომ გააკეთებს, შეიძლება, ვერც კი დავინახოთ, ისე გაქრება საქართველოდან და გასარკვევად ეს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს დარჩება.

საქართველო უნდა გავიდეს დსთ-ს სივრციდან და უნდა შევიდეს ნატო-ში. ამ გზაზე რუსეთისთვის სტრატეგიული ობიექტების გაყიდვა დანაშაულია და ეს არ არის ოპოზიციის აზრი. ბრძენი ბენდუქიძის გარდა იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რატომ უნდა წავიდეთ აშშ-ს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის რეკომენდაციების წინააღმდეგ?!

სამხედრო ძალმოსილების დაკარგვის შემდეგ რუსეთი ეკონომიკურ ბერკეტებზე გადადის. ეს ბენდუქიძემ ვერ დაინახა, თორემ, უკრაინასთან დაკავშირებით კონდოლიზა რაისმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი სწორედ ეკონომიკური ბერკეტებით, ენერგომატარებლებით ახდენს პოლიტიკურ ზეწოლებს. ბენდუქიძესთან კამათმა აზრი დაკარგა, რადგან ის ჭკვიანურად კი არ ლაპარაკობს, არამედ ლაპარაკობს, ისე როგორც რუსეთის აგენტი. ნებისმიერ ქვეყანაში რუსეთის აგენტების ადგილი ციხეშია. ბენდუქიძე არის კრიმინალი, რომელიც საქართველოს ყველა კანონს არღვევს.

პრეზიდენტი სააკაშვილი, რა თქმა უნდა, თამაშობს. აშშ-ს ემუქრება, რომ რუსეთისკენ გადავიხრები, რითიც აშშ-სგან მეტ და მეტ დახმარებას ითხოვს. ეს ჩვეულებრივი თამაშია, ბალანსის პოლიტიკა, რომელიც, ჩემი აზრით, ჭკვიანური არ არის.

ბენდუქიძე თავის დავალებას ვერ ასრულებს და ჩვენ არ ვიცით, რა ელის მას შეუსრულებლობის შემთხვევაში. საქართველოს ბედი კი დამოკიდებული არ უნდა იყოს რუსი მილიონრის ბედისწერაზე.

მაინც მგონია, რომ აშშ და მეთიუ ბრაიზა თავისსას მიაღწევენ და საქართველო შეასრულებს თავის ამოცანას, რომ არ გაყიდოს ის, რისი გაყიდვაც არ შეიძლება. სხვა საქმეა, მოიგებს თუ წააგებს ამ საქმეში პრეზიდენტი სააკაშვილი. იმ ვითარებაში, როდესაც ენერგეტიკული მატარებლების საკითხი, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში ხდება პრობლემური, საქართველო არ უნდა იქცეს რომელიმე გაბრაზებული ამერიკის სამიზნედ. პატარა ბავშვიც კი უნდა მიხვდეს, რომ საქართველოში არ უნდა იყოს რუსეთის სტრატეგიული ობიექტები. არავინ არ უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ მაინცდამაინც საქართველოს მოხვდეს აშშ-ს მუშტი. როგორი იქნება რუსეთისა და აშშ-ს მომავალი ურთიერთობა, რაისმა და ბრაიზამ ბევრად უკეთ იციან, ვიდრე სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა. მათი რეკომენდაციები მეგობრულია, რადგან არ სურთ, საქართველო იქცეს სამიზნედ სამხედრო სტრატეგიულ ნაწილში. მათ სურთ, საქართველო ნატო-ში იხილონ.

**- მოსკოვი დიდ რვიანს უდგება სათავეში. ეს რუსეთს დასავლეთის თვალში საკუთარი სტატუსის ხაზგასმაში დაეხმარება. მოსალოდნელია, რომ რუსეთი ამის გამო უკეთ მოიქცეს თუ პირიქით?**

- ჩემი აზრით, რუსეთი გინდა დიდი რვიანის თავმჯდომარე იყოს, გინდა საერთოდ მარტო დარჩეს მსოფლიოში, დასავლეთთან მიმართებაში არასდროს არ მოიქცევა წესიერად, რადგან რუსეთმა დემოკრატიის გზაზე უარი თქვა. არადემოკრატიული რუსეთი აუცილებლად ცუდად მოიქცევა. მსოფლიო ვერ აღწევს რუსეთის დემოკრატიზაციას. როგორც ევროსაბჭოში ჩვენი დელეგაციის წევრი, მუდმივად მოწმე ვარ იმისა, თუ როგორი განწყობა აქვს ევროსაბჭოს და მერე როგორი რეზოლუციები გამოაქვთ. განწყობა რადიკალურად ცუდია, რეზოლუციაში კი წერენ, რომ რუსეთმა გადადგა ნაბიჯი წინ და ა.შ. ზუსტად ასეთივე რეზოლუციაა საქართველოზეც. ოთხიდან ორი ვალდებულება არ შევასრულეთ, მაგრამ მაინც წერია, რომ საქართველო წინ მიიწევს. ევროსტრუქტურები უძლურნი არიან რუსეთის წინაშე და ამით პატარა ქვეყნებიც სარგებლობენ.

რა თქმა უნდა, რუსეთთან მიმართებაში ევროპამ შეცდომები დაუშვა და ახლა მთელ მსოფლიოში ამ შეცდომების გამოსწორება მიმდინარეობს. როდესაც აღმოჩნდა, რომ გერმანიის კანცლერი რუსეთის მიზნებს ასრულებდა, ამან დიდი დარტყმა მიაყენა გერმანიის პრესტიჟს და მის საგარეო პოლიტიკას. გერმანელი ხალხიც მიხვდა, რომ ენერგომატარებლების გამო მეტისმეტად ჩაეხუტნენ რუსეთს. ჩვენც სულ გვეუბნებიან, რუსეთს არ აწყენინოთო, მაგრამ რუსეთს ჩვენგან ისეთი რამ უნდა, რომ გვინდა თუ არა, უნდა ვაწყენინოთ - რუსეთს უნდა, რომ საქართველო საერთოდ არ იყოს.

რუსეთში პრეზიდენტმა, ფაქტობრივად, მოსპო სიტყვის, გამოხატვის თავისუფლება, არჩევნები აქცია ფარსად. პოლიტიკური პარტიები ამჟამად არ წარმოადგენენ პოლიტიკური სისტემის ნაწილს. რუსულ პოლიტიკას კლოუნობითა და მასკარადით ცნობილი ხალხი წარმოადგენს. დემოკრატებს, მემარჯვენეებსა და ცენტრისტებს პოლიტიკური ცვლილებების შანსი არ აქვთ. ასეთი ქვეყანა კი საიმედო არ არის. სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ არალიბერალური დემოკრატიის შესახებ. ვითომ დემოკრატია არის და არ არის ლიბერალიზმი. დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე კი არ არსებობს.

**- დაახლოებით იგივე ბრალდებებს უყენებს ოპოზიცია საქართველოს ხელისუფლებასაც. რა არის ის, რაც განასხვავებს ქართულ დემოკრატიას რუსულისგან?**

- საქართველოში შინაგანად უფრო თავისუფალი საზოგადოებაა. ქართული საზოგადოება იმდენად არ არის დამოკიდებული ტელეჟურნალისტებზე და პროპაგანდაზე. იქ საზოგადოებას პირდაპირ მართავენ ტელეეთერების საშუალებით. საქართველოში ეს შეუძლებელია და ეს ერთი განსხვავება არსებობს, თუმცა მცდელობა, რომ მედია კონტროლირებადი იყოს, საქართველოშიც არის.

რაც შეეხება, არადემოკრატიულ მცდელობებს, აქ საქართველოს ხელისუფლებას გაცილებით "უკეთ" აქვს საქმე, ვიდრე რუსეთს. დაიჭერენ კაცს, მერე პროკურატურაში გაჩნდება პრობლემა - რომელიმე კანონი ხელს უშლის ამ კაცის დაჭერას. მეორე დღესვე შემოდის კანონი პარლამენტში, იღებენ ამ კანონს და ის დაჭერილი კაცი ახალი კანონით მიდის ციხეში. უმარტივესი გზაა - ერთი კონკრეტული კაცის საჭიროებიდან - კანონამდე. რუსეთში ასეთი ვითარება არ არის. დუმა დამორჩილებული ჰყავთ, მაგრამ ისეთი სათამაშო არ არის, როგორც საქართველოს პარლამენტი. მაგალითად, თუ ვინმე აჭარის პარლამენტიდან საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, სასწრაფოდ იღებენ ამის აკრძალვის კანონს. თუ საქართველოს პარლამენტარი აპირებს აჭარის პარლამენტში ან სადმე სხვაგან არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, სასწრაფოდ იღებენ ამის აკრძალვის კანონსაც. ამავე დროს საკრებულოს წევრს აქვს უფლება, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. იმიტომ, რომ საკრებულოს კონკრეტული წევრი პარლამენტში უნდა გავიდეს.

რითიც ჰგავს საქართველო რუსეთს, ეს საერთაშორისო რეკომენდაციების შეუსრულებლობაა - სამიდან ერთს ნაწილობრივ შეასრულებენ, იმასაც ვადებში არა. ასეთ ქვეყნებს უყურებენ, როგორც ველურ, არაცივილიზებულ ქვეყნებს. მძიმე ვითარებაა ამ მხრივ უკრაინაშიც. არ დაიჯეროთ, რომ მართლაც დემოკრატიული გარღვევებია.

**- ყველა დროის და ხელისუფლების ოპოზიციაში ხართ. ოპონირების რაიმე ახალი მეთოდი ამ ხელისუფლებას არ შემოუთავაზებია?**

- პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში ოპოზიცია ასეთი სუსტია.

**- რას მიაწერთ ამას?**

- ეს რევოლუციის შემდგომი მომენტია და მუდმივად ასე არ იქნება. განხიბვლის პროცესი ახლა მიმდინარეობს. ამით ჩვენც ვზარალდებით - როდესაც ხელისუფლების მიმართ არის პრეტენზიები, ყველა, ვინც რევოლუციაში მონაწილეობდა, ამ დარტყმის ქვეშ ექცევა. ჩვენც ვაგებთ პასუხს არა მხოლოდ რევოლუციის შედეგებზე, არამედ იმაზეც, რომ სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი. მე როგორ დავმალო, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს ძალიანაც მიხაროდა...

გაგრძელება B2 გვერდზე

ყველას, ვინც ქვეყანა დსთ-ში ძალით შეათრია, მორალური პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ. ეს იყო ყველაზე სამარცხვინო ლაქა ჩვენს ისტორიაში.

დაჩოქილი პარლამენტი და დაჩოქებული სასამართლო იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება თავის თავში დარწმუნებული არ არის.

ჩვენი ინტერესი არ არის, დამარცხდეს და წაიქცეს სააკაშვილის ხელისუფლება, რადგან გვინდა, პატიოსნად ჩავენაცვლოთ წარმატებულ ხელისუფლებას







# როგორ მივაწვეთ ნატო-ს კარს







## ნატო-ს კარი მარტო იქიდან კი არ იღება, აქედანაც უნდა მიწოლა და ეს მიწოლა დსთ-დან გამოსვლაა.

B1 გვერდიდან

**- თქვენი სიტყვებია ისიც, რომ მაია ნადირაძე ქართული პოლიტიკის სერიოზული შენაძენია...**

- ხო არა? აქ ცოტა გადამიჭარბებია, რას არ იტყვის კაცი?! ქალბატონი მაია ნადირაძე შეიძლებოდა ყოფილიყო შენაძენიც და უფრო მეტიც, მაგრამ ყველას თავისი არჩევანი აქვს. რევოლუციის გულწრფელი მომხრეები ვიყავით და ახლაც ვფიქრობ, რომ შევარდნაძის მმართველობის სხვანაირად მოშორება შეუძლებელი იყო. სააკაშვილის გარდა, სხვა კაცი, ვისაც რევოლუციაში გამარჯვების შანსი ჰქონდა, საქართველოს არ ჰყოლია. უკეთესი საპრეზიდენტო ხალხი კი საქართველოში ყოველთვის იყო და ახლაც არის...

**- კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით?**

- დარწმუნებული ვარ, "რესპუბლიკური" პარტიის ხელმძღვანელობიდან თითოეული უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა, ვიდრე სააკაშვილი. შეიძლება, სხვა პარტიებშიც არიან, მაგრამ მათ ასე კარგად არ ვიცნობ. მაგრამ, ერთია კარგი ხალხი და მეორე - კარგი შანსი. ჩვენ ასეთი შანსები არ გვქონია. სააკაშვილს ჰქონდა შანსი და ყველანაირად ისარგებლა ამით, მათ შორის, ჩვენი დახმარებითაც.

განსაკუთრებით დაზარალდნენ ისინიც, ვინც რევოლუციის წინაარლმდეგნი იყვნენ და ვინც ხალხმა რეალურად ამოშალა პოლიტიკური სურათიდან. ისინი დამარცხებულები არიან და პოლიტიკურ სურათში ხელახლა ეწერებიან.

რევოლუციაში მონაწილე, მაგრამ ახლა ხელისუფლებისადმი პრეტენზიების მქონე ადამიანების (ჩვენი და კონსერვატორების) შანსი უფრო მაღალია, ვიდრე იმ ძალებისა, ვინც რევოლუციის წინააღმდეგნი არიან. ამან კიდევ ერთხელ აჩვენა, რა პროცესი გვაქვს ახლა - ძველი ოპოზიცია დასუსტდა იმიტომ, რომ რევოლუციაში არ მონაწილეობდა. ახალი ოპოზიცია იმიტომ დასუსტდა, რომ რევოლუციაში მონაწილეობდა. უნიკალური შემთხვევა იყო "ნაცმოძრაობის" ძალიან მაღალი ნდობა. ეს ნდობა ნელ-ნელა დაბლა ჩამოდის. პარალელურად იზრდება ოპოზიციის როლი, მაგრამ ტემპები ერთი და იგივე არ არის - ნდობა უფრო სწრაფად მცირდება და ჩვენი ნდობა ნელა იზრდება. "რესპუბლიკელების" რეიტინგი წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ეს თავიდანვე არ იყო დიდი ციფრი. სამჯერ კარგად ჟღერს, მაგრამ რეალურ გამოხატულებაში ეს ისეთი არ არის. გამოკითხვების მიხედვით, ნდობის ათეულში "რესპუბლიკელებიც" გამოჩნდნენ.

**- ხელისუფლება ამ გამოკითხვის მიხედვით სად არის?**

- პირველ ადგილზეა. ყველაზე მაღალი, 50 პროცენტიანი ნდობა სააკაშვილს აქვს, რაც აღარ არის 96 პროცენტი. შემდეგ მოდის ნინო ბურჯანაძე და შემდეგ ოქრუაშვილი. მერე მოდიან ოპოზიციონერები. შარშან ათეულში არც ერთი ოპოზიციონერი არ ყოფილა, ახლა ათიდან შვიდი ოპოზიციონერია. მართალია, რიცხვები შთამბეჭავი არ არის. მაგალითად, ჩემდამი ნდობა 15 პროცენტია. რა თქმა უნდა, 15 პროცენტი 50-ს ძალიან ჩამორჩება, მაგრამ მე მარტო არ ვარ - ჩემს ძმას 12 პროცენტი აქვს, კობა დავითაშვილს 27 პროცენტი. სიაში კიდევ გვყავს ადამიანები. ასე რომ, სისუსტის მიუხედავად, ოპოზიციის გაძლიერების პროცესი დაწყებულია და ამას ყველასთვის აზრი აქვს. ეს კარგია "ნაცმოძრაობისთვის" (თუმცა, მათ ამის დაჯერება არ უნდათ), კარგია ქვეყნისთვის (ქვეყანა ამის დაჯერებას ნელ-ნელა იწყებს) და ეს კარგი იქნება სააკაშვილისთვის, რადგან გადაწყვეტილებების მიღების დროს მას არჩევანის გაკეთების საშუალება გაუჩნდება.

არის გადაწყვეტილებები, სადაც სადავო არაფერი გვაქვს - მაგალითად, ჩემი პროგნოზით, ამ წლის დასაწყისში საქართველო დსთ-დან გავა.

**- და თქვენი აზრით, ამას უმრავლესობაც დაუჭერს მხარს?**

- მოუწევს. თუმცა კი, ეს კოშმარივით ესმის ჩოგოვაძეს და მისნაირებს, რადგან მათ სხვა დავალებები აქვთ. საერთოდ კი პარლამენტიდან დაიწყო ეს ლაპარაკი. პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული არ არის, მაგრამ ის მაინც ითქვა, რომ ერთხელაც იქნება, გავალთო. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თან ნატო-ში შეხვიდე და თან დსთ-ში იყო, წარმოუდგენელია. ნატო-ს კარი მარტო იქიდან კი არ იღება, აქედანაც უნდა მიწოლა და ეს მიწოლა დსთ-დან გამოსვლაა.

რაც შეეხება ეკონომიკურ ტერორს და იმას, რომ რუსეთი ჩვენი დიდი ბაზარია. ყველაზე დიდი და სერიოზული ვაჭრობა რუსეთს ბალტიის ქვეყნებთან აქვს, რომელიც არათუ დსთ-ს, სულ სხვა სისტემის ქვეყნებია. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ თუ ევროკავშირში და ნატო-ში შედიხარ, რუსეთს ინტერესები ეზრდება იმიტომ, რომ აქეთ გადმოდის საზღვარი. თურქეთთან დიდი სავაჭრო ურთიერთობები აქვს რუსეთს - რა, თურქეთი ნატო-ს წევრი აღარ არის?! რუსეთი ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია, მაგრამ ის ყველა სისულელეს აღარ იყიდის. ქუთაისის გამოშვებულ მანქანებს რუსეთი აღარ იყიდის, ეს დრო დამთავრდა ქარხანასთან და საბჭოთა კავშირთან ერთად.

**- სააკაშვილი და მისი მართვის მეთოდები არაერთმნიშვნელოვნად ფასდება. ის არ უყვართ დსთ-ში, მაგრამ დასავლეთის ავტორიტეტული კვლევით ჩვენს ქვეყანას სუვერენიტეტის ინდექსი მიენიჭა. შიგნით კი მას ანტიდემოკრატიულ ნაბიჯებში ადანაშაულებენ - ვინ არის მართალი?**

- ასეთი ინდექსები ასამდე არსებობს. 99 ამბობს, რომ საქართველო ცუდ მდგომარეობაშია. 10 ამბობს, რომ რაღაც პარამეტრები გაუმჯობესდა. საქართველოში ეკონომიკური ზრდა სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად მიმდინარეობს, იმ ქვეყნებში კი რევოლუცია არ მომხდარა.

ამ ინდექსების მიმართ შეიძლება გაჩნდეს გარკვეული სკეფცისი. ინდექსების ნდობა მაშინ შეიძლება, როდესაც ობიექტური პროცესის შეფასება გვინდა. მაგალითად, ბიუჯეტის ზრდა, რომელიც ჩვენმა ხელისუფლებამ გააფეტიშა, ხალხს არანაირად არ შეეტყო. საბჭოთა კავშირის დროს მაღაზიაში კვერცხი არ იყო და მთავრობა ამბობდა, რომ 1913 წელთან შედარებით კვერცხის წარმოება 13 000-ჯერ გაიზარდა. არის მომენტები, სადაც საქართველომ მართლაც წინ წაიწია და შეიძლება რომელილაც ინდექსით ეს მართლაც აღინიშნოს, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში კატასტროფული მდგომარეობიდან წინ წაწევაზეა საუბარი და შეიძლება 17-ჯერ გაზარდო, როგორც სამჯერ გაიზარდა ჩვენი პარტიის რეიტინგი. ის პატარა იყო და ახლა 4-5 პროცენტს მიაღწია. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ 50-ჯერ გაიზარდოს. გააჩნია, როგორ ვილაპარაკებთ - ადამიანურად ვამბობთ, რომ 5 პროცენტიანი პარტია ვართ და მადლიერი ვარ, რომ ყოველმა მეოცე ადამიანმა ჩვენსკენ გამოიხედა. თუ ხელისუფლების ენაზე ვლაპარაკობთ, ვიტყვით, ჩვენ რომ გვიყურებთ, რეიტინგი სამჯერ გაგვეზარდაო... არც ერთი ეს ქაღალდი და საბუთი არ ტყუის, მაგრამ არც ერთი არ აღნიშნავს იმას, რომ ჩვენ კარგად ვცხოვრობთ. მოქალაქეს კი ატენიან აზრს, რომ კარგად ცხოვრობს, მაგრამ პრეზიდენტს ასეთი ჰიპნოტური უნარი არ აქვს, რომ ეს ყველამ დაიჯეროს.

რევოლუციის შემდეგ ევროკავშირმა ჩვენს ქვეყნაში 60 პროცენტიანი უმუშევრობა დაგვიფიქსირა. რა ზღაპრებსაც უნდა მიყვებოდნენ სახელმწიფოს მიერ მართული ტელევიზიები, ადამიანი დაიჯერებს? ერთხელ ხომ უნდა დადგეს მომენტი, რომ ადამიანმა თვითონ თქვას - კარგად ვარო?! არაჯანსაღია, როდესაც სიხარულს გამხარებელი გამოხატავს. ჩვეულებრივ, სიხარულს გამოხატავს გახარებული. ჩვენი სიტუაცია ერთ ანეგდოტს მაგონებს - მამა შვილს ეძახის, ეზოდან ამოდიო. რატომ, მამა, მეძინებაო? არა, გშიაო... ქართველებს ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ 60 საუკუნის ხალხი ვართ, გონებამახვილი და გამოცდილი. ნუ ილაპარაკებ, რომ ახლა რაც ხდება, პირველად ხდება ისტორიაში. 60 საუკუნის განმავლობაში იმდენი რამ მომხდარა, რომ რა უნდა გააკეთო შენ პირველად?!

**- გვერდს ვერ ავუვლით ხმაურს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გარშემო. როგორც ასოციაციაში ამბობენ, ეს მათთვის მოულოდნელი არ ყოფილა...**

- ხელისუფლებამ აშკარად დაიწყო გარჩევა, ვინ უფრო მაგარი მტერი ჰყავს და ვინ - ნაკლები. რატომღაც, ყველაზე დაუძინებელ მტრებად ჩვენ, "რესპუბლიკელები" ამოგვარჩია. თან რევოლუციაში გვაქვს მიღებული მონაწილეობა და ვერ გვიყენებენ კორუფციის ბრალდებას, ვერც იმას გვაბრალებენ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებასთან ვთანამშრომლობდით. გარკვეული მეთოდები მართლაც შეიცვალა. ჩვენ ვეყრდნობით არასამთავრობო სექტორის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ მხარდაჭერას და გულშემატკივრობას. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" დიდი ხანია, ყველა ხელისუფლებას აკრიტიკებს და მე მგონი, ამას უნდა აკეთებდეს კიდეც, რადგან იურისტები არიან და კანონს შევარდნაძე არღვევს თუ სააკაშვილი, განსხვავება არ უნდა იყოს. "თავისუფლების ინსტიტუტმა" მოიფიქრა, რომ შევარდნაძე რომ არღვევს ცუდია, სააკაშვილი რომ არღვევს - კარგი, ეს არ არის პატიოსანი პოზიცია. არასამთავრობო სექტორი, ჩვეულებრივ, მთელ მსოფლიოში ოპოზიციაა. ამ ორგანიზაციამ შეისწავლა ბიუჯეტი, შეისწავლა საქართველოს ტელევიზიაში არსებული ფინანსური მდგომარეობა და გაცილებით უკეთ შეისწავლა, ვიდრე კონტროლის პალატამ, რომელიც უპასუხისმგებლოდ მოიქცა. ასოციაციამ კანონით ნებადართული გზებით მოიპოვა დოკუმენტები და დადო სურათი, რა ხდებოდა საქართველოს ტელევიზიაში. მალე დაიდება ის, თუ რა ხდება ახლა.

ასოციაციაში, ისევე როგორც "რესპუბლიკურ პარტიაში", ნამყოფია ხელისუფლების ბევრი წევრი. ბუნებრივია, გაჩნდა გაღიზიანება - თუკი "თავისუფლების ინსტიტუტის" ხალხი (სუბარი, ბოკერია, მერაბიშვილი, თარგამაძე, ახალაია და სხვა) ამ ინსტიტუტის მხარდაჭერით სარგებლობს, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მხარდაჭერით ვიღა ისარგებლებს? ეს აღმოჩნდა პრობლემა. მხარდაჭერის ნაცვლად ასოციაციამ საწევროების გადახდა მოითხოვა, რამაც დიდ თანამდებობებზე მყოფი ხალხი გააღიზიანა.

ირაკლი ოქრუაშვილის ადგილზე ასეთ სწრაფ რეაგირებას არ მოვახდენდი. თავდასხმა კი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ის, რომ პარლამენტის ამჟამინდელი და ასოციაციის ყოფილი წევრები გამოდიან და თავმჯდომარის გადადგომას ითხოვენ, "ენჯეოს" საქმიანობაში უხეში ჩარევაა. პარლამენტის წევრისგან "ენჯეოს" ლიდერის გადადგომის მოთხოვნა კანონის დარღვევაა, იურისტმა უნდა იცოდეს, რომ ეს არის პარლამენტისგან დამოუკიდებელი სფერო. გამგეობამ უნდა გადაწყვიტოს, გადააყენებენ თუ არა ქალბატონ ანა დოლიძეს.

რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა დაბანილი პირი დოლიძეს, ეს კანონის სფეროში არ არის. როცა კაცი ამას იტყვის, ის საკუთარ თავზე ლაპარაკობს და ამით ოპონენტს შეურაცხყოფას ვერ აყენებს. ეს არ უხდება არც მინისტრს და არც არავის. ხელისუფლებას აქვს გარანტიები, რომ ძალიან პირდაბანილია? ამ ხელისუფლებას, რომელმაც ლაპარაკი ვერ ისწავლა და ვერც ერთ წინადადებას ვერ ამბობს ბოლომდე? არანაირი უხეშობა არ იქნება აღქმული მტკიცე ხელად და ვაჟკაცობად. ქართველი კაცებისგან ქალებზე ცუდად ლაპარაკის ვაჟკაცობის სივრცე აქ არ არის. ვაჟკაცობის გამოვლენის ტერიტორიები სხვაგან არის. ოქრუაშვილისგან ასეთ საქციელს არ ველით და არ გვინდა, პოლიტიკური ბრძოლა ასეთ ჭრილში გადავიდეს.

**- თქვენი ეს პოზიცია ხომ არ გაუმყარებს ოპონენტებს იმ აზრს, რომ "ახალგაზრდა იურისტა ასოციაცია" "რესპუბლიკელების" კანტორაა?**

- ყველა პარტიას, რომელიც საქართველოში არსებობს, წევრი ჰყავს ამ ასოციაციაში. ჩვენც ზუსტად ისეთივე პროცენტით ვართ წარმოდგენილი, როგორითაც სხვები. ამჟამინდელი თავმჯდომარე კი საერთოდ არც ერთი პარტიის წევრი არ არის. ასოციაცია "რესპუბლიკელებზე" არ მუშაობს. ასე რომ ყოფილიყო, ჩვენი პარტია ამ რესურსებს აუცილებლად გამოიყენებდა და ოთხასივე თუ რვაასივე წევრს ჩვენს პარტიაში გავაერთიანებდით. ეს არ არის ერთადერთი არასამთავრობო, ვისაც ოპოზიციისადმი სიმპათიები აქვს. ხელისუფლებამ მედია დაიმორჩილა, მაგრამ ამავე მიზნით არასამთავრობოებზე შეტევა არ გამოუვა.

**- ოპოზიციის მიერ გასულ წელს დაშვებულ შეცდომებს ხომ არ ჩამოთვლიდით?**

- ჯერ ვთქვათ, რა არ იყო შეცდომა. სასამართლოს დარბევის შემდეგ (რაც სამარცხვინო ფაქტი იყო) ხელისუფლების მიერ დარბეული მომიტინგეების დაცვა შეცდომა არ იყო. პირიქით, ეს იყო პასუხისმგებლიანი ქმედება. მესმის, რომ ხელისუფლების რეიტინგისთვის მომგებიანი იყო, ელაპარაკა ჩვენს კავშირზე ქურდებთან, მაგრამ ეს კავშირი ბუნებაში არ არსებობს.

ოპოზიციას შეცდომების დაშვება უყვარს იმიტომ, რომ მას არ აქვს საშუალება, გაზომოს თავისი მოქმედებები. შეცდომა იყო არგაერთიანება უფრო ადრე, ვიდრე ეს მოხერხდა. ამას წინ უსწრებდა გინება და ცემა-ტყეპა პარლამენტში. ამის შემდეგ მივხვდით, რომ გაერთიანება აუცილებელი იყო.

ასპროცენტიანად ვიცით, რომ ქართველ ხალხს არჩევითი მერი უნდა და ოპოზიციის სერიოზული შეცდომაა ის, რომ ვერ ვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

**- რატომ ვერ აბამთ თავს? პოლიტიკური გამოცდილება არ გაკლიათ...**

- ალბათ, ოპოზიცია სუსტია და იმიტომ. პირდაპირ რომ ვთქვა, ყველაზე მთავარი ფინანსური პრობლემებია. იყო დრო, როდესაც მილიონრები აფინანსებდნენ ოპოზიციას. ახლა ამ მილიონრებისთვის ეს ასე იოლი აღარ არის. ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა მაინც ის არის, რომ ნახევარი წლის განმავლობაში ოპოზიცია ერთმანეთს ებრძოდა. არის, რა თქმა უნდა, განსხვავება ამ 5-6 პარტიას შორის, მაგრამ ერთმანეთს შორის ბრძოლას აზრი არ აქვს და ამას ოპოზიცია, როგორც იქნა, მიხვდა.

**- რას გაძლევთ თქვენ, "რესპუბლიკელებს" ერთხელ უკვე გარდაცვლილი პარტიების - "მემარჯვენეებისა" და "ლეიბორისტების" - გვერდით ყოფნა?**

- საკითხი ასე არ დგას. ეს არსებულმა საარჩევნო კანონმდებლობამ გვაიძულა. პირველ ადგილზე ვინც გავა, ყველა ადგილი იმას მიაქვს. კარგი შედეგის ჩვენებას აზრი არ აქვს. თუ ხელისუფლება გაიმარჯვებს, იქნება ერთპარტიული მმართველობა, თუ გაიმარჯვებს ოპოზიცია, მმართველობა მრავალპარტიული იქნება. პირველ შემთხვევაში საერთოდ არ ვიქნებით წარმოდგენილი ადგილობრივ ხელისუფლებაში, რადგან ის ამ კანონით ამბობს, ოპოზიცია საერთოდ არ მინდაო.

ჩვენ კომპრომისებით ცნობილი არ ვიყავით, მაგრამ ისტორიის განმავლობაში სასაყვედურო მაინც დაგვიგროვდა - ერთ ხანს ნოდარ ნათაძესთან ერთად ვიდექით. კარგი კაცია, მაგრამ ჩემზე თქვა, ეგ 150 კილოა და "ვეფხისტყაოსანი" წაკითხული არ აქვსო. ქალბატონი ირინა სარიშვილის გვერდითაც ვიდექით, როცა ის ოპოზიციაში იყო...

**- კანონმდებლობამ რომ გაიძულოთ, სარიშვილის გვერდით კვლავ დადგებით?**

- ცოტა მეეჭვება, რომ კანონმდებლობამ ეს გვაიძულოს, საზღვრები მაინც არსებობს. თუ კანონმდებლობა ირინა სარიშვილის გვერდით დგომას მაიძულებს, პოლიტიკიდან წავალ. იმან უკვე თავისი თქვა. ხელისუფლებას რომ არ რცხვენია ბენდუქიძის გვერდით დგომა...

**- იმიტომაც ებრძვით მას, არა?**

- გასაგებია, მაგრამ არ მოვისმენთ საყვედურებს იმაზე, თუ რატომ ვდგავართ ნათელაშვილთან. იდეოლოგიის სფეროში ერთმანეთთან ბევრი გვაქვს საკამათო, მაგრამ როგორც იქნა, მივხვდით, რომ ამ კამათს ჩვენ მომავალში გადავიტანთ.

**- ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ბრძოლა ხშირად სცდება ოპონირების საზღვრებს და აგდებულ ტონში გადადის, ეს არ მოძველდა?**

- აგდებული ტონი იმას ნიშნავს, რომ მათ შეეშინდათ. როცა ცდილობენ, არ დაგელაპარაკონ, არ გეკამათონ, მონაწილეობა არ მიიღონ დებატებში, ეს ნიშნავს, რომ მაგრად ეშინიათ. კარგად იციან და კითხულობენ, რასაც წარმოვადგენთ. იმ სარეიტინგო ათეულებში რატომ არ ჩანან მათი ლიდერები, მაგალითად, ჩემი "აღმოჩენილი" მაია ნადირაძე, გიგა ბოკერია? რას აკეთებენ? რომელიმე გაზეთს დაიქირავებენ და აცხადებენ, "წლის ადამიანი გიგა ბოკერია..." კი ბატონო, წლის ადამიანიც არის, საუკუნისაც და ათასწლეულისაც, რადგან ასეთი უზრდელი და უპრინციპო ადამიანი საქართველოში 1000 წელი არ დაიბადება. სხვებისგან განსხვავებით, მას სინდისი ჰქონდა, მაგრამ ის თავს ებრძოდა და ყველგან დაამარცხა საკუთარი თავი.

**- ერთ-ერთი უცხოური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პუტინმა ხელისუფლება მთვრალის ხელში სამართებელს შეადარა...**

- პუტინი ამით, ალბათ, მთავარ რუსულ იდეას უსვამს ხაზს - ის არ სვამს. პრეზიდენტი, რომელიც არ სვამს, რუსეთში თითქმის ღმერთია. გართობა, რომ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს სიბრძნე უპოვო, ცუდი გართობაა, რადგან შეიძლება აღმოაჩინო, რომ სანუკვარი პრეზიდენტი არც ისე ბრძენია. ამას წინათ ბუშმა იმპორტთან დაკავშირებით საინტერესო აღმოჩენა გააკეთა - "მე იმპორტში უცხოელების როლი გავზარდეო."

სინამდვილეში, ხელისუფლება ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობაა. სააკაშვილი ცდილობს, რომ ხელისუფლება მთლიანად მის ხელში იყოს. ჯობია, პარლამენტი იყოს პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება იყოს თავის ადგილზე და სასამართლოც არ იყოს ასე დაჩაგრული, როგორც ახლა. შარშან პარლამენტმა სააკაშვილს დაუჩოქა, პრეზიდენტმა დააჩოქა სასამართლოც. დაჩოქილი პარლამენტი და დაჩოქებული სასამართლო იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება თავის თავში დარწმუნებული არ არის.

ჩვენი ამოცანაა პრეზიდენტმა გაამართლოს, ამასთან დაკავშირებული ვართ, რადგან სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, რევოლუციაში ერთად ვიყავით. ჩვენი ინტერესი არ არის, დამარცხდეს და წაიქცეს სააკაშვილის ხელისუფლება, რადგან გვინდა, პატიოსნად ჩავენაცვლოთ წარმატებულ ხელისუფლებას

**- თქვენ ამბობთ, რომ ეს დსთ-დან გასვლის წელი იქნება. უცხოელი ექსპერტები 2006 წელს ნატო-ს წელს უწოდებენ, ეს ერთი და იგივეა?**

- ნატო-მდე ძალიან შორია. ნატო-სკენ სვლის წელი კი იქიდან არის, შევარდნაძემ პრაღაში რომ თქვა, ნატო-ში გვინდაო. ეს იქნება დსთ-დან გასვლის წელი და აბსოლუტურად ყველა იქნება ამის მომხრე. დადგენილებას თუ ვერ დავწერთ, ჩვენ ზეპირად მაინც ვიტყვით, რომ ყველას, ვინც ქვეყანა დსთ-ში ძალით შეათრია, მორალური პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ. ეს იყო ყველაზე სამარცხვინო ლაქა ჩვენს ისტორიაში.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107), აცხადებს ღია ტენდერს ყვარელი-მუკუზანის საავტომობილო გზის მე-9 კმ.-ზე არსებული ხიდის ცალკეული ელემენტების და ნაპირსამაგრი ნაგებობების აღდგენის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის მაისამდე).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ მოთხოვნისთანავე, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

**4.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 6 თებერვლის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 7 თებერვლის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოგრეიდერი საშუალო | 1 |
| 2 | ამწე ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 3 | ბულდოზერი | 1 |
| 4 | ავტოგადამტვირთველი | 1 |
| 5 | სატკეპნი გლუვვალციანი 11-18 ტ | 1 |
| 6 | ექსკავატორი ციცხვის მოცულობით 0.5 მ³ | 1 |
| 7 | სარწყავ-სარეცხი მანქანა | 1 |
| 8 | ავტოთვითმცლელები ტვირთამწეობით 7-10 ტ | 6 |
| 9 | ბორტიანი მანქანა ტვირთამწეობით 6 ტ | 2 |

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღნერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც შესრულებული უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 200 000 ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაო.

შენიშვნა: ცნობა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: სასურველია მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

**5.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-10 მუხლის 10.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**10.** გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**12.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000141408, კოდი 220101107), აცხადებს ღია ორ ეტაპიან ტენდერს მდინარეთა კალაპოტების და ნაპირების გამაგრების სამუშაოებზე საჭირო საზედამხედველო (ინტელექტუალური) მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. მიწოდების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. (გამაგრების სამუშაოების შესრულების ვადების შესაბამისად).

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების და გზების განვითარებისა და ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოებში.

**3.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები, სადაც მოცემული იქნება ზოგადი მოსაზრებები გასაწევი მომსახურების განხორციელების შესახებ და აღნიშნული იქნება ის ძირითადი სტანდარტები და ნორმები (საზედამხედველო მომსახურების გაწევისას გამოყენებული და დაცული უნდა იქნას საერთაშორისო და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმები და სტანდარტები), რომელთა გამოყენებითაც მოხდება საზედამხედველო მომსახურების განხორციელება, ქართულ ენაზე ღირებულების გარეშე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 6 თებერვლის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 7 თებერვლის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სამართლებრივი სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირების საკვალიფიკაციო მონაცემებს და პირველად სატენდერო წინადადებებს განიხილავს შესაბამისი საექსპერტო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზეც სატენდერო კომისია ტენდერის პირველ ეტაპზე განსაზღვრავს პრეტენდენტებს.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასება.

ტენდერის მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

-- ცნობას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების გაწევის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი მომსახურების სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათისა და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.

იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც გაწეული უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 3 მილიონი ლარის ღირებულების ანალოგიურ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება.

შენიშვნა: ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | სასურველია ხელშეკრულებების ასლების წარმოდგენა, თუ კონფიდენციალური არ არის |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- ცნობა 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: სასურველია მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება);

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო და პირველადი სატენდერო წინადადების მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**8.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერის შემდგომ ეტაპზე დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (სავარაუდოდ 13-14 თებერვლიდან), მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

სატენდერო დოკუმენტაციის შეძენის დაწყების ვადა დაზუსტდება ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ და პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით, პირველი ეტაპის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს მაღალრეიტინგული ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე, იური ტიხანაშვილი

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
კრედიტი No. 3702-GE

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი,** პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს გამოხატონ ინტერესი საქართველოს იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში **პირველადი ჯანდაცვის 27 დაწესებულების რეაბილიტაციისათვის საჭირო არქიტექტურული დიზაინის შესამუშავებლად და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად**. დავალების მიზანია თითოეული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებისათვის: ა) მომზადდეს არქიტექტურული პროექტი და ბ) შერჩეული ობიექტების რეაბილიტაციის პროცესში განხორციელდეს საავტორო ზედამხედველობა. დავალება გაყოფილია სამ ლოტად: იმერეთის 9 ობიექტი (საერთო ფართით დაახ. 1149 მ2), შიდა ქართლის 8 ობიექტი (საერთო ფართით დაახ. 1358 მ2) და შიდა ქართლის 10 ობიექტი (საერთო ფართით დაახ. 1691 მ2).

**თითოეული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებისათვის არქიტექტურ-ულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

- შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზები;
- შეიმუშაოს საბოლოო არქიტექტურული დიზაინი (პროექტები);
- მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე, საოფისე და სამედიცინო აღჭურვილობისა და ავეჯის ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.
- სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტების აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**შენიშვნა:** ფირმამ უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad /AutoCad-ში).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის წამყვან სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამის დარგში.

**სამუშაოების ხანგრძივობაა 10 თვე (რაც მოიცავს: 3 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

**სამი ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა** შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდელების აღწერილობა - CV).

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2006 წლის 26 იანვარს 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331939, 388220, ელ. ფოსტა: info@hpic.ge**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა ლიცენზირების წესებისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 ივლისის N121 დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილია ლიცენზიის მაძიებელთა განცხადებები და შესაბამისი დოკუმენტაცია:

1. შ.პ.ს. "საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
2. შ.პ.ს. "ფოთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
3. შ.პ.ს. "ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
4. შ.პ.ს. "ხულოს წმიდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლა" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
5. შ.პ.ს. "წმიდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზია" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
6. შ.პ.ს. "საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
7. ქ.ზუგდიდში მდებარე შ.პ.ს. "ჩირაღდანი" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
8. რეგისტრირებული კავშირი კერძო სკოლა "თიფერეთ ცვი" ითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გენერალურ ლიცენზიას.
9. შ.პ.ს. "არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონი" ითხოვს: ა)უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, შ.პ.ს. "არასახელმწიფო საერო სკოლა "ალბიონი", თბილისის საგადასახადო ინსპექციის ბრძანების საფუძველზე, წარმოადგენს ინდივიდუალური საწარმო "ალექსანდრე ჯავახიშვილის" უფლებამონაცვლეს; ბ) სალიცენზიო მოწმობის დუბლიკატს.
10. შ.პ.ს. "გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმი" ითხოვს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანას, ქ. გორში მდებარე შ.პ.ს. "საერო საშუალო სკოლას", სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ეწოდა შ.პ.ს. "გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმი".

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, 0114, გენერალ გ. გულუას ქ. № 4-ში, აცხადებს ტენდერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგაობათა მოვლის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2 შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
- მწვანე ზოლის საერთო ფართია 1562074 კვ მ. მათ შორის:
- ბაღი - 160923 კვ მ.
- სკვერები - 85040 კვ მ.
- დეკორატიული კუთხე - 1770 კვ მ.
- გაზონები - 245377 კვ მ.
- ფერდობები - 243319 კვ მ.
- საყვავილე - 2675 კვ მ.
- ქუჩის ნარგაობა - 651386 კვ მ.
- ცალკე მდგომი ბუჩქები - 42000 ძირი.
- ბორდიურის ბუჩქები - 2520 გრძ. მ.
- ვარდნარი - 2880 კვ მ.
- ბულვარი - 19629 კვ მ.
- შიდა კვარტალური ნარგაობა - 9055 კვ მ.
- ახალგაზრდობის ხეივანი - 140029 კვ მ.

2. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ 2006 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან) 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 03 თებერვლიდან 2006 წლის 07 თებერვლის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. № 4, VI სართული, ოთახი № 613.

5. რაიონი დაყოფილია ორ ლოტად: ყოფილი მთაწმინდისა და ყოფილი კრწანისის რაიონის ტერიტორიებად. ტენდერის შედეგად, ლოტების შესაბამისად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

6. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

6.3. ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

7. განცხადებას, ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: № 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (მთაწმინდა-კრწანისი), ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300034040, დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2006 წლის 12 იანვრიდან 2006 წლის 02 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. №4, VI სართული, ოთახი № 613. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონზე: 99-84-46, ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მამუკა სიდამონიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა, მდებარე ქ. თბილისი, 0114, გენერალ გ. გულუას ქ. № 4-ში, აცხადებს ტენდერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების აღდგენისა და ექსპლუატაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2 შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: რაიონში მდებარეობს18 დეკორატიული შადრევან-აუზი. საჭიროა მათი სეზონისათვის მომზადება და გამართული ექსპლუატაცია.

3. მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან (სავარაუდოდ 2006 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან) 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 03 თებერვლიდან 2006 წლის 07 თებერვლის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. № 4, VI სართული, ოთახი № 613.

5. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

6. ტენდერში მონაწილის (სუბ-კონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში, ასევე - მათი) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

6.3. ფიზიკური და იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

7. განცხადებას, ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კვალიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო მოსაკრებელი, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს, გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: № 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (მთაწმინდა-კრწანისი), ბანკის კოდი 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300034040, დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენისთანავე 2006 წლის 12 იანვრიდან 2006 წლის 02 თებერვლის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: 0114 ქ. თბილისი გენერალ გ. გულუას ქ. №4, VI სართული, ოთახი № 613. სატენდერო დოკუმენტაცია შესრულებული იქნება ქართულ ენაზე.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონზე: 99-84-46, ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი მამუკა სიდამონიძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისია*

# სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული საწარმოო ლაბორატორიული კორპუსისა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების თაობაზე

*ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:*

- გამყიდველი - სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".
- მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი - ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, ტელ. 77 90 02.
- აუქციონის ჩატარების თარიღი - გაზეთში გამოცხადების დღიდან 30-ე დღის დამთავრების შემდეგ;
- ქ. თბილისში, დელისის მე-3 შესახვევ N22-ში მდებარე ლაბორატორიული კორპუსი მასზე დამაგრებულ მიწის ფართობთან ერთად. საწყისი ფასი განსაზღვრულია 3700000 (სამი მილიონ შვიდასი ათასი) ეროვნულ ვალუტაში. საწყის ფასში გათვალისწინებულია დამატებული ღირებულების გადასახადი.
- შენობა არის 6 სართულიანი, შენობის მთლიანი ფართობი შეადგენს 8104 მ2-ს, მასზე დამაგრებული მიწის ფართობი - 7644 მ2, კორპუსის მშენებლობა დაწყებულია 1982 წელს. ამასთან ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ ადგილზე გაეცნოს სარეალიზაციო ქონებას.
- აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება წარმოებს გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში, დღის 17 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.
- "ბეს" სიდიდე განისაზღვრება გასაყიდი ქონების საწყისი გასაყიდი ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით. თანხა ჩარიცხული უნდა იქნეს ანგარიშზე:

*სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი.*
*საიდენტ. კოდი 204900919;*
*ა.ანგარიში 007609318*

- "ბიჯის" სიდიდე შეადგენს საწყისი გასაყიდი ღირებულების 5%-ს.

*სააუქციონო პირობები:*

- აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე ნოტარიუსით დამოწმებული მინდობილობით განსაზღვრულ პირს, თუ იგი მოქმედებს ფიზიკური ან/და იურიდიული პირის სახელით;
- აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს გაზეთში გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10 სთ-დან 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 300 არაგველის ქ.24, მე-4 სართული, ოთახი N2.
- აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია სააუქციონო კომისიის მიერ გადაეცემა კორპორაციას, რაც მტკიცდება 10 დღის ვადაში.
- აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში "მყიდველმა" ოქმში მითითებულ საბანკო დაწესებულებაში უნდა შეიტანოს ნაღდი ან გადარიცხვით ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ დასახელებულ საბოლოო ფასს.
- აუქციონის შედეგების ოქმზე გამარჯვებული მონაწილის მიერ ხელმოწერის უარის შემთხვევაში მას ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ უბრუნდება;
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონი არ შედგა, იმ მიზეზით, რომ აუქციონის "მონაწილეები" ესწრებოდნენ აუქციონს და არ მიიღეს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა, მაშინ მონაწილეებს შეტანილი "ბე" არ უბრუნდებათ;
- აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებაში;
- აუქციონში დამარცხებულ "მონაწილეს" აუქციონის შედეგის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში "მონაწილის" მოთხოვნით "ბე" უბრუნდება "ბეს" შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

*საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:*

- განაცხადი, დამტკიცებული ფორმის მიხედვით (აუქციონში მონაწილეობის მსურველს გადაეცემა ადგილზე);
- "ბეს" შეტანის ქვითარი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები, თუ ფიზიკური პირია, იურიდიული პირის შემთხვევაში ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით;
- აუქციონის ფორმით გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკუთრების უფლება მიანიჭოს იმ "მყიდველს" (აუქციონში მონაწილეს), რომელიც ვაჭრობის პროცესში "გამყიდველს" ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

*სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია".*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1.ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია ორეტაპიან საერთაშორისო ტენდერს ქ. თბილისის ქუჩების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად საპროექტო ორგანიზაციებს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 35 პოზიციად (ლოტებად): 1. მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირო ფეიქრების ქუჩიდან ჩოლოყაშვილის ქუჩამდე 2. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო ბელიაშვილის ქუჩიდან ვეფხი და მოყმემდე 3. გელოვანის გამზირი 4. თბილისი-აეროპორტის ტრასის I და IV გზები 5. დ. აღმაშენებლის გამზირი 6.ჩიტაიას ქუჩა. 7.თამარ მეფის გამზირი 8. ც. დადიანის გამზირი (ც. დადიანის გამზირის დასაწყისიდან ხუდადოვის ქუჩამდე) 9. ბელიაშვილის ქუჩა. 10. ლუბლიანას ქუჩა 11. გურამიშვილის გამზირი 12. სარაჯიშვილის გამზირი 13. ჩარგლის ქუჩა 14. მანჯგალაძის ქუჩა 15. მოსკოვის გამზირი (გამგეობიდან ავეჯის კომბინატამდე) 16. ჩოლოყაშვილის ქუჩა 17. ბ. ხმელნიცკის ქუჩა 18. ბაღდადის ქუჩა 19. ნავთლუღის ქუჩა 20. ირ. აბაშიძის ქუჩა 21. ფალიაშვილის ქუჩა 22. ყაზბეგის გამზირი 23. ქავთარაძის ქუჩა 24. გამსახურდიას გამზირი 25. გაგარინის მოედანი და ქუჩა 26. ბულაჩაურის ქუჩა 27. მოსაშვილის ქუჩა 28.კუტუზოვის ქუჩა 29. ბახტრიონის ქუჩა 30. რუსთავის გზატკეცილი 31. გორგასლის ქ. (აბანოთუბნიდან ბაგრატიონის ძეგლამდე) 32.მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ავტოსადგურიდან გორგასლის ქუჩამდე) 33. გორგასლის ქუჩა სამშობიაროდან საპატრულო პოლიციამდე 34. თბილისში შემოსასვლელი ზემო ფონიჭალიდან რუსთავის გადასახვევამდე. 35. ბელიაშვილის და დ. აღმაშენებლის შემაერთებელი გზა.

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

ქუჩებისა და შიდაკვარტალური გზების კაპიტალურ შეკეთებას და მოთხოვნის შემთხვევაში გზების საგზაო ნიშნებით მონიშვნას;

2 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, საბოლოო მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2006 წლის 31 სექტემბერი.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

4. პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილ სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი);

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას უნდა ახლდეს ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 6 თებერვლის 12 საათიდან 2006 წლის 7 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური. (არარეზიდენტი უფლებამოსილია აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინოს მისთვის მისაღებ ენაზეც. ასეთ შემთხვევაში, მასთან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი. სატენდერო კომისია განიხილავს მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას).

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 12 იანვრიდან 2006 წლის 6 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

13.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. წამებულის გამზირის მონაკვეთის (მ/ს 'სამგორი"-დან - მოსკოვის გამზირამდე), მოსკოვის გამზირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის, ლილოს დასახლების, ზემო ფონიჭალის დასახლების (კორპუსები), გლდანულას დასახლების გარე განათების ქსელების რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 5 პოზიციად (ლოტად):

1.პოზიცია (ლოტი) - ქ. წამებულის გამზირის მონაკვეთის (მ/ს 'სამგორი"-დან - მოსკოვის გამზირამდე), მოსკოვის გამზირის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

2. პოზიცია (ლოტი) - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

3. პოზიცია (ლოტი) - ლილოს დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

4. პოზიცია (ლოტი) - ზემო ფონიჭალის დასახლების (კორპუსები) გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

5. პოზიცია (ლოტი) - გლდანულას დასახლების გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია;

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

სანათების (შემსყიდველის მიერ მიწოდებული სანათებით) და კაბელების შეცვლა, გარე განათების კარადების შეცვლა, დაზიანებული ბოძების აღდგენა და ახალი ბოძების დაყენება.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 31 მარტი.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 2 თებერვლის 12 საათიდან 2 თებერვლის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 12 იანვრიდან 2006 წლის 2 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია 2006 წლის 12 იანვრიდან იწყებს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიკატების გაცემას. პირებს, ვინც გაიარა სერტიფიცირება, ინფორმაციისათვის შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ნომრებზე, ტელ.: 98 83 41; 98 77 08; 98 70 16.**

**სერტიფიცირებულ პირთა სია გამოქვეყნებულია ცესკოს ვებ-გვერდზე: www.cec.gov.ge**

**სერტიფიკატების გაცემა იწარმოებს ყოველდღე გარდა შაბათ-კვირისა, 11-დან, 18 საათამდე,შესვენება 13-დან 14 საათამდე.**

**შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზირი N29, მესამე სართული.**

# განცხადება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სააქციო საზოგადოება "საქჰიდროენერგომშენი"

ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. №50

1. - შეისყიდის დაახლოებით 600 ტონა სხვადასხვა დასახელების ლითონს (არმატურა Φ-14 დიამეტრის და ა.შ.) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

მასალის მიწოდების ადგილი: ქ. ზუგდიდი.

მასალის მიწოდება უნდა განხორციელდეს მომწოდებლის ავტოტრანსპორტით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ მასალის შესაბამისობის სერთიფიკატი და განზომილების ერთეულის ღირებულება.

მიწოდებული მასალის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.

მიწოდების ვადა - 15 მარტამდე.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 23 იანვრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №50. მე-3 სართული.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

- ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (იურიდიული პირის შემთხვევაში - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. ინდ. მეწარმის შემთხვევაში საგადასახადო რეესტრის მოწმობის ასლი);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და სანაციის საქმე;
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან საბიუჯეტო დავალიანების არარსებობის შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

8. დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სს "საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 50. ტელ. 25-09-59.

საკონტაქტო პირი: რამაზ ჭადაშვილი. ტელ. 899 62 03 82.

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: TBS/217

მსოფლიო ბანკის კრედიტი № 3701-GE

საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენითი სამუშაოები

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით საგურამოს წყალსაცავის დამცავი დამბის აღდგენითი სამუშაოების წარმოებაზე (კონტრაქტი № TBS/217). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3 თვე.

2. გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს აუცილებელი მანქანა-მექანიზმებისა და ტექნიკური პერსონალის მობილიზება და სამუშაოების დაწყება არაუგვიანეს 2006 წლის 30 იანვრისა.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ უფასოდ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი, 0105, ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69. ფაქსი: 94-04-39. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ მისამართზე.

4. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. № 7 ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2006 წლის 26 იანვრის 12 საათისა, რა დროსაც ისინი გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ დასწრების სურვილს.

5. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.

# განცხადება

სსიპ-შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი აცხადებს აუქციონს ხანგრძლივ შენახვაზე მყოფ ვადაგასულ შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის მიზნით:

სხვადასხვა სახის მეტალი - 288,9 ტონა, ბაგირი - 4,0 ტონა, ბაგირი - 5230 გრძ.მ, პობედიტი - 120 კგ, სხვადასხვა კაბელი - 847 გრ.მ. საწყისი ფასი 64400 ლარი. ნავთობბიტუმი - 9,3 ტონა, ბეტონის ფილები - 44 ცალი, კალცი-კარბიდი - 120 კგ. საწყისი ფასი 10840 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს "ბე", მატერიალური ფასეულობის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 13 თებერვალს დღის 2 საათზე დეპარტამენტის შენობაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, აგლაძის 32, II სართული.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ ტელეფონებზე: 34-65-98, 35-67-23.

განცხადებები მიიღება 2006 წლის 10 თებერვლის დღის 4 საათამდე.

*სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი*

# განცხადება

## შპს "თეგეტა მოტორსი"-ს მიერ ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**შესყიდვის ობიექტი - სატვირთო ავტომანქანების სერვის ცენტრის მშენებლობის შესყიდვა.**

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ; (თანხობრივად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფულადი სახსრების ბრუნვის მოცულობა,)
2. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

3. ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული და მიმდინარე მშენებლობების და პროექტების შესახებ;
4. ინფორმაცია მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების შესახებ

| N | მოწყობილობა დანადგარების შესახებ | აღწერილობა მოდელი და ასაკი | რაოდენობა | საკუთარი, იჯარით აღებული |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

საკონკურსო განაცხადი უნდა შეიცავდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონს / ფაქსს.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2006 წლის 10 იანვრიდან 2006 წლის 18 იანვრის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0159, დიღმის მასივი VI კვარტალი. 22-ბ კორპუსი.**
**შპს "თეგეტა მოტორსი"**

დაგვიანებით შემოსული განაცხადები და საკვალიფიკაციო მონაცემები არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2006** წლის **20 იანვარს 17 საათზე.**

საკონკურსო დოკუმენტაცია (ესკიზური პროექტი, გეოლოგიური დასკვნა) გაიცემა 2006 წლის 21 იანვრიდან 24 იანვრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი 0159, დიღმის მასივი VI კვარტალი, 22-ბ კორპუსი. შპს "თეგეტა მოტორსი".

მონაწილეთა საკონკურსო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 31 იანვრის 16 საათი.** საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება კონკურსში მონაწილეთა თანდასწრებით, 2006 წლის 31 იანვარს 16 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N63 (პეპელასთან).

საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს Mმშენებლობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია:

- საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებით ილია ჯანიაშვილი, გიორგი მშვილდაძე. **ქ.თბილისი, დიღმის მასივი VI კვარტალი, 22-ბ კორპუსი; შპს "თეგეტა მოტორსი". ტელეფონი: 52-49-20, 52-49-33, 52-49-75.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიის მწვანე ზოლის ექსპლუატაციისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

მწვანე ზოლის საერთო ფართი - 522,3 ჰა, მათ შორის:

- სკვერი I კატეგორია 95 ჰა;
- გაზონი I კატეგორია 15 ჰა;
- გაზონი II კატეგორია 120 ჰა;
- გაზონი III კატეგორია 126 ჰა;
- ქუჩის ნარგაობა III კატეგორია 138 ჰა;
- ფერდობები III კატეგორია 24.3 ჰა;
- გზები და მოედნები 765220 კვმ;
- ხეების რაოდენობა: 91832 ფოთლოვანი და 26490 წიწვოვანი;
- ბუჩქები და სხვადასხვა ნარგაობა: 66878 ფოთლოვანი, 3171 წიწოვანი და 2335 ვარდის ძირი;
- გადასაბელი ხეების რაოდენობა 500 ერთეული.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2007 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 თებერვლის 11 სთ-დან 3 თებერვლის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

